

გარეული
ბიბლიოთეკა

1239
2015

საქართველოს იურიტიკა

ქუცუბოძე-საგანმანათლებლო, სემინარი-ნიჟურაძის
და მეთოდური მუშაობა

13

N 4(61) - 2015
ISSN - 1512-0880



საქართველოს ენციკლოპედიის
ჯიურული ბიბლიოთეკა



სარედაქციო კოლეგია :

ალექსანდრე ლორია - მთავარი რედაქტორი

გურამ თაყნიაშვილი - რედაქტორის მოადგილე,

პასუხისმგებელი მდივანი

გულნარა სტურუა

მირიან ხოსიტაშვილი

რუსუდან ასათიანი

მაია მიქაბერიძე

ირინა ალიაშვილი

ნინო ინჯია

კომპიუტერული უზრუნველყოფა –

ნინო ქავთარაძე

ლევანპაპალაშვილი

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ

მისამართი : თბილისი ლადო გუდიაშვილი ქ. № 7


საქართველოს ბიბლიოთეკა №4 (61) – 2015;

გამოიცემა 2000 წლიდან.

©- საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ISSN – 1512 – 0880

აკაკი -175



შინაარსი

ოფიციალური მასალები

ბიბლიოთეკარი: პროფესიული სტანდარტი 3

წიგნის ისტორია

წინო სვედელია – იტალიელ „მესტამგეთა პრინცი“ ნიკოლა ჟანსმანი 12

ფერიდა კვაჭანტირაძე – ზაქარია ჭიჭინაძე – წიგნის გამომცემელი 14

გურამ თაყნიაშვილი – „საქართველოს სამოთხე“ და მისი ავტორი 18

ფილოლოგიური ძიებანი

ღია გიგაური – ორი დიდი ლირიკოსის იუბილა 22

გიორგი სარაჯიშვილი – ამგავი დ. სარაჯიშვილის დაუდგმელი

საფლავის კაბლისა და აკაკის „მცირე შენიშვნა“ 25

ელენე გუსევა – აკაკის ერთი ნაკვეთის გარშემო 27

გურამ თაყნიაშვილი – აკაკი წერეთელი და ქართველი კათოლიკენი საზღვარგარეთ 29

გრეთა ჩანტლაძე-გაქრაძე - როდის გამოჩნდა ბასკური გვარი ამერიკაში?
(ამერიკელი ბასკის-სიმონ ზოლივარის გვარის რეინტერპრეტაციისათვის) 32

ღირსეული შემოქმედნი

ჟუჟუნა ჩხეიძე-კიკვიძე – ერთად 35.

ბიბლიოთეკის იუბილა

ცირა მამსირაშვილი – თიანეთის ბიბლიოთეკა 130 წლისაა 39

გიორგი გაბუნია — „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“

დაშვებული ერთი კაზუსის შესახებ..... 42

მირზა ფათალი ახუნდზადეს ნაწარმოები ქართულად 43

ციციწო ჯინჯინაძე – მე-7 საერთაშორისო 43

შტაფან ცვაიგი – ნიგნის გამაკეთილშობილებელი ქალის შესახებ 45

ლალი ავსაჯანიშვილი – აღარ უნდა შეჩერდეს 45

აქლექსანდრა ლორიადა — უშრეტელი შრომის ნაყოფი 47

ახალი თარგმანები 48

ქართველოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის 49

რევიუ

დავით გიგინეიშვილი – ბრემენის მუსიკალური ფესტივალი-2015 49

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა 53

2016 წლის ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარი 56

ნეკროლოგი

ლამარა ხუციშვილი აჩლავილი 59

თეონა როგაძე 59

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მიმდინარე წელს შეიმუშავა ბიბლიოთეკარის პროფესიული სტანდარტი. დოკუმენტი შედგენილია კვალიფიკაციის ევროპული ჩარჩოს მიხედვით. სტანდარტის შედგენაში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკათმცოდნეები, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალისტები.

სტანდარტში განსაზღვრულია ბიბლიოთეკარის პროფესიული მოვალეობები და ამოცანები. ბიბლიოთეკარის პროფესიული ცოდნა და უნარები ახსნილი და ჩამოყალიბებულია ბიბლიოთეკის მუშაობის პროფესიულ პროცესებთან კავშირისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. აღნიშნული სტანდარტის მიხედვით შემუშავდა სასწავლო პროგრამები საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლებისათვის, რომლებიც მოამზადებენ პროფესიონალ ბიბლიოთეკარებს.



განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი



ბიბლიოთეკარი

პროფესიული სტანდარტი

სსიპ –განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2015

1. პროფესიის დასახელება (ქართულად):
ბიბლიოთეკარი
2. პროფესიის დასახელება (ინგლისურად):
Librarian
3. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი: 070852
4. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი: 03202-ს
5. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით - 2622
6. პროფესიის აღწერა:
ბიბლიოთეკარი არის სპეციალისტი, რომელიც ორგანიზებას უკეთებს საბიბლიოთეკო დოკუმენტების (წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, რუკა, პლაკატი, ნოტი, CD, ფირფიტა, ფურცლოვანი გამოცემა) - მიღებას, დამუშავებას, შენახვასა და მათ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას.
7. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:



ბიბლიოთეკარის ტიპური სამუშაო გარემო არის შესაბამისად აღჭურვილი დახურული შენობა. ბიბლიოთეკარი შეიძლება დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის, ქალაქის, სოფლის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ბიბლიოთეკაში.

8. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:
(კანონმდებლობით არ არის დადგენილი)

9. კვალიფიკაციის დონე ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით:
მეოთხე

10. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1.	საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება	1.1. გეგმავს ჩასატარებელ სამუშაო პროცესებს 1.2. განსაზღვრავს კონკრეტული სამუშაო უბნის სპეციფიკას 1.3. წარმართავს ბიბლიოთეკის მოწყობის სამუშაო პროცესებს 1.4. უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის სივრცის ეფექტურ მოწყობას 1.5. მონიტორინგს უწევს სამუშაო პროცესებს
2.	ფონდის დაკომპლექტება	2.1. არსებულ სააღრიცხვო დოკუმენტებზე დაყრდნობით ეცნობა ფონდს 2.2. მართავს ფონდს 2.3. განსაზღვრავს პრიორიტეტებს 2.4. თანამშრომლობს მომხმარებელთან/მკითხველთან ფონდების დაკომპლექტებისას 2.5. მოიზიდავს საბიბლიოთეკო რესურსს 2.6. აფორმებს საბიბლიოთეკო დოკუმენტის მიღებისთვის საჭირო საბუთებს
3.	ფონდის მართვა	3.1. აღრიცხავს ფონდს 3.2. ატარებს ფონდის ინვენტარიზაციას 3.3. ახდენს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ტექნიკურ დამუშავებას (ავთრათი, ჯიბაკი, ფორმულარი და სხვ.) 3.4. აწარმოებს საბიბლიოთეკო დოკუმენტების კატალოგიზაციასა და სისტემატიზაციას (კლასიფიკაცია) 3.5. განალაგებს ფონდს დადგენილი წესის შესაბამისად 3.6. უზრუნველყოფს ფონდის ცირკულაციას/ მომსახურებას
4.	ფონდის დაცვა	4.1. განსაზღვრავს ფონდის დაცვის/უსაფრთხოების პირობებს 4.2. გამოავლენს დაზიანებულ საბიბლიოთეკო დოკუმენტებს 4.3. ატარებს რეინვენტარიზაციას 4.4. უზრუნველყოფს ფონდიდან გასარიცხი/ჩამოსაწერი საბიბლიოთეკო დოკუმენტების გამოვლენას, ამოღებას და გაფორმებას

5.	საცნობარო - საინფორმაციო მუშაობა	<p>5.1. ქმნის ან აახლებს ბიბლიოთეკის საცნობარო აპარატს</p> <p>5.2. აკეთებს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ანოტაციას</p> <p>5.3. გამოსაცემად ამზადებს სხვადასხვა (პირთა, საგნობრივ, გეოგრაფიულ) სამიებლებს</p> <p>5.4. განათავსებს ბიბლიოგრაფიული ჩანაწერს ელექტრონულ ბაზებში შემდგომი გამოყენებისთვის</p> <p>5.5. გასცემს ინფორმაციას ფონდის პოპულარიზაციის მიზნით</p> <p>5.6. გამოსაცემად ამზადებს ან გამოსცემს საინფორმაციო მასალებს (გზამკვლევი, ბუკლეტი და სხვ.)</p>
6.	საბიბლიოთეკო მომსახურება	<p>6.1. წარმართავს კომუნიკაციას მომხმარებელთან/ მკითხველთან</p> <p>6.2. ადგენს მომხმარებლის/მკითხველის საინფორმაციო ინტერესს</p> <p>6.3. ახორციელებს ფონდის ცირკულაციას</p> <p>6.4. იცავს მომხმარებლის/მკითხველის უფლებებს</p> <p>6.5. აწარმოებს (მომსახურების სერვისის გაუმჯობესების მიზნით) კვლევას</p>
7.	კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებები	<p>7.1. ადგენს ღონისძიებათა გეგმა - კალენდარს</p> <p>7.2. ანაწილებს ღონისძიებებისთვის გამოყოფილ ბიუჯეტს</p> <p>7.3. ქმნის მიზნობრივ ჯგუფებს თანამშრომლობის მიზნით</p> <p>7.4. თანამშრომლობს ღონისძიების რეკლამისა და პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებთან (გამომცემლობებთან, მედია და სხვ.)</p>

11. პიროვნული თვისებები:

- პუნქტუალური
- მოწესრიგებული
- ორგანიზებული
- კოლეგიალური
- კომუნიკაბელური
- გუნდურად მომუშავე
- ეთიკური

12. ხელსაწყოები, დანადგარები, მასალები:

საბიბლიოთეკო ინვენტარი: სტელაჟი, თარო, კარადა, მაგიდა, სკამი, საკატალოგო სექცია, საგამოფენო სტენდი;

საოფისე ტექნიკა: კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, პროექტორი, ასლგადამღები აპარატი, ფოტოაპარატი;

საბიბლიოთეკო ტექნიკა: ინვენტარის წიგნი, ჯამობრივი აღრიცხვის წიგნი, ავთრათი, ჯიბაკი, ფორმულარი, საკატალოგო ბარათები;

კომუნიკაციის საშუალებები: ტელეფონი, ინტერნეტი, ინტრანეტი;

უსაფრთხოების საშუალებები: ცეცხლმაქრი, პირბადე, ხელთათმანი;

იდენტიფიკაციის საშუალებები: ლუქები, ბეჭდები და შტამპები;

პროგრამული უზრუნველყოფა: საოფისე პროგრამები, საბიბლიოთეკო პროგრამები; Creative Commons, Google Docs, Facebook, Adobe, Photoshop, InDesign, Slideshare, RSS & RSS Readers, Slideshare, Wikis, Blog;



მობილური მოწყობილობები: პლანშეტური კომპიუტერი, ელექტრონული წიგნების მკითხველი მოწყობილობები და სხვ.

13. პროფესიის სამომავლო ტენდენციები:

- უცხოური ენების ცოდნაზე მოთხოვნის ზრდა
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა

14. პროფესიული ცოდნა და უნარები:

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება	<ul style="list-style-type: none"> • იცის სამუშაოს დაგეგმვისა და კონტროლის პრინციპები • იცის სამუშაო ადგილის მოწყობის წესები • იცის კომუნიკაციის (ურთიერთობის) ფორმები • იცის სახელმწიფო ენა • იცის უცხოური ენა • იცის პრობლემების გამოკვეთისა და გადაჭრის გზები • იცის დროის მართვა • იცის რესურსების მიზნობრივად გამოყენება • იცის საბიბლიოთეკო საქმის იურიდიული საფუძვლები • იცის საქართველოს კანონი „საბიბლიოთეკო საქმის“ შესახებ • იცის ბიბლიოთეკის დებულება • იცის ბიბლიოთეკის შინაგანაწესი და თანამდებობრივი ინსტრუქციები • იცის საბიბლიოთეკო სტანდარტი • იცის სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი პროცესები • იცის ფონდის შენახვისა და ხელმისაწვდომობის მეთოდები • იცის საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობისა და ფუნქციონერების სტანდარტი • იცის საბიბლიოთეკო მომსახურების ძირითადი სახეები და ფორმები • იცის სამიზნე ჯგუფები, შემდგომში მომხმარებლის/ მკითხველის კატეგორიები • იცის ფონდის შემადგენლობა (წიგნადი ფონდი, პერიოდული გამოცემები, ელექტრონული 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია დეტალებზე ორიენტაცია • შეუძლია ეფექტიანი კომუნიკაცია • შეუძლია პრობლემების იდენტიფიცირება • შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად სამუშაო გეგმის შემუშავება • შეუძლია პრობლემის გადაჭრის ეფექტური (ოპტიმალური) გზების შერჩევა • შეუძლია საჭიროებების დადგენა • შეუძლია არსებული სიტუაციის ანალიზი, პრობლემების განსაზღვრა და მათი მოგვარებისთვის ადეკვატური აქტივობების დაგეგმვა • შეუძლია სტანდარტის გამოყენება და დაცვა • შეუძლია სიახლეების დანერგვა და შესრულება • შეუძლია ბიბლიოთეკის საქმიანობის წარმართვა • შეუძლია სახელმწიფო ენასა და უცხოურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია • შეუძლია პრობლემის გამოვლენა და მისი არსის დადგენა • შეუძლია პრობლემებთან გამკლავება

		<p>მასალები და სხვ.)</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის ბიბლიოთეკის საქმიანობის სფერო, ძირითადი მიზნები და ფუნქციები 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია გადაწყვეტილების მიღება • შეუძლია ანალიზის გაკეთება და სიტუაციის შეფასება • შეუძლია საბიბლიოთეკო პროგრამებსა და ინტერნეტში მუშაობა
2.	<p>ფონდის დაკომპლექტება</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცის კომპიუტერულ საოფისე პროგრამებთან მუშაობის წესები • იცის სახელმწიფო ენა • იცის უცხოური ენა • იცის ფონდის დარგობრივი სტრუქტურა • იცის ხარვეზის გამოვლენის გზები • იცის კვლევის სხვადასხვა მეთოდი • იცნობს არსებულ ფონდს • იცნობს ბიუჯეტს • იცნობს ადგილობრივ და საერთაშორისო საგამომცემლო ბაზარს • იცის დარგობრივი ჯგუფის მახასიათებლები • იცის საბიბლიოთეკო დოკუმენტების თანმხლებ დოკუმენტებთან შედარება–შეჯერების ხერხები • იცის ფონდების აღრიცხვის წესები 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სააღრიცხვო დოკუმენტაციით სარგებლობა • შეუძლია სახელმწიფო ენასა და უცხოურ ენებზე საბიბლიოთეკო საქმის წარმოება • შეუძლია კომპიუტერული საოფისე პროგრამების გამოყენება • შეუძლია კვლევის ჩატარება და ანალიზი • შეუძლია ხარვეზების გამოვლენა და აღმოფხვრა • შეუძლია დაგეგმილი სამუშაო პროცესების მონიტორინგი • შეუძლია დაკომპლექტების პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა • შეუძლია ბიუჯეტის დაგეგმვა • შეუძლია სააღრიცხვო და ფინანსური დოკუმენტაციის სწორად წარმოება • შეუძლია დარგობრივი ჯგუფის მოთხოვნების დადგენა • შეუძლია კომუნიკაციის დამყარება • შეუძლია გუნდური მუშაობა • შეუძლია სოციალურ ქსელებში მუშაობა • შეუძლია ინფორმაციის სწორად მიღება და გაცემა • შეუძლია ფონდებთან დაკავშირებული დოკუმენტების წარმოება • შეუძლია საბიბლიოთეკო დოკუმენტის შედარება მის თანმხლებ დოკუმენტებთან

<p>3. ფონდის მართვა</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცის ფონდის სტრუქტურა • იცის სააღრიცხვო ფორმების წარმოება (ჯამობრივი აღრიცხვის წიგნი, ინვენტარის წიგნი) • იცის სახელმწიფო ენა და უცხოური ენები • იცის ფონდის ინვენტარიზაციის ვადები და მეთოდები • იცის კომპიუტერული საოფისე და საბიბლიოთეკო პროგრამებთან მუშაობის წესები • იცის საბიბლიოთეკო დოკუმენტების ტექნიკური დამუშავების წესები • იცის დოკუმენტისთვის შიფრის მინიჭების წესი • იცის დოკუმენტის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სტანდარტი • იცის საბიბლიოთეკო დოკუმენტის კლასიფიცირება ბიბლიოთეკაში მიღებული საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად • იცნობს საბიბლიოთეკო დოკუმენტების განლაგების არსებულ მეთოდს • იცნობს საერთაშორისო დეკლარაციებს ფონდის ხელმისაწვდომობის შესახებ 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სააღრიცხვო ფორმების წარმოება (მიღება ჩაბარების აქტი, ჯამობრივი აღრიცხვის წიგნი, ინვენტარის წიგნი) • შეუძლია სტატისტიკის წარმოება • შეუძლია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ასოციაციების (IFLA) რეკომენდაციების გამოყენება • შეუძლია ინვენტარიზაციის ჩატარება • შეუძლია დროის მართვა • შეუძლია ჩატარებული სამუშაოს ანალიზი • შეუძლია სტანდარტის შესაბამისად შემოსული დოკუმენტის ფიზიკური მდგომარეობის დადგენა • შეუძლია საბიბლიოთეკო დოკუმენტის წესების სრული დაცვით ტექნიკური დამუშავება • შეუძლია შემოსული დოკუმენტის დაზიანების ხარისხის განსაზღვრა • შეუძლია საბიბლიოთეკო დოკუმენტისთვის საგნობრივი რუბრიკის განსაზღვრა • შეუძლია დოკუმენტისათვის საჭირო შიფრის სწორად მინიჭება • შეუძლია საბიბლიოთეკო დოკუმენტის კლასიფიცირება • შეუძლია საბიბლიოთეკო ელექტრონულ პროგრამაში მუშაობა • შეუძლია სტანდარტის შესაბამისად ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის მომზადება • შეუძლია წესების დაცვით საბიბლიოთეკო დოკუმენტების თაროზე განლაგება • შეუძლია აკონტროლოს
-------------------------	--	---

			<p>ფონდის განლაგების სისწორე</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია საბიბლიოთეკო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების გააზრება • შეუძლია საბიბლიოთეკო დოკუმენტის სწრაფად და ზუსტად ძიება • შეუძლია მომხმარებლის მოთხოვნის სწრაფად დაკმაყოფილება
4.	<p>ფონდის დაცვა</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცის ფონდის შემადგენლობა (წიგნადი ფონდი, პერიოდული გამოცემები, ელექტრონული მასალები და სხვ.) • იცის ფონდში დაცული დოკუმენტების უსაფრთხოებისა და ჰიგიენური დაცვის ნორმები • იცის ფონდის დაცვის სტანდარტი • იცის ტექნიკური ხარვეზების გამოვლენის გზები და აღმოფხვრის მეთოდები • იცის ფონდიდან ამოსაღები/ჩამოსაწერი დოკუმენტების კრიტერიუმები (შინაარსობრივად მოძველებული, ჭარბი და არაპროფილური გამოცემები, ფიზიკურად მოძველებული (გაცვეთილი), მკითხველის მიერ დაკარგული წიგნები და სხვა) • იცის ინვენტარიზაციისა და რეინვენტარიზაციის მეთოდები • იცის ფონდიდან დოკუმენტის გარიცხვის/ჩამოწერის ინსტრუქცია • იცის ამოღებული ჩამოსაწერი დოკუმენტების საინვენტარო და ჯამობრივი აღრიცხვის წიგნში ჩანიშვნის წესი 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია უსაფრთხოების ნორმების დაცვა • შეუძლია ქიმიურ-ბიოლოგიური, ტემპერატურის რეჟიმის, ცეცხლმაქრი ხელსაწყოების გამოყენება • შეუძლია ჰიგიენის ნორმების დაცვა და შენარჩუნება • შეუძლია სწრაფი რეაგირება წარმოქმნილი პრობლემის აღმოსაფხვრელად • შეუძლია ფონდის ტექნიკურად დამუშავების სტანდარტის გამოყენება • შეუძლია ტექნიკური და სხვა სახის ხარვეზების გამოვლენა • შეუძლია ხარვეზის აღმოსაფხვრელად სწრაფი და ეფექტური გზების დასახვა • შეუძლია ფონდიდან ამოსაღები საბიბლიოთეკო დოკუმენტების შერჩევა და აქტის შედგენა • შეუძლია ჩატარებული რეინვენტარიზაციის შედეგების გამოყენება • შეუძლია კომპიუტერული საოფისე პროგრამების გამოყენება
5.	<p>სადიებო-საინფორმაციო სისტემის მართვა</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცის სადიებო სისტემის სახეობები • იცის ფონდის შემადგენლობა ან კონტენტი • იცის კატალოგებისა და კარტოთეკების შედგენის საერთაშორისო სტანდარტები • იცის საკლასიფიკაციო სისტემები 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია საბიბლიოთეკო დოკუმენტების ძიების შედეგად მიღებული მეთოდების გამოყენება • შეუძლია საცნობო-სადიებო სისტემებში მუშაობა • შეუძლია ბიბლიოგრაფიული

		<ul style="list-style-type: none"> • იცის ბიბლიოთეკაში დანერგილი საბიბლიოთეკო ელექტრონული ბაზებთან და • პროგრამებთან მუშაობის წესები • იცის დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული (ანალიტიკური) აღწერილობის სტანდარტები • იცის ანოტირების მეთოდთა • იცის ბიბლიოგრაფიული აღწერილობისა და სისტემატიზაციის სტანდარტები • იცის ანოტირებული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის სახეები, მათი გაფორმება-გამოყენების სტანდარტები • იცის ციფრული მასალის აღწერილობის სტანდარტი • იცის საინფორმაციო მასალების შედგენის და გავრცელების მეთოდები 	<p>ჩანაწერის შედარება წყაროსთან</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ანალიტიკური აზროვნება • შეუძლია ინფორმაციის მოგროვება, დამუშავება და გაზიარება • შეუძლია ბიბლიოთეკაში დანერგილი საბიბლიოთეკო ელექტრონული ბაზებთან და პროგრამებთან მუშაობა • შეუძლია გუნდური მუშაობა • შეუძლია კომპიუტერულ საოფისე პროგრამებში, ინტერნეტში, სოციალურ ქსელებთან, ბლოგებთან მუშაობა
6.	საბიბლიოთეკო მომსახურება	<ul style="list-style-type: none"> • იცის ბიბლიოთეკის საძიებო სისტემებით, ფონდით, სამკითხველო დარბაზებით სარგებლობის წესები • იცის კომპიუტერული საოფისე და საბიბლიოთეკო ელექტრონულ პროგრამასთან მუშაობის წესები • იცის მომხმარებელთან/მკითხველთან ეფექტური კომუნიკაციის წესები • იცის სახელმწიფო ენა და უცხოური ენები • იცის ინფორმაციის ძიების მექანიზმები • იცის თემის, საკურსოს, რეფერატის, სამეცნიერო შრომისთვის ლიტერატურის სიის ნუსხის შედგენა • იცის ფონდის ცირკულაციის წესები • იცის მომხმარებლის უფლებები • იცის განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა მომსახურების მეთოდები • იცის საბიბლიოთეკო მომსახურების სახეები (ზეპირი, წერილობითი, ელექტრონული) • იცის მომსახურების სერვისის გაუმჯობესების მიზნით კვლევის მეთოდები 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ბიბლიოთეკარის ეთიკის კოდექსის დაცვა • შეუძლია მომხმარებლისათვის/მკითხველისათვის ფონდით სარგებლობაზე კონსულტაციის გაწევა • შეუძლია ინტერნეტისა და სხვა ელექტრონული რესურსების, ელ-ფოსტის გამოყენება • შეუძლია სოციალური ქსელების გამოყენება • შეუძლია საცნობო აპარატში (კატალოგში, კარტოთეკაში, ბიბლიოგრაფიულ საძიებელში, ელექტრონულ რესურსში) სწრაფი ძიება და ინფორმაციის გაცემა • შეუძლია ორიენტირება ხარვეზების გამოსწორებაზე • შეუძლია სიახლეების დანერგვა • შეუძლია ბიბლიოთეკის საქმიანობის მიმართულებებზე ანგარიშის, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება

			<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მომხმარებლის/ მკითხველის კატეგორიის (მეცნიერი, სტუდენტი, მოსწავლე, პენსიონერი და სხვ.) დადგენა • შეუძლია რამდენიმე პრობლემასთან ერთდროულად გამკლავება • შეუძლია კვლევა
7.	<p>კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებები</p>	<ul style="list-style-type: none"> • იცის საზოგადოებასთან ურთიერთობის მეთოდები • იცის ღონისძიებების გეგმის და პროგრამის შედგენის წესი • იცის დაფინანსების პოტენციური წყაროების/ფონდების მოძიება/მოზიდვის მეთოდი • იცის ბიუჯეტის გაწერის წესი • იცის კალკულაცია • იცის რეკლამის წესები 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია კომუნიკაციების დამყარება • შეუძლია ღონისძიების დაგეგმვა • შეუძლია ბიუჯეტის დაგეგმვა • შეუძლია მიზნობრივი ჯგუფების შექმნა • შეუძლია მიზნობრივი ჯგუფების ღონისძიებებში ჩართვა • შეუძლია ინტერნეტის, ელ-ფოსტისა და სოციალური ქსელის გამოყენება, სატელეფონო კომუნიკაცია, ვერბალური კომუნიკაცია • შეუძლია პროგრამის შედგენა და პრეს-რელიზის მომზადება

15. სტანდარტის მოქმედების ვადა:

3 წელი

წინმო სვედელიძე

იტალიელ „მესტამპეთა პრინცი“


ნიკოლა ჟანსონი

იოჰან გუტენბერგის გენიალური გამოგონებისა და წიგნის ბეჭდვის ხელოვნებაში ახალი ერის დაწყების შესახებ ინფორმაცია გერმანიიდან ევროპის ქვეყნებში გავრცელდა. მათ შორის უპირველესი საფრანგეთი იყო. 1458 წლის 3 ოქტომბრით დათარიღებული ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, საფრანგეთის მეფემ კარლ VII-მ ბრძანება გასცა, ქალაქ მაინცში მიეწოდებინათ ხელმარჯვე და ნიჭიერი გრავიორი, რათა გუტენბერგისაგან წიგნების გამრავლების ახლადგამოგონებული მეთოდის საიდუმლოება გაეგო, შეესწავლა და სამშობლოში ჩამოეტანა. ამ მისიისთვის

ჟანსონი იყო არაჩვეულებრივი კალიგრაფი და მხატვარი. ნიკოლა კარგად ფლობდა ლათონ-ჩამოსხმის საქმესაც. იგი მეფის კარზე მსახურობდა მონეტებისა და სამკერდე ნიშნების გრავიორად.

მაინცში ნიკოლა 1459 წლის დასაწყისისათვის ჩავიდა. ცნობილი არაა, თუ რა საშუალებებით მოახერხა ჟანსონმა დაკისრებული მისიის შესრულება, მაგრამ ფაქტია, რომ სრულყოფილად შეისწავლა, მისი თქმით, „შავი ხელოვნება“. ამასობაში, 1461 წელს საფრანგეთის სამეფო ტახტზე ავიდა ლუდოვიკო XI. ეს მონარქი მტრულად იყო განწყობილი თავისი წინამორბედის ყოველგვარი წამოწყებისადმი. სავარაუდოდ, ასეთი პოლიტიკური ვითარების გამო ნიკოლა ჟანსონი სამშობლოში დაბრუნების ნაცვლად იტალიაში გაემგზავრა.¹

ჟანსონი 1470 წელს ჩავიდა ვენეციაში, სადაც უპირატესობა წიგნბეჭდვის საქმეში მოპოვებული ჰქონდა წარმოშობით გერმანელ იოჰან ფონ შპეიერს. ეს პრივილეგია იოჰანს 1469 წლის 18 სექტემბერს მიანიჭა ვენეციის სენატმა ხუთი წლით, მაგრამ მომდევნო 1470 წელს იგი გარდაიცვალა. იმავე, 1470 წელს, ჟანსონმა ვენეციაში ახალი სტამბა დააარსა და სწრაფადაც გაითქვა სახელი, როგორც მესტამპე-გამომცემელმა და გრავიორ-ჟანსონისტმა. ნიკოლამ შექმნა არაჩვეულებრივი, მკაფიო და ადვილად საკითხავი შრიფტი – ანტიკვა, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მრავალი ქვეყნის პოლიგრაფიაში. თავისი თანამედროვეებისაგან განსხვავებით, რომლებიც შრიფტჩამოსხმისას იყენებდნენ ლათინურ ხელნაწერების „კალიგრაფიულ“




ნიკოლა ჟანსონი

შეარჩიეს მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდა, ნიკოლა ჟანსონი. იგი იანსონის გვართადაც იყო ცნობილი.

ნიკოლა 1420 წელს დაიბადა საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზემო მარნაში. მან საუკეთესო განათლება მიიღო ტურში.

1. 1 Лазурский, В. В. Альды и альдины. - М. : Книга, 1977 (Тип. N5 «Союзполиграфпрома»). - 116 с.




წმინდა ბიბლია. დაბეჭდილი ნიკოლა ჟანსონის მიერ. ვენეცია, 1479 წ.

შრიფტებს, ჟანსონმა ნიმუშად გამოიყენა მეათე საუკუნეში გავრცელებული ლათინური დამწერლობის „კაროლინგური“ შრიფტის ნახაზი და შექმნა უღამაზესი, მკაფიო და ადვილად საკითხავი შრიფტი, რომლის ყოველი ასონიშანი თავისი დეტალებით ექვემდებარებოდა პროპორციულობის მკაცრად დაცულ კანონზომიერებას. ჟანსონის მიერ შექმნილი მსხვილი „ანტიკვა“ მრავალი სპეციალისტის მიერაა აღიარებული სრულყოფილ შრიფტად. ამ შრიფტმა დიდი გავლენა მოახდინა მის თანამედროვე შრიფტჩამომსხმელებზე – ფრანჩესკო გრიფოზე (1450-1518) და კლოდ გარამონზე (1499-1561). ის შთაგონების წყაროდ იქცა მომავალი თაობის მრავალი მესტამბისათვის. სწორედ ანტიკვა გახდა მორისი-სეული სახელგანთქმული „ოქროს შრიფტის“ (1890) საფუძველი. მოგვიანებით, ინგლისელი პოეტი, მხატვარი და მესტამბე უილიამ მორისი (1834-1896) წერდა: „ჯანსონმა თავისი შრიფტები სრულყოფილების მწვერვალზე აიყვანა“². ამას გარდა, ჟანსონმა იტალიისა და საფრანგეთის წიგნბეჭდვის საქმეში სათავე დაუდო ახალ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ჰუმანიტარული შინაარსის ნაწარმოებებს ლათინური შრიფტით ბეჭდავდნენ. საღვთისმეტყველო, სამედიცინო, საბუნებისმეტყველო, იურიდიული და მათემატიკური შინაარსის თხზულებებს კი ისევ გოთური შრიფტით გამოსცემდნენ.

ნიკოლამ დააფუძნა საგამომცემლო ამხანაგობა სახელწოდებით: „ნიკოლა იანსონი და კომპანია“, რომელმაც მეთხუთმეტე საუკუნის 70-იან წლებში მნიშვნელოვანი როლი

ითამაშა ევროპის პოლიგრაფიულ საქმიანობაში². ჟანსონმა თავისი ათი წლის პოლიგრაფიული მოღვაწეობის მანძილზე შექმნა ასზე მეტი დასახელების წიგნი, მათ შორის იყო 1474 წელს დაბეჭდილი „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ლოცვანი“, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა მინიატურული წიგნის გამოცემას იტალიაში. ჟანსონის წიგნებმა პოლიგრაფიის ისტორიაში განსაკუთრებული სტილი დაამკვიდრა. ისინი სისადავითა და დახვეწილობით გამოირჩეოდნენ.

იტალიაში ნიკოლა ჟანსონს, ისე როგორც გერმანიაში ანტონ კობერგერს (1440–1513), „მესტამბეთა პრინცი“ შეარქვეს. იგი ერთმანეთის მიყოლებით ბეჭდავდა სხვადასხვა ხასიათის წიგნებს, რომელთა შორისაც განსაკუთრებით მრავლად იყო კანონიკური სახელმძღვანელოები და რელიგიური თემატიკის გამოცემები, რისთვისაც რომის პაპმა სიქსტ IV –მ ჟანსონს „პფალცის გრაფის“ ტიტული უბოძა.³




ნიკოლა ჟანსონის საგამომცემლო მარკა

ასეთივე სისადავით გამოირჩეოდა ჟანსონის საგამომცემლო მარკაც „სფერო ჯვრით“ – სიმბოლო, რომელიც მცირედი სახეცვლილებით

ერთი მბეჭდავიდან მეორესთან გადადიოდა.⁴

ჟანსონის გარდაცვალების შემდეგ მისი განსაკუთრებული პოლიგრაფიული სტილის, სასტამბო ინვენტარისა და შრიფტების მემკვი-

2 Лазурский. В. В. Альд и альдины. - М. : Книга, 1977 (Тип. N5 «Союзполиграфпрома»). - 29 с.
3 Щелкунов М.И., История, техника, искусство книгопечатания. - М/Л. - Гос. Издательство. -1926. - 94 ст.
4 Лазурский. В. В. Альд и альдины. - М. : Книга, 1977 (Тип. N5 «Союзполиграфпрома»). - 72 с.



სახარება. დაბეჭდილი ნიკოლა ჟანსონის მიერ. ვენეცია, 1470 წ.

დრე გახლდათ ნიკოლას მოსწავლე ანდრია ტორეზანო (1451–1529), რომელმაც ღირსეული თანამშრომლობა გაუწია ალდ პიი მანუცის (1449–1515).

ნიკოლა იყო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გრავიორ-პუანსონისტი წიგნის ბეჭდვის მთელი ისტორიის მანძილზე. კოლორადოს უნივერსიტეტის ნორლონის ბიბლიოთეკის დასავლეთ კედელზე განთავსებული ბარელიეფი, რომელზედაც ნიკოლა ჟანსონის და ალდ მანუცის ფიგურებია ამოტვიფრული, ამ ორი ვენეციელი მესტამბე-გამომცემლის განუსაზღვრელი ღვაწლის დადასტურებაა მსოფლიო პოლიგრაფიის ისტორიაში.⁵

5 <http://ucblibraries.colorado.edu/about/images/enterFellowship.jpg>.

ფერიდე კვაჭანტირაძე

ზაქარია ჭიჭინაძე – წიგნის გამომცემელი


ქართველმა საზოგადოებამ ზაქარია ჭიჭინაძის დაბადებიდან 160 წლისთავი აღნიშნა. ჩატარდა ამ თარიღისადმი მიძღვნილი კონფერენცია. დაიბეჭდა კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების კრებული. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამოიფინა მისი წიგნები და ბიოგრაფიის ამსახველი ლიტერატურა, მომზადდა ბიბლიოგრაფია: „ზაქარია ჭიჭინაძე-წიგნის გამომცემელი“ (ფ. კვაჭანტირაძე), რომელიც გამოიცემა 2016 წელს.

ზაქარია ჭიჭინაძე (1854–1931 წწ.) მრავალმხრივ მოღვაწე პიროვნება იყო. ჯერ კიდევ ყმაწვილი, ღარიბი ოჯახის შვილი, სწავლამოწყურებული, 15 წლის ბიჭი განგებამ სერგეი მესხს შეახვედრა, რომელმაც იგი გაზეთ „დროებაში“ მიიწვია. რედაქტორი მფარველობდა მას, ხელს უწყობდა გაწაფულიყო როგორც საზოგადოებრივ, ისე ჟურნალისტურ საქმიანობაში. აქ გაეცნო

ზაქარია სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობას, სტამბებს, ბეჭდვის სპეციფიკას, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ამავე პერიოდში დაიმუხტა მისი სული და გონება ილია ჭავჭავაძის მიერ გამოცოცხლებული და აღორძინებული ეროვნული პასუხისმგებლობის გრძნობით და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე პირადული არასოდეს დაუყენებია ამ მოვალეობის მაღლა.

იმხანად ქართველ მამულიშვილთა მცდელობით წიგნისადმი ინტერესი მოსახლეობაში უკვე საკმაოდ გამოცოცხლებული იყო. „ხალხი, უბრალო ხალხი გონების საზრდოს თხოულობს. ამ ხალხს კითხვა სწყურიან.“ წერდა სერგეი მესხი („ჩვენი შაურინი ლიტერატურა//დროება, 1899, 48), მაგრამ მათთვის საჭირო ხარისხის წიგნები არ ისტამბებოდა. ამას ხელს უშლიდა სხვადასხვა გარემოება. უპირველესად ის, რომ სტამბებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაბალი იყო,

არ იყვნენ საგამომცემლო საქმიანობის სპეციალისტები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მათგან უმრავლესობას არ ჰქონდა გაცნობიერებული პასუხისმგებლობა მკითხველის მიმართ. მოგებას დახარბებულ კერძო



გამომცემლობებში მდარე, უხარისხო, „შაურიანი“, არაფრისმთქმელ წიგნებს ბეჭდავდნენ. ამას გულდაწყევით აღნიშნავდა ალექსანდრე სარაჯიშვილიც: „დღეს ქართულ ენაზე მრავალი წიგნი იბეჭდება და კიდევ ვრცელდება, მაგრამ სამწუხაროდ, ბევრი უხეირო და შეუსაბამო..“ (ა. სარაჯიშვილი, ივერია, 1899, 48, 4 მარტი).

ამ ტენდენციის გამოსასწორებლად პოლიგრაფიულ საქმიანობაში გამოცდილმა მოღვაწეებმა „ქართველ გამომცემელთა ამხანაგობაც“ კი ჩამოაყალიბეს, სადაც ზაქარია ჭიჭინაძე სოსიკო მერკვილაძის, ივანე როსტომაშვილის, იოსებ იმედაშვილის და სხვ. გვერდით ღირსეულად ემსახურებოდა სახალხო წიგნების შედგენა-გამოცემას.

„ჩემი თვალების გახელის დროს ვიყა-

ვი ძლიერ დაღონებული და გულიც დარდიო მქონდა სავსე, რომ ქართველებს წიგნი სულ არ გვქონდა. წიგნის გამრავლება და გამოჩენაღა მიმანდა ჩვენი ეროვნების აღდგენის მალამოდ და ამიტომ დღე და ღამ ამ იმედით ვსულდგმულებდი“ – წერდა ზაქარია (დ. ასათიანი – ლიტერატურა და სხვა, თბ., 1934, გვ.73). ამ განწყობით 1875 წლიდან 21 წლის ახალგაზრდა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას იწყებს. ბევრს მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კრებს ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, აქვეყნებს პერიოდულ პრესაში, ადგენს წიგნებს. 1876 წელს კი იწყებს საგამომცემლო საქმიანობას.

საგამომცემლო საქმიანობაში, ისე როგორც საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, მკაფიოდ გამოხატული ერთი მიმართულება არ შეურჩევია, მაგრამ რამდენიმე პრიორიტეტული საზი მაინც ისახებოდა მის მიერ გამოცემული წიგნების ვრცელ რეპერტუარში. ესენია: ხალხური სიტყვიერების ნიმუშების გამომხეურება; „ხალხოსნური“ იდეების პოპულარიზაცია (სოციალური ასპექტი); ქართული მწერლობა და საზოგადო მოღვაწეები; საქართველოს ისტორია; ტოლერანტობა საქართველოში მოქმედ ეკლესიათა და რელიგიათა მიმართ და აჭარის თემა.

წიგნების გამოცემისათვის ნებართვის მიღება იოლი არ იყო. „ნაცვლად სიკეთისა და დახმარებისა ... ქართველ ერს დევნა დაუწყეს, ქართველი ერის გადაგვარების, ანუ გარუსების ცდას მიეცნენ. ამიტომ მწიგნობრობას და ისტორიასაც სასტიკი ცენზორი დაუნიშნეს“, – წერდა ზაქარია (იმედაშვილი ი. „ჩემი ცხოვრების წიგნი“, თბ., 1978, გვ.277). ცენზურა ეხებოდა არა მარტო წიგნის გამოცემის ნებართვას, არამედ სტამბის გახსნას, წიგნის მაღაზიის მოწყობას, წიგნით ვაჭრობას ბაზრობებზე ... ყველაფერს, რაც ინტელექტუალური და ეროვნული ცნობიერების განვრცობა-გაღვიძებას ემსახურებოდა. მიუხედავად მრავალგვარი ბარიერისა, მათ შორის ეკონომიური სიდუხჭირისა, ზაქარია ჭიჭინაძემ მოახერხა 220-ზე მეტი დასახელების წიგნის გამოცემა. აქედან 60 წიგნის ავტორი თავადაა, ორმოცამდე წიგნს მისი წინასიტყვაობა ან ბოლოთქმა ერთვის, რაც მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის კონკრეტული გამოცე-

მის შესახებ, ან აანონსებს შემდგომ გამოცემას, ზოგჯერ კი გამოცემებს. მათი უმრავლესობა დაიბეჭდა ე. ხელაძის, როტინიანცის, ე. შარაძის, გრ. ჩარკვიანის სტამბებში. სხვა დანარჩენი იმხანად არსებულ საწარმოებში („სორაპანი“, „ძობო“, „განათლება“ და სხვ.).

საგამომცემლო საქმიანობა 1876 წელს ალ. მესხიევის „ემმაკის ხაროს“ გამოქვეყნებით დაიწყო. რამდენიმე მცირეფორმატიანი წიგნის გამოცემის შემდეგ, 1877 წელს, მისივე შეკრებილ ხალხურ სიტყვიერების გამოქვეყნებას იწყებს: „ქართული სახალხო სიმღერები: წიგნი პირველი“, რომელშიაც შესულია საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ჩაწერილი სასიმღერო ლექსები; რამდენჯერმე გამოსცა „არსენას ლექსი“ (1891, 1892, 1908 წწ.), 1897 წელს მან გამოაქვეყნა „სახალხო ლექსები და ლექსები, ამირანის ამბები, ეთერიანი, აბრამი და ისაკის ლექსი“ და სხვა. წიგნში შესული რამდენიმე თქმულება ამირანზე, ჩართულია 1896 წელს გამოცემულ მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანში“ (1896).

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში „ხალხოსნური“ მოძრაობა დაიწყო. „ხალხოსნური“ იდეებით გატაცება სწრაფად მოედო სრულიად საქართველოს. ჩამოყალიბდა საიდუმლო წრეები თბილისში, გორში, ქუთაისში, თელავსა და ოზურგეთში. „ხალხოსანთა“ რიგებში არაერთი მწერალი და პუბლიცისტი შედიოდა. მათ შორის იყვნენ: ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ხიზანიშვილი და სხვა. ზაქარია ჭიჭინაძე აქტიურად თანამშრომლობდა მოძრაობის წევრებთან. „1880 წელს მე უკვე ფანატიკი სოციალისტი ვიყავი“, – იგონებდა ზაქარია (ს. ხუნდაძე – „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, ტ.2, თბ., 1927, გვ. 320). „ხალხოსანთა“ თანაგრძნობას გამოხატავს მისი როგორც შემოქმედებითი, ისე საგამომცემლო საქმიანობა.

მოძრაობის მხარდასაჭერ საქმიანობას ზაქარია ჭიჭინაძე „ხალხოსან“ მწერალთა ნაწერების გამოცემა-გავრცელებაში ხელაძის. 1881 წლიდან იწყებს ანტონ ფურცელაძის ნაშრომების ბეჭდვას („მამულის საერთო მფლობელობაზე“, 1881; მისი „თხზულებები“ 2 ნაწ., 1884; მოთხრობა „ქაჯანა“, 1890; „მაცო

ხვიტია“, 1895). სულ 18 დასახელების ნაწარმოები გამოიცა. 1914 წელს კი პატივი მიადგო მეგობრისა და თანამოაზრის ხსოვნას, შეკრიბა მწერლის დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვები და ცალკე წიგნად გამოაქვეყნა.

საყურადღებოა ზაქარია ჭიჭინაძის დეაწლი ქართული კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემა-პოპულარიზაციაში. 1882 წელს მან სერიით „ძველი მწერლობა – ქართველი კლასიკოსები“ გამოაქვეყნა ჩახრუხაძის „თამარ მეფისა და მეუღლის მისის დავით მეფის შესხმა“. ამ გამოცემის წინასიტყვაობაში გამოთქმულია გულისტკივილი იმის თაობაზე, რომ „ქართული მწერლობის ისტორიის საქმე ერთობ სამწუხარო სურათს წარმოადგენს, ჩვენ ჯერ არა გვაქვს შეკრებილი საერო და სამეცნიერო ლიტერატურული ცნობები, არა გვაქვს ხელთნაწერი წიგნები და თუ არის რაიმე, იმათი საუკეთესო ნაწილი დღესაც ისევ დაუბეჭდავი და ხელუხლებელი ლპება... ჩვენი მწერლობის ისტორიის საქმე, მისი აღორძინება, შესწავლა, მეცნიერულს ნიადაგზე დამყარება თხოულობს მასალების შეკრებას“. მან თავისი ხარკი გაიღო ამ მიმართულებით. 1883 წელს გამოსცა შავთელის „თამარ მეფისა და მეუღლის მისის დავით მეფის შესხმა“; 1884 წელს დაბეჭდა გრიგოლ ორბელიანის, 1886 წელს – თეიმურაზ პირველის, 1890 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები. 1894 წელს კი დავით გურამიშვილის „დავითიანი“, მაგრამ უმნიშვნელოვანესია 1896 წელს მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანის“ გამოცემა. თუ ზემოთ ჩამოთვლილ ავტორთა ნაწარმოებები ადრე სრულად ან ნაწილობრივ მაინც იყო სხვათა მიერ გამოცემული, „ამირან-დარეჯანიანის“ ტექსტის პირველი გამომცემელი ზაქარია ჭიჭინაძეა, ამასთან მან მოიძია ხალხური თქმულებები ამირანზე და დაურთო ტექსტს დამატებად. გამოცემას ერთვის აგრეთვე ზ. ჭიჭინაძის ვრცელი წერილი (გვ. 374-402) „მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი“ და სხვა.

ზაქარია ჭიჭინაძე განსაკუთრებული პასუხისმგებლობით და ყურადღებით ეკიდება საქართველოს ისტორიას. იგი ჭაბუკობიდანვე აგროვებდა ძველ დოკუმენტებს, ხელნაწერებს. თავად ათობით მნიშვნელოვანი

სტატიისა თუ წიგნის ავტორი, სხვა ისტორიკოსებსაც (რომელთა რაოდენობა იმხანად არც ისე ბევრი იყო) ეხმარებოდა მასალის მოძიებაში, მათ გამოქვეყნებაში.

ისტორიული შინაარსის წიგნების გამოცემა ზაქარია ჭიჭინაძემ დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომების გამოქვეყნებით დაიწყო. იმხანად მეცნიერის ნაწერები, ხშირ შემთხვევაში რუსულ ენაზე, ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. ქართველი მკითხველისათვის ამ ნაშრომის მიწოდება ზაქარიამ აუცილებლად მიიჩნია და 1880-1881 წლებში ხუთ პატარა წიგნად გამოცემა შეძლო. ესენია: 1. მირიან მეფე და წმინდა ნინო; 2. პონტოს მეფე მითრიდატ; 3. საქართველოს მეფე ბაგრატ IV; 4. საქართველოს მეფე ვახტანგ VI; 5. ახალი გამოკვლევა ისტორიისა წინა დროებაზე. 1884 წელს ზაქარიამ ახალგაზრდა ისტორიკოსს მოსე ჯანაშიელს „საქართველოს მოკლე ისტორიისა“ და 1898 წელს ნაშრომის „მეფე ერეკლეს“ გამოცემით გაუმართა ხელი; 1895 წელს გამოსცა პლატონ იოსელიანის ნაშრომი „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა“, რომელსაც ერთვის გამომცემლის განმარტება. ასწავლია მისი შემდგომი საქმიანობა: ზ. ჭიჭინაძეს განუზრახავს ზოგიერთი ძველი წიგნის, რომელთა მოთხოვნილება საზოგადოებაში გაზრდილა, ხელმეორედ გამოცემა. როგორც ის აღნიშნავს: „მე გარემოება ნებას არ მაძლევს, რომ ერთს დროს ჩემი ხარჯით ორი და სამი სხვადასხვანაირი წიგნები ვბეჭდო, იმიტომ, რომ ერთის წიგნის ხარჯი, მეორე წიგნის გამოცემას უნდება, მეორისა მესამეს... ამიტომ გაგებდე წიგნების დასაბეჭდად ხელის მოწერის გამართვა და საზოგადოდ განცხადება“.

საბედნიეროდ, საზოგადოებას მისი მიმართვა უყურადღებოდ არ დაუტოვებია. მას აქტივისტებიც ჰყოლია განჯაში, თელავში, ბათუმში, კაკავშიც კი. სწორედ მათი აგიტაციით შეკრებილა „გიორგი მეცამეტის“ გამოსაცემი თანხა. გამომცემელს ტექსტი დედანთან დაუდარებია, ბევრი შეცდომა შეუნიშნავს, მაგრამ წერტილი და მძიმეც არ ჩაუსწორებია და დაუბეჭდავს „დედანზე სასტიკის შეთანხმებით“.

1895 წელს ზაქარიამ შეძლო იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ორი ნაწილის

ერთ ტომად გამოცემა. წიგნს წამძღვარებულ აქვს დ. ბაქრაძის წერილი – „კალმასობა“, წინასიტყვაობის მაგიერ (I-XX გვ.). დართული აქვს გამომცემლის მეტად საინტერესო ბოლოსიტყვაობა (I-VIII გვ.). როგორც ზაქარია ჭიჭინაძე გვამცნობს, მას შემდეგ, რაც წიგნის გამოცემა გადაუწყვეტია, მიუმართავს ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძისათვის თხოვნით, ნება დაერთო პირველ (1862 წ.) გამოცემაში დაბეჭდილი მისი წინასიტყვაობა გამოეყენებინა მეორე გამოცემაში. მეცნიერი სისხარულით დასთანხმებია. თუმცა აღუნიშნავს: „ჩემი წინასიტყვაობა უნდა შეიცვალოს, რადგან მე იქ ივანე ბატონიშვილზე მაქვს საუბარი, მას ვაკუთვნებ „კალმასობის“ დაწერას და ახლა კი ლაპარაკობენ, რომ ვითომ „კალმასობა“ იონა ბერს ეკუთვნისო. ზაქარიას წიგნის გამოცემა შეუჩერებია. ძირეულად შეუსწავლია ტექსტი, გაუსინჯავს ძველი წიგნის კატალოგები, გასცნობია იონა ბერის შესახებ შემორჩენილ დოკუმენტებს; ასევე შეუსწავლია იოანე ბატონიშვილის მოღვაწეობა, მაგრამ ვერც ერთის და ვერც მეორის ბიოგრაფიაში ვერ მიუკვლევია ცნობისათვის, იყო თუ არა რომელიმე წიგნის ავტორი. ამასობაში, 1890 წელს დიმიტრი ბაქრაძე გარდაიცვალა. მხოლოდ 1895 წელს გაუბედავს წიგნის დაბეჭდვა ზაქარიას. წიგნის ავტორობაც და წინასიტყვაობაც პირველი გამოცემისა დაუტოვებია. 1895 და 1899 წლებში დაბეჭდა „ქართველების შესახებ ევროპელ მოღვაწეთა ცნობები...“ წიგნში თავმოყრილ ინფორმაციას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა მეცნიერებისათვის.

ქართული ტოლერანტობის უბადლო ნიჭით იყო დაჯილდოებული ზაქარია ჭიჭინაძე. მისი ავტორობით გამოიცა ნაშრომები „კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში“ (1904) და ქართველ კათოლიკეთ მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ამბები (1904); ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელები (1907); „ოსეთი ქართული წიგნებით“, ზეპირის ამბებით, სახალისო გამოცემებით და ძველებურის დარჩენილი ცნობებით“, ქართველ სომეხთა მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე ზაქარია პეტრეს ძე გრიქულოვი (1926). მაგრამ განსაკუთრებით გულუხვობით შეხვდა იგი ოსმალეთისგან



საუკუნეებით წარტაცებული მიწისა და მოსახლეობის დაბრუნებას.

1877–1878 წლების რუსეთ–თურქეთის ომის შემდგომ აჭარა – ქობულეთი საქართველოს დაუბრუნდა – გამუსულმანებულ ქართველებთან ერთად. სამშობლოს XVII საუკუნიდან ჩამოცილებული და ძალით მაჰმადის რჯულზე გადაყვანილ ქართველობას მშობლიური ენაც მივიწყებული ჰქონდა. მათი ადაპტაცია ხანგრძლივ და ფაქიზ დამოკიდებულებას საჭიროებდა. თუმცა, ქართველი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, დიმიტრი ბაქრაძე და სხვანი დიდ მუშაობას ეწეოდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი დედაწლი ქართველთა დედასამშობლოსთან კვლავ დაახლოებისათვის ზაქარია ჭიჭინაძემ გასწია. ხშირად სტუმრობდა რეგიონს. ჩაჰქონდა წიგნები და უფასოდ ურიგებდა მოსახლეობას. წერდა სამუსულმანო საქართველოს შესახებ, გამოსცემდა მათ თანდართული ქართული ანბანი. „ქართველთა მაჰმადიანთა სახალხო ლექსები, შეკრებილი ბათუმში, ქობულეთში, აჭარაში და სხვაგან“ 1897 წელს გამოაქვეყნა, ხოლო „ქართველთა მაჰმადიანთა სახალხო ლექსები, შეკრებილი ბათუმში, ქობულეთში, ჩურუქსუში, აჭარაში და სხვაგან“ დამატებით გამოსცა 1900 წელს. წიგნს დართული აქვს მხატვრულად გაფორ-

მებული ქართული ანბანი. აჭარლებისათვის იყო გამიზნული „ქართული ანბანის“ გამოცემა. ამ მიმართულებით მან ბევრი რამ გააკეთა, ბევრიც განუხორციელებელი დარჩა. ამის დასტურია რამდენიმე წიგნში ჩართული გამომცემლის ვარაუდი: „ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ უნდა დაიბეჭდოს ოცდაათნაირი წიგნი“ (წიგნში „ქართველების განმაჰმადიანება“, 1907), ხოლო 1927 წელს გამოცემულ „ისტორიის კონსპექტს“ დართული აქვს სია: „ქართველ მაჰმადიანთა შესახებ ჩემი დაბეჭდილი წიგნები“ (8 ერთ.) და „დაუბეჭდავი წერილები“ (80 ერთ.).

ზაქარია ჭიჭინაძეს დიდი ქართველი განმანათლებელი შეიძლება ვუწოდოთ. იგი სიყმაწვილიდან – სიცოცხლის ბოლომდე უანგაროდ ემსახურა ქართული წიგნის გამოცემა–გავრცელების საქმეს. ამით მას ეკონომიური მოგება არასოდეს მიუღია. ღარიბ–ღატაკმა დატოვა ეს სამყარო. სამაგიეროდ მისგან დატოვებული საგანძური ჯერ კიდევ უღეველია. ხოლო სამშობლოს უანგაროდ სამსახურისათვის მადლიერი ქართველი ერისგან სიყვარული და მარადიული პატივისცემა დაიმსახურა. ამის დასტურია მისი განსასვენებელი მთაწმინდის პანთეონში.

ბურამ თაყნიაშვილი

„საქართველოს სამოთხე“ და მისი ავტორი

მ.საბინინი 170 წ.

ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის მიხეილ (გობრონ) საბინინს. მის მიერ შესწავლილმა ეპიგრაფიკულმა ძეგლებმა და საეკლესიო მწერლობის ნიმუშების გამომზეურებამ ბევრწილად სიცხადე შეიტანა საქართველოს ეკლესიის ისტორიის სრულყოფილად შესწავლის საქმეში.

მიხეილ საბინინი დაიბადა 1845 წელს თბილისში. იგი წარმომავლობით რუსი იყო. დედა ქართველი ჰყავდა, გვარად მირზაშვილი; სწავლობდა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში,

შემდეგ დაასრულა პეტერბურგის სასულიერო აკადემია, მიიღო ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი. საბინინმა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის დროს გამოამუღავნა ცხოველი ინტერესი ქართული საეკლესიო მწერლობისა და ეპიგრაფიკული მასალების შესწავლისადმი. აგროვებდა ხელნაწერებს, მხატვრობისა და ოქრომჭედლობის ნიმუშებს, საქართველოს სასულიერო პირთა შესახებ გამოქვეყნებულ თუ ხელნაწერ სტატიებს. თავისი ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდ-

ში საბინინმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული სასულიერო მწერლობის მეცნიერულ კვლევას, გაამდიდრა რა იგი მანამდე უცნობი და შეუსწავლელი მასალებით. მისი ფუნდამენტური ნაშრომია „საქართველოს სამოთხე“, გამოცემული ქართულ ენაზე პეტერბურგში 1882 წელს. მანამდე მან რუსულ ენაზე გამოსცა „ქართული ეკლესიის წმინდანების ცხოვრებათა სრული აღწერილობა“, 1872 წელს, და „ქართული ეკლესიის ისტორია“ 1877 წელს. თავის ნაშრომებში იგი დაუნდობლად ილაშქრებდა ქართული ენის დეენის წინააღმდეგ, იცავდა ქართული ეკლესიის ინტერესებს, რის გამოც რუსეთის სინოდმა უარი უთხრა ეპისკოპოსის ხარისხზე.

ქართველი საეკლესიო მოღვაწენი და მეცნიერები საბინინის შემოქმედებით დაინტერესდნენ მისი „საქართველოს სამოთხის“ გამოქვეყნების შემდეგ. წიგნმა ცხოველი ინ-



საქართველოს ეკლესიის დიდება

ტერესი გამოიწვია არამარტო სასულიერო მოღვაწეთა შორის. წიგნის შედგენის პერიოდში მან ფეხით შემოიარა საქართველოს ეკლესიამონასტრები; სიძველეთსაცავებში დაამუშავა ქართული სასულიერო მწერლობის შესახებ არსებული ხელნაწერები; აღწერა საეკლესიო ნივთები და 7 წლის მანძილზე შეკრებილი მასალა წარმოადგინა ერთი სქელტანიანი კრებულის სახით. კრებულში შეიტანა 50 ქართული ისტორიული ლიტერატურის ძეგლი. 50 ქართვე-

ლი წმინდანების ამსახველი მასალები, მიკვლეულია ქართულ თუ უცხოურ წიგნსაცავებში. „საქართველოს სამოთხის“ წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „საქართველოს ეკლესიის დავრდომილებამ და სრულიად დამხოვილებამ მისმან, მაიძულა დიდის გულმოდგინებით დაბეჭდვა ამ წიგნისა“. წიგნის შედგენისას ავტორმა მოილოცა მრავალი სიწმინდე, მრავალი პატიოსანი და მხარდამჭერი ქართველი ნახა, აგრეთვე შეხვდა „მრავალ უკეთურს, გონებით გარყვნილ კაცს, ბევრი მათგანი არის „სიტყვითი ძლიერი – მოქმედებით მცირენი“, როგორც თვითონ წერს წიგნის შესავალში, ამ საქმის წარმართვაში ბევრი ქართველი აღმოჩნდა დამბრკოლებელი – „მათ ყოველთა უწესობითა და უხეშობით დამიხშვეს კარი“.

წიგნის მასალები შეკრიბა პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, აგრეთვე პარიზის ნაციონალურ და მოსკოვის რუმინანცვეის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ხელნაწერებიდან. ხატების ნიმუშები გადმოიღო სვეტიცხოვლის ეკლესიის კედლებიდან, ზოგიც დავით ბატონიშვილის ხელნაწერებიდან; თვითონ გულისტყვივლით წერს, რომ „ზოგი ხატი ისე არ იყო შესრულებული, როგორც ამას მოითხოვდა კლასიკური მხატვრობა“. „დიდი ჭირი და იწროება ვნახე – წერს ავტორი, – მათ აღდგენაში, კაცი შევძრწუნდი, ლამის სასოწარკვეთილებას მივეცი“. ქართველთაგან შემწედ არავინ ჰყავდა, მრავალნი შურის თვალთ შეჰყურებდნენ წიგნის გამოცემას. „საქართველოს სამოთხეს“ ქვესათაურად ავტორმა წარუმიდგარა: „სრული აღწერაი ღვაწლთა და ცნებათა საქართველოს წმიდათა“. ტექსტი იწყება ნაშრომით „ჭეშმარიტი აღსარება მართლისა სარწმუნოებისა თქმული მაქსიმე აღმსარებლისა“. ამის შემდგომ ავტორს გამოქვეყნებული აქვს „მოთხრობა მიძინებისა ყოვლისა წმიდა ღვთისმშობლისა“. წიგნის ამ ნაწილში დეტალურადაა აღწერილი მარიამ ღვთისმშობლის გასვლა ამ ქვეყნიდან. იგი ელაპარაკება 12 აღდგენილ მოციქულს და მიმართავს მათ: „ვიდრე არ მოვიდეს ძე ჩემი, არ განვიდეს სული ჩემი ხორცთაგან“. აღნიშნული სტატიის შემდეგ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღწერილია მიმოსვლა და ქადაგება მოციქულისა ანდრიასი, წამება წმიდა გიორგისა და მისი მოწამებრივი აღსრულება, ცხოვრება წმიდა მოციქულისა ნინასი, წამება წმიდა რაფაელისა, შუშამიკისა; ცხოვრება და ღვაწლის აღწერა წმიდა მოწამეთა იოანე ზედაზნელისა, იესე წილკნელისა, აბიბოს ნეკრესელისა, დავით გარეჯისა, ანტონ მარტყოფელისა, ნეოფიტე ურბნელისა, წამება მეფისა არჩილისა, ილარიონ ქართველისა, ცხოვრება და ანდერძი გიორგი მთაწმინდელისა, ცხოვრება დავით IV აღმაშენებლისა, მეფე ლუარსაბისა, ცხოვრება და მოწამებრივი აღსრულება ქეთევან დედოფლისა, შაღვა, ელიზბარ და ბიძინა ქსნის ერი-

სთავებისა.

სულ „საქართველოს სამოთხეში“ აღწერილია 50 ქართველი წმინდანის ცხოვრება და ტრაგიკული აღსასრული. პირველი ხატი, რომელიც „საქართველოს სამოთხეშია“ წარმოდგენილი. არის ხატი წმიდა მოციქული ნინოსი. აქვეა აღწერილი მირიან მეფის მოქცევა, დაბეჭდილია დაუჯდომელი წმიდა ნინოსი. თითოეული წმინდანის ცხოვრების აღწერას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ნიკოლოზ თბილელის, აგრეთვე ანტონ კათალიკოსის მიძღვნა ლექსად თქმული. დავით აღმაშენებლის შესახებ გადმოღებულ მასალას თან დაერთვის მისი „გალობანი სინანულისანის“ ვრცელი ტექსტი.

ქართული ეკლესია—მონასტრების ბედით და ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის საყოველთაოდ ცნობილია მიხეილ საბინინის ღვაწლი და მცდელობა ცალკეული ეკლესია—მონასტრის განახლებისა და აღორძინების საქმეში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მ. საბინინის შრომა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსისათვის საეკლესიო და სხვა დანიშნულების ნივთების შეწირვა. იხილა რა დავით გარეჯის წმიდა ნაწილების მდგომარეობა, საბინინი წერდა: „შიშველნი ძვალნი წმინდანთა ამა ღირსთა მოწამეთა აქამომდე მიუხედავად ასვენია დიდ გამოქვაბულსა შინა და არ არს კეთილად დაცული, ერთი ქართველი არ მინახავს მათი თავყანისმცემელი“ და გულისტკივილით მოუწოდებს ქართველებს: „ქართველნო, ღხინი და ღვინო და ცრუ ქმნაი, დანთქმა და რისხუა აღმოფხვანაი“ („საქართველოს სამოთხე“ გვ. 537). დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს მ. საბინინმა შესწირა მარმარილოს ტრაპეზი, კაკლის ხის კანკელები, საეკლესიო ჭურჭელი, საღებაეები, ხუთი დიდი მოოქროვილი ბრინჯაოს სასანთლე, დიდი ჯვარი, თეთრი თუნუქი სახურავისათვის, მღვდელ—მონაზვნების სრული შესამოსელი. სპეციალური წერილით მ. საბინინი იმპერატორს სთხოვს, დაავადლოს ფოტოგრაფ მ. როინიშვილს, გადაიღოს გარეჯის მონასტრის ფოტოები, რათა „უფრო დაინტერესდნენ მით რუსეთში“.

მომდევნო პერიოდში მ. საბინინი ყურადღებას არ აკლებდა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს; შეწირული ნივთებიდან და სამოსელებიდან აღსანიშნავია დავითის საფლავისათვის შეწირული გადასაფარებელი, ვერცხლის ძაფებისაგან მოქსოვილი. ასეთი ქველმოქმედებისა და უშურველი შეწირულობებისათვის ზოგიერთი სასულიერო თუ საერო პირი ეჭვის თვალით უყურებდა საბინინის მოქმედებას, მას აბრალებდნენ, რომ შეწირულობებით იგი მდიდრდებოდა. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის აღდგენისას მ. საბინინი ცდილობდა, დაეცვა ქართული ხუროთმოძღვრების სტილი.

მ. საბინინის სახელთანაა დაკავშირებული ბოდბის ტაძრის განახლება და დედათა მონასტრის დაარსება. საგულდაგულოდ შეგ-

როვდა ამ მონასტრის ძვირფასი ნივთები, ტაძრის სამრეკლოს გუმბათს დაედგა ცხრამეტჯუთიანი ჯვარი, მოწესრიგდა წმ. ნინოს საფლავი, შეამკო იგი თეთრი ვერცხლის ზედ წასახურვით; გარდა ამისა, ტაძარს შესწირა მშვენიერი ხედივნების ღამპრები ოქროში ნაცური წითელი შუშებით, დიდი შვიდი სასანთლე ტრაპეზისათვის, წყვილი დროშა ოქროს ვარაყით და სხვ. ძვირფასეულობანი.

მ. საბინინის მოღვაწეობას წინ აღუდგა არა მარტო რუსეთის სამღვდლოების ნაწილი, არამედ ქართული საზოგადოების მტრულად განწყობილი პირებიც. ამის შესახებ მ. საბინინი წერდა: „რუსები მქენჯნიან ქართველების მხარე გიჭირავსო, და ქართველები წერენ: „რუსების აგენტი ხარო“. 1882 წელს, როდესაც წიგნი ახლად გამოსული იყო, წიგნი უარყოფითად შეაფასა სასულიერო ცენზორმა მ. ხელიძემ იმ მოტივით, რომ წიგნის „სქოლიოში არის შეურაცხმყოფელი გამოხატუებები თანამედროვე საქართველოსა და სომხების მიმართ“. ავტორი წინასიტყვაობაში წერდა: ჩვენს სასულიერო ლიტერატურას გაესკვნა საძირკველი: დღეს გამოუჩნდა საკითხავი წიგნი, საიდანაც მას შეუძლია აიღოს ცოცხალი მაგალითი ღვთისა და კაცთმოყვარეობისა, თავგანწირვისა და ზნეობრიობისა“.

მ. საბინინმა 1885 და 1895 წწ. შექმნა ხატი „საქართველოს ეკლესიის დიდება“. ხატის სახელწოდება ზოგიერთ წყაროში ასეთი სახელწოდებითაა: „დიდება საქართველოს საკათოლიკო ეკლესიისა“. ხატის შემქმნელმა ხორცი შეასხა საქართველოს წმინდანების, მოწამეთა, ღირსთა, მეფეებისა და მეომრების, ეპისკოპოსებისა და ბერების სახეებს. ხატი წარმოადგენს ქართული პედაგოგიკის დიდებულ კრებულს. ხატი მისტიკური სარკმელია ზეცაში, საიდანაც უხილავი ნათელი იფრქევა დედამიწაზე. ხატის ზედა ნაწილში გამოსახულია იესო ქრისტე, კურთხევად ხელმძყრობილი, მისგან განეფინება საოცარი სხივები. ქრისტეს მარჯვნივ გამოსახულია დედა ღვთისა, მის გვერდით ხატზე ადგილს იკავებს წმინდა გიორგი. მის მარჯვნივ დგანან მოციქულები ანდრია პირველწოდებული და მატათა. ხატის კომპოზიციური ცენტრი ცხოველმყოფელი სვეტია; მის ქვეშ არის მცხეთელი იუდეველის წმინდა სიღონიას ნეშტი. სვეტი კედარისაგან გამოთლილი მირონმდინარი ნაწილია ხატისა, რომელიც ანგელოზმა მაღლა ასწია ჯვართამაღლების მსგავსად. ხატზე გამოსახულია აგრეთვე დიდმოწამე ევსტათი მცხეთელი, იოანე ზედაზნელი და თორმეტი ასურელი მოღვაწეები, როგორც ახალი მოღვაწეები, წარმოდგენილი მარიამ ღვთისმშობლის მიერ. ხატზე საპატიო ადგილს იკავებენ ქართველი წამებული მეფეები, დავით გარეჯის სასულიერო პირები, მეფე ლუარსაბი, წმინდა ქეთევან დედოფალი და ა. შ.

ხატი „დიდება საქართველოს საკათოლიკო ეკლესიისა“ საქართველოს დიადი წარ-

სულისა და მომავლის განსახიერებაა. საქართველოს წმინდანები, რომლებმაც სიცოცხლის ფასად დაიცვეს თავიანთი სარწმუნოება, ხატის წინაშე დგანან როგორც მეომრები საბრძოლო დროშასთან; მათ აცისკროვნებს სხივები საუფლო კვართისა, რომელიც სინათლეს აფრქვევს მიწის წიაღიდან.

მიხეილ საბინინის მიერ დახატულ ხატში საქართველოს ეკლესიის გულისცემა ისმის. ხატი დაწერილია ძველი ქართული ფრესკების, ხატებისა და მინიატურების საფუძველზე. აღნიშნული ხატი და „საქართველოს სამოთხე“ მ. საბინინმა 1889 წელს შესწირა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. მ. საბინინი ნამდვილ ქართულ საქმეს აკეთებდა. მან საქართველოს ეკლესიის ისტორია გაამდიდრა თავისი ორიგინალური, თუ ნათარგმნი ნაშრომებით. ქართველი წმინდანების შესახებ მასალების ძიებაში ბევრმა ნამდვილმა სასულიერო პირმა გაუწია უანგარო დახმარება. მის მოღვაწეობას ბევრიც შურის თვალთ უყურებდა, მის შესახებ ავრცელებდნენ ჭორებს. 1897 წელს მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიუყენა გიორგი ყაზბეგმა, თბილისში, ერევნის მოედანზე („ცნობის ფურცელი“, 1897, 264).

მიხეილ საბინინს სულიერი ნათესაობა აკავშირებდა ილიასთან, აკაკისთან, თერგდალეულებთან, უცხოეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერებთან, თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „საქართველოს სამოთხე“ შესავალში იგი მოწიწებით მიმართავს მკითხველს: „რაიცა ძალიმედვა სასულიერო სასარგებლოდ, სულ ყოველი აქ მოვიხსენე და გევედრები პატიოსანო მკითხველო, თუ გონებით, თუ წერილით, რაიმე იცოდე მეტი ამისა ღონისძიებით და გულმოდგინებით შეასრულე და მიუმატე, რათა არ წარიყვნას წმიდათა ენა ჩვენი და წმიდა მამათა მოხსენებული, რათა არ დაგკარგოთ საქართველოს წმიდათა ცხოვრება“.

როგორც აღვნიშნეთ, მ. საბინინის „საქართველოს სამოთხე“ პირველად გამოიცა 1882 წელს პეტერბურგში. მეორე გამოცემა დაიბეჭდა 2010 წელს. მე-2 გამოცემა თავიდან აიწყო და დაკაბადონდა, ტექსტს შეუნარჩუნდა უძველესი გრამატიკული ფორმები, დაერთო მცირე განმარტებითი ლექსიკონი. პირველი გამოცემა შემკობილი იყო საბინინის მიერ შესრულებული ან შეგროვებული გრაფიკული ხატებით. ამ ხატების მიხედვით ისინი ახალ ფერებში შესრულდა ხატმწერი გიორგი ზაქაიძის მიერ.

მ. საბინინის ნაშრომებს და განსაკუთრებით „საქართველოს სამოთხეს“ ღირსეული ადგილი უკავია საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის პირველწყაროებს შორის. ამ წიგნს მ. ჯანაშიელი თავისი მნიშვნელობით „ქართლის ცხოვრებას“ უტოლებს (დროება, 1882, 245). წიგნი უთუოდ ასრულებს თავის უკეთიდშობილეს მისიას – რწმენისა და მამულის სიყვარულის განმტკიცება ჭეშმარიტი ქართველის გულში; წიგ-

ნი ნამდვილ მეგზურობას გაუწევს იმათ, ვინც დაინტერესებულია ქართველ წმინდათა დასის ცხოვრებისა და მოწამებრივი აღსრულების საკითხების შესწავლით.

მ. საბინინი გარდაიცვალა 1900 წელს მოსკოვში, ფილტვების ანთებით. დაკრძალულია წმ. დანიელის მონასტრის ეზოში. მისი საფლავი დღემდე უცნობია, ვერვინ შეძლო მისი ანდერძის აღსრულება „დამმარხეთ საქართველოში“.

მ. საბინინის თხზულებათა ძირითადი გამოცემები:

1. საქართველოს სამოთხე – სპბ., 1882.–642 გვ;
2. საქართველოს სამოთხე – თბ., 2010.–600 გვ;
3. **Сабинин, М. П. Полное жизнеописание святых Грузинской церкви: Жребий божией материю.** – СПБ; 1871-1873. Т.1. – 178 с. Т.2. – 213 с. Т.3. – 183 с.
4. **История Грузинской церкви до конца VI века.** – СПБ; 1877.- 184 с.
5. **Объяснение картины „Слава св. православной Грузинской церкви,“** – М., 1899.- 26 с.

ლიტერატურა მ. საბინინის შესახებ:

1. კიკნაძე, ვ. ეროვნული და საეკლესიო პრობლემატიკა მე-19 საუკუნის ქართული სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში. – თბ., 2009.– 336 გვ;
2. ჯანაშიელი, დ. „საქართველოს სამოთხის“ შესახებ//დროება.– 1882.– №245, 246; 1887.– №77;
3. ქებულაძე, მ. მიხეილ საბინინის მოღვაწეობის ისტორიისათვის//სერგი დანელია.–125.– მე-7 რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია: პროგრამა და მასალები.– ქუთაისი, 2014.– გვ.98–99;
4. ნადირაძე, ა. გრძნობა შენი მოვლისა.– თბ., 2009.– 536 გვ;
5. მეტრეველი, რ. და მოვიდეს ვარანგი.– თბ., 1988.– 176 გვ;
6. არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი).– ხატი „დიდება საქართველოს საკათოლიკოსო ეკლესიისა“ – თბ., 2006.– 88 გვ;
7. მეტრეველი, რ. „დამმარხეთ საქართველოში“//მნათობი.– 1985.– №9.– გვ.15–17.

ლია გიგაური

ორი დიდი ლირიკოსის იუბილე


აკაკი წერეთელი – 175
ვაჰან ტერიანი – 130

2015 წელი ორი მეზობელი ერის (ქართველთა და სომეხთა) გამოჩენილი პოეტების – აკაკი წერეთლისა და ვაჰან ტერიანის – საიუბილეო წლებია. აკაკის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წელი შეუსრულდა, ტერიანს კი – დაბადებიდან 130 და გარდაცვალებიდან 95 წელი. დიდი ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, მათი სახელები სამუდამოდ დაუკავშირდა ერთმანეთს. 28 წლის იქნებოდა ტერიანი, აკაკი რომ პირველად ნახა. ეს მოხდა მოსკოვში გამართულ იმ საქველმოქედო საღამოზე, რომელიც აკაკის საიუბილეო საღამოების გაგრძელებას წარმოადგენდა.

ვაჰან ტერიანი, სომხური სიმბოლიზმის მამამთავარი, განძაში იყო დაბადებული. ეს სოფელი შედიოდა ჯერ ახალქალაქის, შემდეგ კი ნინოწმინდის (ბოგდანოვკის) რაიონში და მოქცეული იყო თავფარავნისა და საღამოს ტბებს შორის. ვაჰანს ძლიერ უყვარდა მშობლიური სანახები. ერთხელ ავეტიკ ისაკიანსაც გაუწია დიდებული მასპინძლობა და ფეხით მოატარა იქაურობა. „როს დავიღლები, ჩემს შორეულს მიმგვართე განძას“, – წერდა უცხოეთს გადახვეწილი სევდიანი პოეტი. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ტერიანი ერთხანს თბილისში იყო უფროს კმასთან ერთად, შემდეგ კი მოსკოვის ლაზარაანთ ინსტიტუტში შევიდა... იქ ბევრი კავკასიელი სტუდენტი გაიცნო, მათ შორის უმეტესობა ქართველი იყო. ისინი, როგორც ტერიანი გადმოგვცემს, ხშირად საუბრობდნენ ქართული ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების საკითხებზე. პოეტმა მათგან ბევრი რამ შეიტყო აკაკის შესახებაც. გამოსდა ხანი, ტერიანი მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიო-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა და აკაკის შემოქმედებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაუცხოველდა. ამაში კი დიდი როლი მოსკოვის ქართველ სტუდენტთა სამოსთან სიახლოვემ ითამაშა.


მე-19 საუკუნის 80-იანი წლე-

ბიდან რუსეთის სასწავლო ცენტრებში (მოსკოვი, პეტერბურგი, კიევი, ხარკოვი, ოდესა, ტომსკი, ყაზანი...), სადაც თავმოყრილი იყო თითქმის მთელი კავკასიის მოწინავე ახალგაზრდობა, დაიწყო სტუდენტური საზოგადოებების ჩამოყალიბება. ამის ერთ-ერთი მიზეზი მათი მძიმე მატერიალური პირობები და უსახსრობა იყო. თავიანთი ღუხტირი მდგომარეობის



გამოსწორებას ისინი შემოწირულობათა შეგროვებითა და საქველმოქმედო საღამოებით ცდილობდნენ. მათმა საქმიანობამ დროთა განმავლობაში კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათი მიიღო – რუსულ საზოგადოებას საქართველოს ისტორიას აცნობდნენ და ქართული კულტურის რეკლამას ეწეოდნენ... მე-19 ს-ის 90-იანი წლებიდან ასეთ მოსკოვურ საზოგადოებას შეუცვლელად ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი-იუჟინი. ამის პარალელურად პეტერბურგშიც საქმიანობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრე პროფ. ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით (შემდგომში ამ წრის წევრები გახდნენ საქართველოს პირვე-

ლი უნივერსიტეტის სულისჩამდგმელნი და თავდაპირველი ლექტორები). მოგვიანებით მოსკოვის კავკასიელ სტუდენტთა ძმობამაც, სუმბათაშვილ-იუჟინის ინიციატივით, შექმნა „საქართველოს ხელოვნების, ისტორიისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება“. სწორედ ამ საზოგადოების მეცადინეობით ჩატარდა ბელინსკის, გოგოლის, ილიას, აკაკის, ბარათაშვილის, ვაჟას შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოები მოსკოვის



უნივერსიტეტში. 1908 წელს ამ საზოგადოების თავმჯდომარედ ალექსანდრე სუმბათაშვილი აირჩიეს. მან იმავე წელს მოაწყო საქველმოქმედო საღამო აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით. საიუბილეო სხდომას 800 ადამიანი დაესწრო (ჩვენთვის ცნობილი არ არის, იყო თუ არა ტერიანი ამ სხდომის მონაწილე). სხდომის თავმჯდომარემ, აკად. საკულებმა, ვრცლად ისაუბრა აკაკი წერეთელზე, მის დამსახურებაზე, მისი პოეტური ნაწარმოებების ღირსებაზე, ხაზი გაუსვა ქართულ-რუსული პოეზიის იდეურ ნათესაობას. ვახუთი „ადრინი დილა“ ასე აღწერდა ამ შეხვედრას: „ცენტრში, მაგიდასთან, ყველასათვის ნაცნობი მხარბუჭანიერი ფიგურა ალ. სუმბათოვ-იუჟინისა... მან გაიხსენა შარშან გარდაცვლილი ილია ჭავჭავაძე და დიდი სიხარულით აღნიშნა, რომ მხნედ არის აკაკი წერეთელი, თავისუფალი სულის ჭეშმარიტი რაინდი, რომ იგი არის მე-19 საუკუნის ჰუმანისტური იდეის შვილი და ქურუმი. და, თუმცა მე-20 საუკუნემ ყველა ღირებულება გადააფასა, კაცობრიობა უკან მოუხედავად მაინც ვერ გაძლებს, თავისი წილი რომ არ მიავგოს მე-19 საუკუნის იდეურ მებრძოლებს, მათ რიცხვში აკაკი წერეთელსაც. იგი თავის

შემოქმედებაში უძღერის ადამიანის თავისუფლებას, სილამაზეს. წერეთელი ქართველი პუშკინია. მან საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ყველაფერს თავისი კვალი დაატყო.“

1913 წლის 13 იანვარს მოსკოვის ქართველთა საზოგადოებამ ქართული პოეზიის კლასიკოსს კიდევ ერთი შეხვედრა მოუწყო. აი, სწორედ ამ შეხვედრაზე იხილა ტერიანმა აკაკი. როგორც თვითმხილველთა პუბლიკაციები გადმოგვცემენ, მაშინდელი ქართულ-რუსული ინტელიგენცია დიდი ზეიმით დახვდა აკაკის, დაფნის გვირგვინი და წითელი ვარდების დიდი თაიგული გადასცა. „დიდება ქართული პოეზიის მზეს!-გაისმა დარბაზში, რასაც აპლოდისმენტები და „მრავალუამიერი“ მოჰყვა. ტერიანიც მათ შორის გაცემული შეჰყურებდა ხალხის რეაქციას და ყველაზე მეტად ადამიანების სიკეთე და კაცთმოყვარეობა უხარებდა გულს. იგი თავის მოგონებაში ასე გვიყვება ამ „სიყვარულის ზეიმის“ ამბავს: „აკაკი დარბაზში სუმბათაშვილ-იუჟინის თანხლებით შემოვიდა. მას სტუდენტები უბრალოდ სახელით მოიხსენიებდნენ. მე მიკვირდა, როგორ შეიძლებოდა დიდი პოეტის ასე უბრალოდ ხსენება. თუმცა მერე მივხვდი, რომ ეს დიდი სიყვარულის გამოძახილი იყო. ისინი ხომ თავის პოეტს დიდი მოწიწებით ექცეოდნენ და სულ თავს დასტრიალებდნენ...ეს შეხვედრა შეიძლება მიჯნურთა შეხვედრად იქნეს წოდებული. ეს იყო მამაპაპური სიყვარულით ავიზგიზებული შეხვედრა, რომელიც სხვაგან არასოდეს მინახავს. ერთი ნაწილი სადგურისაკენ გაემართა აკაკის დასახვედრად, მეორე ნაწილი კი მწერალ-ხელოვანთა კლუბში წავიდა, კავკასიელთა თავმჯდომარის ცენტრში...რით უნდა აიხსნას პოეტისადმი ეს უმაგალითო სიყვარული?– მკითხა რუსმა ჟურნალისტმა. პირველად ვიგრძენი უხერხულობა ქართულის უცოდინრობის გამო. რა უნდა მეპასუხა, გარდა იმისა, რომ სომეხი ვარ-მეთქი. ჟურნალისტი ჩემგან ელოდა ქართული ენისა და მწერლობის კარგ ცოდნას. მე კი ასე შევრცხვი. ბოლოს და ბოლოს, რამდენ სომეხს შეუძლია დაიქადნოს ასეთი ცოდნით?! შევხედე მოხუც აკაკის და მაშინვე გამახსენდა მამაჩემი. წუთით წარმოვიდგინე, რომ მამაჩემივით ეთქვა:“მამა, დავიღალეო“...პირველი სიტყვა წარმოთქვეს მოსკოვის ქართველთა კოლონიის წარმომადგენელმა „მოხუცებმა“. შემდეგ სიტყვა სტუდენტებს მიეცა. ზოგჯერ ამ საღამოს ამახინჯებდა ცალკეული მშრალი ოფიციალობა. რიგი მიდგა რუს მწერლებსა და ჟურნალისტებზე. აკაკიმ სიტყვა რუსულად წარმოთქვა...სტუდენტები მას ხელზე ეამბორობოდნენ, იგი კი – შუბლზე...ამ შეხვედრა-

ში იყო გულახდილობა და სისპეტაკე... და გამხნევედა მოხუცი, თითქოს თავისი შვილებისა და შვილიშვილების სიყვარულით გარემოცული...და ეს ბედნიერება ბრწყინავდა სიბერით დაღარულ სახეზე მის პატრიარქისებურ თვალებში“...

როგორი სითბოა ამ წერილში!.. ვაჰან ტერიანი, საზოგადოდ, ძალზე მოკრძალებული ადამიანი იყო, თავმდაბალი და მორიდებული. სტუდენტობის დროს მოსკოვსა და პეტერბურგში სტუმრად ჩასულ სომხური ლიტერატურის კორიფეებთან მიახლოებაც კი ვერ გაბედა. ავეტიკისააკიანმა თვითონ შეამჩნია და სახლში მიიწვია დარცხვენილი ახალგაზრდა. რამხელა შთაბეჭდილებები უნდა მიეღო პოეტს აკაკის იუბილეზე, ასეთი სიყვარულით გამთბარი მოგონება რომ ეჩუქებინა ჩვენთვის და ეს წერილი 1915 წლის 15 თებერვალს დაებეჭდა გაზეთ „მშაკში“ სათაურით: „აკაკი წერეთელი მოსკოვში“ (სახელდახელო მოგონება მისი ცხოვრებიდან) და ბოლოში ხელმოწერით: „ვ.ტ.“

ჩვენთვის საინტერესოა აგრეთვე ამ პერიოდის სხვა მასალებიც, რომლებიც 1913 წლის 13 იანვრის შეხვედრას აღგვიწერენ. მათი გადმოცემით, აკაკის პირველად სუმბათაშვილ-იუჟინი მიესალმა. მისასალმებელი სიტყვის სტენოგრაფია დაკარგულია, თუმცა ცნობილია, რომ ეს იყო დიდი, „გასაოცრად ლამაზი“ გამოსვლა. იგი საუბრობდა აკაკიზე, როგორც თავისი დროის უდიდეს პუმანისტზე, მის გენიაზე. თვითონ აკაკიმ ორი სიტყვა წარმოთქვა ქართულ და რუსულ ენებზე. აკაკის ასე მიუმაართავს რუსული საზოგადოებისთვის: „ თავს ნებას მივცემ, რამდენიმე სიტყვა რუსულად წარმოვთქვა, თუმცა ჩემი გრძნობების სრულად გადმოცემა ქართულადაც მიჭირს...ხალხებს ხელოვნება და სიყვარული აერთიანებს... მე მჯეროდა, რომ მაღე მოვიდოდა განათლებული ახალგაზრდა რუსეთი და დღეს თქვენ ხართ ამ ახალი რუსეთის პირველი მერცხლები...მინდა შემოგთავაზოთ სადღეგრძელო არა მარტო თქვენთვის, არამედ მათთვისაც, ვინც თქვენ შემდეგ მოვა არა ბორკილებით, არამედ ძმობით, თანასწორობითა და სიყვარულით შეკრული თაიგულებით...“

გალაკტიონ ტაბიძე თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ 1913 წელს იგი აკაკისთან ერთად გამოდიოდა ქუთაისში, ზოგადად იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში გამართულ პოეტურ სადამოებზე; რომ აკაკიმ 1914 წელს იგი აღიარა ყველა ახალგაზრდა პოეტებში (მგოსნებში) უნიჭიერეს პოეტად; რომ სასტუმრო „გრანდ ოტელის“ პატარა ცივ ოთახში, ქუთაისში, უკანასკნელად შეხვდა აკაკის. გ. ტაბიძის აკაკისთან ერთად მოსკოვში ყოფნაზე კი არაფერია ნათქვამი. ცნობი-

ლია მხოლოდ ის, რომ 1915 წელს მოსკოვში ტრადიციულად ქცეულ „ქართული ჩაის საღამოზე“ მიიპატივეს გალაკტიონი და მასთან ერთად პირველად გამოჩნდა ახალგაზრდა ვერიკო ანჯაფარიძე.

ვ. ტერიანს კი აკაკის საიუბილეო საღამოზე რუს ჟურნალისტთან გასაუბრების შემდეგ კიდევ უფრო გაუცხოველდა ქართული ენისა და ლიტერატურის ღრმად შესწავლის ინტერესი. 1913 წელს პოეტისეულ ჩანაწერებში უკვე გამოჩნდა ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილისა და ქართულ კულტურასთან თავისი მოღვაწეობით დაკავშირებული სხვა ადამიანების სახელებიც. ნ. მარის რჩევით, ტერიანი პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შევიდა და ახლო აღმოსავლეთის ენების, ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესწავლა დაიწყო. ამ ფაკულტეტზე სწავლობდა თავის დროზე აკაკიც.

ერევნის ლიტერატურული მუზეუმის ვ. ტერიანის პირად ფონდში დაცულია პოეტის აუარებელი ხელნაწერი. აქ არის წარმოდგენილი მისი ლექციების ჩანაწერები, კერძოდ, ნ. მარის ლექციები ძველი ქართული ენის გრამატიკაში, ივ. ჯავახიშვილის ლექციები საქართველოს ისტორიაში...ამის გარდა, აქ არის უამრავი მასალა, საიდანაც ჩანს, რომ ტერიანი სერიოზულად და საფუძვლიანად სწავლობდა ქართულ ენას და რამდენიმე წლის თავდაუზოგავი მუშაობის შემდეგ მან პირველად გაბედა აკაკის პოეზიის თარგმნა. ავადმყოფობის მიუხედავად, ხელი მოჰკიდა „კინტოს სიმღერას“, გადაწერა იგი ჯერ ქართულად, შემდეგ რუსულად და სომხურად. ეს იმისთვის, რომ შინაარსი უკეთ გაეგო და რაიმე ხარვეზი არ გაპარვოდა თარგმანში.

აკაკის „კინტოს სიმღერის“ წარმატებულმა თარგმანმა ტერიანი კიდევ უფრო შეაგულიანა და 1916-17 წლებში შეუდგა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას, თუმცა მხოლოდ პროლოგი მოასწრო. ამ უდიადესი პოემის გაკება პოეტისგან მრავალმხრივ განსწავლას მოითხოვდა, მათ შორის საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ განათლებას. ტერიანს რომ დასცლოდა, მასზე უკეთეს თარგმანს ვერავინ გააკეთებდა. თუმცა მანამდე არსებობდა „ვეფხისტყაოსნის“ ბასტამიანისეული თარგმანი, შესრულებული თბილისის სომხურ დიალექტზე, ასევე არუთინ მირიმანიანისეული თარგმანის პროზაული ვარიანტი. 1920 წელს ჟურნალ „ნორქში“ პირველად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის თარგმანი. ლიტერატურათმცოდნეები აღნიშნავენ, რომ ტერიანის თარგმანში არ იგრძნობა რომელიმე ლიტერატურული სკოლის სტილი; რომ მან ჩაუყარა საფუძველი

სრულფასოვან პოეტურ თარგმანებას სომხურ ენაზე.

აკაკისა და ტერიანის შემოქმედებას, მიუხედავად ამ ორი დიდი პოეტის მიერ გავლილი დუხჭირი ცხოვრებისა, არ დაუკარგავს ღირიზმი და აქტუალობა. ტყუილად კი არ წერდა ვ. ტერიანი თავის „ტრიოლეტებში“ :

არ აქვს სპარსეთის შაჰსაც,
უსახლო პოეტს რაიც.
ამხელა განძი მაინც
არ აქვს სპარსეთის შაჰსაც.
ამ ქვეყნის ბნელ ციხეში
ის მდიდარია მაინც.
არ აქვს სპარსეთის შაჰსაც,
უსახლო პოეტს რაიც.

(თარგმანი ჩემია. ლ.გ.)



გიორგი სარაჯიშვილი

ამბავი დავით სარაჯიშვილის საფლავზე დაუდგმელი ქებლისა და აკაკის „მცირე შენიშვნა“

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქიმიისა და ფილოსოფოსის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული კონიაკის წარმოების ფუძემდებელი დავით სარაჯიშვილი გარდა-



იცვალა 1911 წელს. იგი დაკრძალეს დიდუბის ეკლესიის გალავანში. დ. სარაჯიშვილის საფლავზე ქებლის ასაგებად გამოცხადებული კონკურსის გამო 1911 წლის 15 ოქტომბერის „სახალხო გაზეთი“ წერდა: „წარმოუდგენიათ რამდენიმე მოდელი, სხვათაშორის, ბერლინიდან წარმოდგენილი იყო სამი

მოდელი ხუროთმოძღვრის ცარისა (პროფ. კ. ცარი, მაჩაბლის ქუჩაზე დ. სარაჯიშვილის სახლის არქიტექტორი); ეს მოდელები უბრალო სასაფლაოს ძეგლისებური იყო და ამიტომ დაიწუნეს; ქართველი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის მოდელმა კი ყურადღება მიიპყრო“. ნიკოლაძისეული პირვანდელი ესკიზი დღეისათვის ცნობილია ფოტოს სახით.

მ. დუდუჩავა თავის წიგნში „იაკობ ნიკოლაძე“ მკითხველს აცნობებს, რომ მოქანდაკე ქებლის თემად იღებს არა თვით სარაჯიშვილის სახეს, არამედ სიკვდილისა და იმედის მოტივს; ბუნებრივია, რომ სხვაგვარად არ შეიძლებოდა მოქცეულიყო მოქანდაკე, რადგან ცნობილი კაპიტალისტის ცხოვრება მოკლებული იყო ხელოვნებისათვის შთამაგონებელ შინაარსს“. კომუნისტური იდეოლოგიით შთაგონებულ მ. დუდუჩავას ცხადია, არ ეცოდინებოდა „ცნობილი კაპიტალისტის“ შესახებ თედო სახოკიას აზრი: „დ. სარაჯიშვილი ხელოვნების მეცენატი და უშურველი მფარველი იყო“. ცხოვრების უკუდმართობის გამო, მთლიანობაში ქებლის ესკიზი აღარ არსებობს გარკვეულ მიზეზთა გამო. საბედნიეროდ შემორჩა ქაღალის ორი ფიგურა, რომელიც ნიკოლაძის მემორიალურ მუზეუმში ინახება. ი. ნიკოლაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სხვა ნაშრომებში აღნიშნულია, რომ სარაჯიშვილის საფლავის ქებლი მთლიანობაში არ შეიძლება მივაკუთვნოთ მოქანდაკის დიდ შემოქმედებით გამარ-



ჯვებას. ამ აზრისაა მაგალითად ნ. ურუშაძე. მისი აზრით: „ნიკოლაძის ესკიზურმა ჩანაფიქრმა დაიჭირა გარკვეული ადგილი მოქანდაკის შემოქმედებაში, რაიმე საბოლოო აზრის გამოტანა ძნელია; ძნელია მცდელობა ი. ნიკოლაძის ტალანტის დამფასებლისა და მათ შორის აკაკი წერეთლისა. საფლავის ძეგლი არ იქნება დასრულებული“. დაუსრულებლობის მიზეზად ავტორს მიაჩნია „საშუალებათა უქონლობა“. რა გაეწყობა, დავით და ეკატერინე სარაჯიშვილებმა ანდერძით ფულად 3 მლნ ოქროთი და ქაღალდით და 2 მლნ-ზე მეტად შეფასებული უძრავ-მოძრავი ქონება დაუტოვეს ქართველ ერს, და საფლავის ძეგლი კი არ დაიდგა. ერთი სიტყვით, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული, 30 წლის მანძილზე „სიყვარულის სავარძელში“ მჯდომნი ცოლ-ქმარი უპატრონონი აღმოჩნდნენ. ი. ნიკოლაძემ დაუდგმელი ძეგლის მიზეზად შემდეგი დაასახელა: „დ. სარაჯიშვილის ცხოვრება არავითარ კონკრეტულ მასალას არ მაძლევდა, საშიშროება მოელოდა, ამაში დამარწმუნა სარაჯიშვილის ცოლის შენიშვნებმა და მოთხოვნებმა, ამიტომ ვამჯობინე, უარი მეთქვა ძეგლის განხორციელებაზე და ესკიზი ჩემთან დამეტოვებინა“. პასუხი კომენტარს არ საჭიროებს.

1912 წელს 31 მაისს სახელოსნოში ი. ნიკოლაძეს აკაკი სწვევია, როდესაც იაკობი სარაჯიშვილის საფლავის ძეგლის ესკიზზე მუშაობდა. აკაკის მოსწონებია ძეგლის ესკიზი და „მნახველის ალბომში“ ჩაუწერია: „ვნახე შენი ქანდაკება, აღარ უნდა ამას ქება!“. ძეგლთან დაკავშირებით აკაკის გაზეთ „თემში“ „მცირე შენიშვნა“ გამოუქვეყნებია: „დავათვალიერე ნიკოლაძის ატელიე, სხვისასაც ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ასე ნასიამოვნები არ დავრჩენილვარ, როგორც ახლა და ჩემი აღტაცების მიზეზი იყო ქანდაკება იმ ძეგლისა, რომელიც ბ. დავით სარაჯიშვილს უნდა დაუდგან. ეს ძეგლი წარმოადგენს ერთად თავმოყრილს სამს ქალს. ერთი მათგანი მოხუცი, შუაში რომ სდგას, ემბლემაა მწუხარებისა. მარჯვნივ უდგას ნუგეშ-იმედის გამომხატველი ქალი და სევდიანის, მაგრამ ტკბილის ღიმილით ამხნევეს. მარცხნივ დგას პირდაფარული სვებედი და ანთებული ლამპარი, ლამპარი საუკუნო სიცოცხლისა, უჭირავს ხელში. მაღლა გადმოფარვია ბოროტი სული, სიკვდილის ანგელოსი და მრისხანედ სულს უბერავს ლამპარს, რომ გააქროს... ეს არის დიადი იდეა, რომელიც ბევრს რამეს აგულისხმებს ქართველს, და ეს დიადი მოსაზრება, მოქანდაკეს გადაუკავშირებია განსვენებულ სარაჯიშვილის სვებედთან და აპირებს მიუძღვნას ძეგლად“. შემდეგ პოეტი აგრძელებს თავისი მოსაზრების ჩამოყალი-



დ. სარაჯიშვილის საფლავზე დაუდგმელი ძეგლის ესკიზი.

ბებას ძეგლის შესახებ და დასძენს: „ჩვენ ქართველებს, ყოლიფერი გარეული მოგვწონს სიტყვა „უცხო“ კარგს ნიშნავს, „საუცხოვო“ – საქებს. შინაურული კი, ცამდინაც რომ მაღალი იყოს, არაფრად მიგვაჩნია. ხალხის

წარმოდგენით საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია და არ დაიღუპება! მართალია, განსაცდელს მიაყენებს, მაგრამ მით გამოაბრძელებს და გააფოლადებს ... ამას გვეუბნება თვით იმ იმედ-ნუგეშის ქანდაკება, რომელიც ჩამოუსხამს ბ-ნ ნიკოლაძეს“. მ. დუდუჩავას აზრით, „აკაკი ნიკოლაძის ესკიზის შინაარსს ეროვნულ საკითხთან აკავშირებს. ეს მართლაც ერთ-ერთი ძირითადი ნიშანდობლივი მოტივი იყო ი. ნიკოლაძის ამ პერიოდის შემოქმედებისათვის“.

კომუნისტურ იდეოლოგიაზე მდგარი ავტორები გვერდს უვლიან აკაკის სიტყვებს – „ეს ბრწყინვალე, ეს დიადი მოსაზრება“. მათი აზრით, „ცნობილი კაპიტალისტის ცხოვრება მოკლებული იყო ხელოვანისათვის შთამაგონებელ შინაარსს“. აქ ისინი ძალით „უცოდინარობას“ ამუღავნებენ, თითქოს არ იცოდნენ, რომ „შთამაგონებელი შინაარსის“ გამო სარაჯიშვილზე რამდენი ლექსი, მუსიკალური ნაწარმოები, მხატვრული ტილო,

ფოტოპორტრეტი შექმნილა. დავიმოწმებთ თუნდაც გენიალური ფიროსმანის 1905 წელს შესრულებული სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი ტილო: „უშვილო მილიონერი და ღარიბი ქალიშვილები“.

სოლომონ ხუციშვილის ნაამბობი ვახტანგ კოტეტიშვილზე გამართლდა. 1908 წელს ნიმუშად გამოქვეყნდა დ. სარაჯიშვილის თაბაშირში შესრულებული მეორე ბიუსტი ინახა. გურამ ნიკოლაძის სიტყვით, იგი აღმოჩნდა ბებია ბრონისლავას ზანდუკში, მარცხენა გვერდზე წარწერით „ი. ნიკოლაძე“ – შესრულების თარიღი 1908 წელი. ბიუსტი აღადგინა გურამ ნიკოლაძემ.

ჩვენი სტატიის მკითხველს რომ არ დაეზავდეს აზრი, თითქოს ავტორს წიგნები ბოლომდე არ წაუკითხავსო, გეტყვით, რომ ჩემთვის მიუღებელია მკრეხელობა ზოგიერთი ავტორის მიერ ი. ნიკოლაძის საფლავის ძეგლების შედარებები, ანუ მოქანდაკის მიერ შესრულებული რომელი უკეთესი ნახელოვანია.

ელენე გუსევა

ბ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის პიპლიოთეკის გამგე

აკაკის ერთი ნაკვეთის ბარშემო

„აკაკი წერეთლის მოსწრებული სიტყვა, მახვილი ჭკუა და გესლიანი ენა ყველასათვის ცნობილი იყო“ – წერდა იაკობ მანსვეტაშვილი თავის „მემუარებში“. მართლაც, აკაკის ოხუნჯობანი საუკუნოდ იყო განთქმული. მეგობრები საცა მოიხელთებდნენ, ხალისით აგროვებდნენ დიდი პოეტის ბრძნულ გამონათქვამებსა თუ სხარტულებს. ასე შეიქმნა დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული აკაკი წერეთლის აფორიზმები, ოხუნჯობანი, ნაკვესები.

დღეისათვის გამოცემულია აკაკის ამგვარი რვა წიგნი. პირველ წიგნში შესული ნაკვესები საგრძნობლად განსხვავდება მომდევნო კრებულებისაგან, რადგან საბჭოთა ცენზურამ ესა თუ ის ნამდვილი ან გაგონილი ამბავი დამახინჯებით მიიტანა მკითხველამდე. ამის დასტურად გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებაც კმარა.

„მცირე მოგონება აკაკიზე“ – ასე ჰქვია ამ წერილს, რომელშიც გადმოცემულია აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ვინმე ანდრია კაპანადისადმი. ის პროფესიით თერძი ყოფილა. არსებობს მათი ურთიერთობის ამსახველი ამბის სხვადასხვა ვარიანტი.

1960 წელს გამოცემულ აკაკისეულ ნაკვესებში ვკითხულობთ: – „აკაკი ერთ მეგობარს ა. კ. – ძეს ფულს ესესხა. დრო რომ მოვიდა, კ-ძემ წერილი მისწერა: საყვარელო აკაკი, წიგნსა გწერ, თუ ფულს არ გამომიგზავნი წელშიაც მოვიკაკვი. პოეტმა ამ წერილს ასე უპასუხა: საყვარელო ანდრია, ფულის თხოვნა ადრეა; დღემდის ჭკვიანი იყავ, დღეს რამღა გადაგრია? მკითხველისათვის უცნობი რჩება ა. კ.– ძეს ვინაობა. ასევე უცნობია მისი პროფესია.

ანალოგიური შინაარსისაა მოგონება იროდიონ ევლოშვილის დის, პოეტ ბაბილენა ხოსიტაშვილის წიგნში – „მშობლიური სოფლიდან დედაქალაქში“, რომელიც 1964 წ.

გამოცა. ავტორი ანდრია კაპანაძის ქალიშვილის – კესო კაპანაძის ნაამბობს ეყრდნობა.

კაპანაძეთა ეს ოჯახი საჩხერელი წერეთლების აზნაურთაგან ყოფილა. ანდრია კაპანაძის მამა გარე კახეთში საჩხერედან გადმოსახლებულა და ხელოსნობისთვის მიუყვია ხელი. მამით ადრე დაობლებულა ანდრია. დედამისს ბავშვობიდანვე მკერავთა ამქარში მიუბარებია შეგირდად, სადაც ანდრია იმდენად დაწინაურებულა, რომ მკერავთა ამქარის ოსტატად აურჩევიათ. მალე თბილისში საკუთარი სახლი წამოუჭიმია. სწორედ ამ სახლში მიუქირავებია ერთი ოთახი აკაკისათვის.

„... ერთხელაც აკაკის შეუთვლია ანდრიასთვის, რაც მეზადა, სულ ბანქოში წავაგე და სახლში შიშველი ვზივარო. ანდრიას მისთვის ხუმრობით, ტანისამოსი გამოუგზავნია და ცოტაოდენი ფულიც მიუწვდია“. ბაბილინა ხოსიტაშვილის მოგონებიდან ვიგებთ, თუ რა იყო ამ ნაკვესის შექმნის მიზეზი. „აკაკიმ ბევრი იზრუნა ჭიათურის მარგანეცის მოპოვება–დამუშავებისათვის. ამასთანავე აკაკის რჩევით ანდრია კაპანაძე ჩრდილოეთ კავკასიაში გამგზავრებულია მთის სანთლის მადნის საძიებლად“. ვიდრე ანდრია კაპანაძე ჩრდილოეთ კავკასიაში მადნის ამო ძიებაში იყო, თბილისში უპატრონოდ მიტოვებული მისი სამკერვალო სახელოსნო გაკოტრებულია თურმე და მისი სახლიც გაუყიდიათ“. ვალებში ჩავარდნილ ანდრია კაპანაძეს ამგვარი ლექსით მიუმართავს აკაკისთვის: „ჩემო ძმაო აკაკი, ფულებს მოგთხოვ ახლა კი, თუ ფულებს არ მიბრუნებ, მე წელში მოვიკაკვი“. აკაკის ლექსადვე გადაუხდია ვალი: „ჩემო ძმაო ანდრია, ფულის თხოვნა ადრეაო! დღემდე ჭკვიანი კაცი, დღეს რაღამ გადაგრიაო? მაგგვარი შიშისათვის კარაპეტას გადრიანო“.

აკაკის მაშინდელ მაღალ საზოგადოებაში მიღებული ბანქოს თამაშისადმი ერთგვარი მიდრეკილება გამოუჩნია, რაც მის შესახებ გარკვეული ცილისწამების მიზეზი გამხდარა. საქმე იმდენად შორს წასულა, რომ მას საკუთარ დედასთან თავის მართლებაც კი გადაუწყვეტია. ამ წერილში ვკითხულობთ: „... ყმაწვილებმა მიაბნეს, მე ძალიან ნაგინები ვარ თურმე იმერეთში. გაპლუტდა და ქაღალდებში აგებს ფულებსაო და ტანისამოსიც წააგოო. არა თუ ქაღალდს ვთამაშობ, რომელიც შესახედავად მეზარება. ილიკოსთან (აკაკის ძმა) იმისათვის ვიყავი წაკიდებული, ხანდახან დროის გასატარებლად რათ თამაშობ თქო და სამსონი (აკაკის ნათესავი)

ათასში ერთხელ პრეფერანსს თამაშობდა ხოლმე და ახლა ჩემი ხათრით იმასაც აღარ თამაშობს...“ (აკ. წერეთელი – თხზ. ტ.15, 1963).

შესაძლებელია, სწორედ მავანთა ცილისწამება დაედო საფუძვლად კესო კაპანაძის ნაამბობს, რომელიც ბაბილინა ხოსიტაშვილმა თავის მოგონებაში გამოიყენა. ცნობილია, რომ ზოგჯერ ცრუ ამბები ითხზებოდა ხოლმე ცნობილ და პოპულარულ ადამიანებზე. ცენზურა ყოველმხრივ ცდილობდა ხალხისთვის საყვარელი მწერლის დამცირებას, მკითხველის დადებითი დამოკიდებულების დათრგუნვას. არა ერთი ცილისწამება შეთხზული თვით ილია ჭავჭავაძეზეც. აკაკის სახელის შელახვის ეს ერთი პატარა ამბავიც, რომელიც აკაკის ნაკვესების თითქმის ყველა წიგნში ამ სახით გვხვდება, ყველაფერს ნათელს ჰფენს.

იაკობ მანსვეტაშვილი ხატოვნად და დამაჯერებლად მოგვითხრობს აკაკი წერეთლის და ანდრია კაპანაძის ურთიერთობას. გათავაზობთ ამ მოგონებას:

„იყო ტფილისში ვინმე კაპანაძე ანდრია ხელობით ტანისამოსის მკერავი. ანდრიას გატაცებით უყვარდა აკაკი და სულ იმას ნატრობდა, რომ პირადად როგორმე გასცნობოდა. ნატვრა აუსრულდა: აკაკი გააცნეს. აკაკის მომღიმარე პირის–სახემ, ტკბილმა მოქარგულმა ენამ სრულად მოხიბლა ჩვენი ანდრია. ანდრია ხშირი სტუმარი შეიქმნა აკაკისა. ერთხელ აკაკი ეუბნება ანდრიას:

– ერთი რამ მინდა დაგავალო და იმედი მაქვს დავალებას ამისრულებო.

– თქვენ ყურ–მოჭრილ ყმად მიგულებო, – მიუგო ანდრიამ, – ოღონდ მიბრძანეთ.

– ჩემო ანდრია, – ეუბნება აკაკი, – ერთი ხელი კარგი კოსტუმი უნდა შემიკერო.

– ბატონი ბრძანდებით; მაგაზე როგორ დაგზარდებით, – ეუბნება ანდრია.

დიდ ხანს არ გაუვლია, ანდრიამ აკაკის კარგად შეკერილი კოსტუმი მიართვა. აკაკიმ მადლობა გადაუხადა, თან მოიბოდიშა:

– ამ ხელად ფული არა მაქვს და ჩემზედ ვალად დარჩესო.

– ეგ რა სათქმელია ბატონო! თქვენი ჭირის სანაცვლოდ იყოს, – ეუბნება ანდრია მოწიწებით.

მიდიოდა დრო. პირველ კოსტუმს მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე და სულ ნისიად. მერე ანდრიას ფულიც გამოართვა აკაკიმ სესხად რამდენჯერმე. ასე და ამგვარად აკაკის სამოც თუმნამდე ვალი დაედო ანდრიასი.

აკაკის რუსეთსა და საზღვარგარეთ

მოუხდა წასვლა კარგა ხნით. ამ ხანებში ანდრიას საქმე ცუდად წავიდა. სახელოსნო დაკეტა. დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. აგერ ანდრიამ ყური მოჰკრა: აკაკი ტფილისში დაბრუნდაო. გაუხარდა, იფიქრა აკაკის ჩემ გაჭირვებას შევატყობინებ და ხელს გამიმართავსო, ჩემს ვალს დამიბრუნებსო.

პირადად მისვლა და ვალის თხოვნა ვერ გაუბედა აკაკის. ბარათი მისწერა. გაატანა ბიჭს და თან დააბარა: აკაკის ხელში მიეცი და პასუხიც სთხოვე ჩემს მაგიერადო. აი, ბარათში რა ეწერა: „საყვარელო აკაკიო, ფული მიჭირს ახლა კიო, თუ შენ ფული არ მომეცი, მე გაეხდები გლახაკიო“.

აკაკიმ პასუხი არ დაუგვიანა. აი, რას წერს: „არა ჩემო ანდრიასო, ფულის თხოვნა ადრეაო, შენ ეგენი არ იცოდი, ახლა რამ გადაგრიასო“.

წარმოდგენილი ნაკვესების ერთმანეთთან შედარებამ საგრძნობლად დიდი სხვაობა წარმოგვიჩინა. ეს კი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ აკაკის ოხუნჯობანი, მოსწრებული ენა, ზეპირსიტყვიერად ვრცელდებოდა ხალხში. პირველი ორი ნაკვესი საბჭოური ცენზურის დამდას ატარებს, ხოლო იაკობ მანსვეტაშვილის მოგონება, რომელიც მუხეუმშია დაცული, უფრო ახლოსაა სინამდვილესთან, შერბილებული ხასიათისაა, თან ცოცხალი და ლოგიკურიც.

სასურველია, მომავალში გამოცემულ აკაკი წერეთლის „ნაკვესებში“ სწორედ იაკობ მანსვეტაშვილის მოგონება იყოს წარმოდგენილი ყოველგვარი გადაკეთების გარეშე.

გურამ თაყნიაშვილი

აკაკი წერეთელი და ქართველი კათოლიკენი საზოგადოებრივ

1908 წელს ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა აკაკი წერეთლის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი. საიუბილეო ღონისძიებები და შეხვედრები პოეტთან გაიმართა როგორც საქართველოში, ასევე რუსეთსა და ევროპის უდიდეს ქალაქებსა და კულტურის ცენტრებში. აკაკის საიუბილეო დღეებს დიდი ინტერესით თვალიყურს ადევნებდნენ სტამბოლში მცხოვრები ქართველი კათოლიკენი. სტამბოლის გარეუბანში, ფერიქიის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში აკაკის საიუბილეოდ სამზადისი 1908 წელს დაიწყო; შეიმუშავეს სპეციალური გეგმა. აკაკი სტამბოლს ჩავიდა 1909 წელს, როდესაც იგი გემით მიემგზავრებოდა პარიზს.



აკაკის იუბილე სტამბოლში 1909 წ. 26 აპრილი.

აკაკის თან ახლდა ცოლ-შვილი. სტამბოლს მიმავალმა აკაკიმ შეიარა ტრაპიზონში, სადაც მოინახულა იმერეთის მეფის სოლომონ II-ის საფლავი. თავისი შთაბეჭდილება ამის შესახებ ჩამოაყალიბა წერილში „ტრაპიზონი“ (1, 363). სტამბოლში აკაკის მოულოდნელი სტუმრობის შესახებ იცოდა მხოლოდ სტამბოლის ქართველთა საზოგადოების თავჯდომარემ ვლადიმერ წერეთელმა. საიუბილეო საღამო გაიმართა 1909 წლის 26 აპრილს ზემოაღნიშნულ მონასტერში. დარბაზი დამშვენებული იყო მონასტრის უმცროსი ძმების ხელით. აკაკის სურათს ყვავილების გვირგვინი ედგა წარწერით: „აკაკი ჩვენი, ვითა შოთა რუსთაველი და სარგის თმოგველი“. პარაკლისი გადაიხადა

მონასტრის უფროსის მოადგილემ სტეფანე გიორგაძემ. ამავე დღეს გახსნეს „ქართველთა საწიგნეც“. აღინიშნა, რომ ეს დაწესებ-



მიხეილ თამარაშვილი


ულება მოუტანს სტამბოლში მცხოვრებ ქართველებს დიდ სიკეთეს, სტამბოლი აივსება „თესლით მეცნიერებისა“. მიუხედავად აკაკის მოულოდნელი სტუმრობისა, ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში თავი მოიყარა იქაურმა ქართველობამ. აკაკი ესაუბრა ქართველ პატარებს. შეხვედრა ნამდვილ ეროვნულ დღესასწაულად იქცა. საღამოზე ქრისტიან ქართველებთან ერთად მოვიდნენ ქართველი კათოლიკენი თავიანთი ოჯახებით, მაჰმადიანი და გრიგორიანელი ქართველებიც. პარაკლისი გადაიხადეს ქართული საგალობლებით. იუბილარს სიტყვით მიმართა იასე რაჭველიშვილმა. ახლადგახსნილი ქართული ბიბლიოთეკიდან ზედმეტი ცალები დაურიგდათ ქართველ ბავშვებს. ქართველმა კათოლიკეებმა ეს შეხვედრა დაამშვენეს – აღნიშნა რაჭველიშვილმა; ისინი ჩვენს შორის ჩადგნენ „ვითარცა მწყემსნი კეთილნი“ (2,3). აკაკი იმავე დღეს გემით გაემგზავრა პარიზს.

აკაკი წერეთელი დიდ ინტერესს იჩენდა იტალიაში მოღვაწე ქართველი კათოლიკეს, ღვთისმეტყველების დოქტორისა და ისტორიკოსის მიხეილ თამარაშვილის მოღვაწეობისადმი. სწორედ, რომში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილის უშუალო ხელმძღვანელო-

ბითა და თაოსნობით იქაურმა ქართველმა სტუდენტებმა იტალიელ მხატვარს გააკეთებინეს სურათი, რომელზედაც გამოსახულია შოთა რუსთაველი და აკაკი წერეთელი. სურათზე შ. რუსთაველი კალამს აწვდის აკაკის. აღნიშნული სურათი შემდგომში გადმოაგზავნეს საქართველოში. პარიზში ჩასული აკაკი წერეთელი 1909 წელს წერს მიხეილ თამარაშვილს: „მინდა თქვენი ნახვა, ჯერჯერობით ვერ მოვდივარ, და როცა ჩამოვალ, შეგატყობინებთ, თქვენი ნაწერები კათოლიკობის შესახებ ფასდადებით გადმომიგზავნეთ, დიდად საჭიროა“ (3, 273). იმავე წლის ოქტომბერში აკაკი ატყობინებდა მ. თამარაშვილს, რომ ბრუნდება კავკასიაში. გარემოებამ ისე მოიტანა, რომ სამ თვეში ადრე ვერ ჩამოვალ რომში, მერე ჩამოვალ და უფრო დიდხანს დარჩები, – წერდა ა. წერეთელი. ამ პერიოდში, თავის მხრივ ი. გოგებაშვილიც ატყობინებდა პარიზში მყოფ ა. წერეთელს, რომ მას ელოდნენ რომში. ქართველ კათოლიკებს უზომოდ უყვარდათ მხცოვანი პოეტი და ღირსეულად აფასებდნენ მის ნიჭსა და მამულიშვილობას. ჯერ კიდევ 1895 წელს მიხეილ თამარაშვილი კონსტანტინეპოლიდან წერდა ივანე გვარამაძეს: აკაკი ეტყობა აქ აპირებს ჩამოსვლას და ჩვენ მზად ვართ შესახვედრად. კათოლიკენი აკაკის შესახვედრად ემზადებოდნენ რომში, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, აკაკიმ ვერ მოახერხა რომში ჩასვლა. აკაკის რომში ჩასვლას ქართველი კათოლიკენი იგივე მნიშვნელობას ანიჭებდნენ, როგორც სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობას ევროპაში. მ. თამარაშვილმა აკაკის გამოუგზავნა თავისი წიგნი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ (თბ., 1902); მ. თამარაშვილის წიგნის მიღება და თბილი მიწვევა ფრიად ესიამოვნა აკაკის. აკაკის ევროპაში მოგზაურობით დაინტერესებული პირები აღნიშნავენ, რომ პოეტის მოგზაურობა მხოლოდ მკურნალობის მიზეზით არ იყო გამოწვეული. თვითონ აკაკი მის მოგზაურობას დიდ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა.

აკაკის საიუბილეო დღეებში გამართულ ღონისძიებებში ძირითადი ყურადღება ექცეოდა ქართველთა გაერთიანების საკითხს, პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას. ამ აზრზე იყვნენ ქართველი მართლმადიდებლები, კათოლიკენი, მუსულმანები და ქართველი გრიგორიანები. ევროპიდან დაბრუნებულ ა. წერეთელს კავშირი არ გაუწყვეტია ქართველ კათოლიკეებთან. მ. თამარაშვილის თხოვნით მიმართავდა ა. წერეთელს, დახმარებოდა

წიგნის „ეკლესიის ისტორია“ ფრანგულ ენაზე გამოცემის საქმეში. თანხების გამოყოფას სთხოვდა იაკობ ზუბალაშვილს. აკაკი წერეთელი ქართველ კათოლიკეებს მიიხმევდა პატრიოტიზმისა და ევროპული განათლების მსახურებად. აკაკის პირადი დავალებით ზ.



ჭიჭინაძემ გამოსცა რამოდენიმე ნაშრომი ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობის შესახებ საქართველოში და საზღვარგარეთ (4, 5, 6).

ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა საგანგაძრავსა პეტრე ხარისჭირაშვილმა 1859 წელს. აქვე მოქმედებდა სასულიერო სასწავლებელიც. სასწავლებლის პირველი მოსწავლენი იყვნენ სტამბოლის ბაზარზე გასაყიდად გაყვანილი გურული ბავშვები და ახალციხიდან ჩამოყვანილი ყმაწვილები. სასწავლებელში სწავლა მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. აკაკი წერეთელი ყოველთვის გულთბილად ეკიდებოდა ქართველ კათოლიკეთა და მუსულმან ქართველთა პრობლემებს. ამის შესახებ თავისი მოსაზრებები გამოთქვა არაერთ წერილში. სტატიაში „ოსმალეთის ქართველებს“ აკაკი წერდა: „ბედმა დაგვაშორა სარწმუნოებითა და ქვეშევრდომობით, ჩვენ მაინც ერთი ტომის ხალხნი ვართ, ჩვენ მივენდობით ისევ იმ ერთ ღმერთს, როგორც ადრე გეფარავდა სულითა და გულით ჩვენ ერთნი ვართ (7, 523). საიუბილეო დღეებში აკაკი ღებულობდა წერილებს, მიწვევას სხვადასხვა კულტურის ცენტრებიდან, სადაც ქართველი კათოლიკენი

მზად იყვნენ შეხვედროდნენ დიდ პოეტს. ფერიქოის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს აკაკი მიმართავდა: „ჩვენო ერთტომო და ერთმოგვარე ძმებო, ნათელსა აღმოსავლეთით ველოდებით დღეს, მაჰმადიანთა წინამძღოლობით ჩვენც მათთან ერთად მიუხედავად სარწმუნოებისა, მზად ვართ მივეგებოთ. კურთხეულ იყოს ამიერიდან ჩვენს შორის ერთობა და სიყვარული (1, 363).

ქართველი საზოგადოებრიობა თვალყურს ადევნებს აკაკი მოგზაურობას, ანიჭებდა რა დიდ მნიშვნელობას მის ურთიერთობას არა მარტო მ. თამარაშვილთან, არამედ, საერთოდ, ქართველ კათოლიკებთან. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველი საზოგადო მოღვაწენი ერთხმად აღიარებდნენ, რომ აკაკი წერეთელსა და ილია ჭავჭავაძეს შეეძლოთ მიეღწიათ სხვადასხვა სარწმუნოებრივი და პოლიტიკური შეხედულებების მქონე ხალხების ეროვნული კონსოლიდაციისათვის. ევროპასა და თურქეთში მცხოვრებ ქართველ კათოლიკეთა ურთიერთობა აკაკი წერეთელთან ამ ერთიანობისა და სულისკვეთების ნათელი დადასტურებაა. ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი წარმოადგენდა განათლებისა და ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლის ნამდვილ კერას. აქ მოღვაწე სასულიერო პირები აღსაზრდელებს უნერგავდნენ პატრიოტულ სულისკვეთებას, მოუწოდებდნენ ეღვაწათ „დიდი სამშობლოს“ კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

ლიტერატურა:

1. წერეთელი, აკაკი – თხზულებანი 15 ტომად., ტ.14.–თბ.; გვ.:363–364;
2. დროება, 1909.– №101.–გვ.:3;
3. წერეთელი, აკაკი – თხზულებანი, ტ.15.–თბ., გვ.:173–275;
4. ჭიჭინაძე, ზ. ქართველ კათოლიკეთა პატრი მიხეილ თამარაშვილი და მისი შრომები.–თბ., 1904.–32 გვ.;
5. ჭიჭინაძე, ზ. ქართველი კათოლიკენი ყველა ასპარეზზე და ზოგი რამ წერილები დასავლეთ საქართველოზე.–თბ., 1904.–119 გვ.;
6. ჭიჭინაძე, ზ. ქართველ კათოლიკეთა მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები.–თბ., 1904.–100 გვ.;
7. წერეთელი, აკაკი – თხზულებანი, ტ.11.–თბ., გვ.:523–524;
8. ლომსაძე, შ. მიხეილ თამარაშვილი.–თბ., 1964.– 120 გვ.;
9. შარაძე, გ. აკაკი წერეთელი, 5 ტომად, ტ.3.–თბ., 2006.– 488 გვ.

როდის გამოჩნდა ბასკური გვარი ამერიკაში? (ამერიკელი ბასკის-სიმონ გოლივარის გვარის რეინტერპრეტაციისათვის)

ოჯახი ბასკებისათვის ისეთივე ძვირფასია, როგორც სამშობლო. ბასკურ ზეპირსიტყვიერებაში არცთუ იშვიათად შეხვედებით ფრთიან გამონათქვამს: „ყოველი ფრინველი, სადაც არ უნდა იყოს ის, პოულობს თავის კარგ ბუდეს”(Xori bakatzari eder ohandzea). ბასკისათვის სახლის ფუძე (etxelar), მშობლიური სახლი(etxe ondo), მამული(exalde)-მხოლოდ ტერმინი როდია. ტერმინი სახლი-ოჯახი მოიცავს ყოველივეს, რაც კი ქმნის ერთიანს, განუყოფელს. ბასკური ოჯახი ტრადიციებისა და კანონების მკაცრი დამცველია, ხოლო გვარი წმინდათაწმინდაა ყოველი ბასკისათვის.

ბასკური ოჯახის გვარის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენ მიერ მოპოვებულ ეთნოლინგვისტურ მასალაში ჩაწერილი გვაქვს ბასკი ინფორმატორების გვარები, რომლებიც წააგავს ქართულს, ესენია: Matua(მატუა), Nodia(ნოდია), Etxeberria (ეჩებერია-სიტყვასიტყვით ნიშნავს „სახლი ახალი“) და ა.შ. ur-ზე დაბოლოებული გვარები ხშირად გვხვდება ბასკურში, ur-ბასკურად ნიშნავს „წყალს“ აკად. შ. ძიძიგურის აზრით, ბასკები ოდითგანვე განსახლებულნი იყვნენ წყლის პირას (ზღვის ან მდინარის), შესაბამისად ამას მათი ur-ზე დაბოლოებული გვარებიც მიგვანიშნებს (იხ. შ. ძიძიგურის „ბასკები და ქართველები.“) ერთი შეხედვით, მართლაც, არის მსგავსება ამ ბასკურსა და ქართულ გვარებს შორის, მაგრამ ვფიქრობთ, ეს ან დამთხვევა უნდა იყოს, ან თუ დავუშვებთ ბასკთა და ქართველთა (კავკასიელთა) სავარაუდო, საერთო წარმოშობას, იგი შორეულ წარსულში უნდა იღებდეს სათავეს, მაშინ კი ადამიანებს გვარი არ ჰქონდათ. შესაძლებელია, რომელიღაც დიაქრონიულ პერიოდში კავკასიიდან ხალხის ჯგუფის ნაწილი გადაადგილდა წინა აზიის, ხმელთაშუა ზღვის გავლით, რომელთაც თან წაიღეს თავიანთი კუთხის ტოპონიმები, ჰიდრონიმები, აგრეთვე გვარებიც, აქ იგულისხ-


მება მიგრაცია იმ პერიოდიდან, როცა გვარი ჩამოყალიბებულია საქართველოში, კერძოდ მე-8 საუკუნის შემდგომი პერიოდი (როგორც ეს მოხდა ალა-მაჰმად-ხანის საქართველოზე თავდასხმის დროს, მან ხომ ფერეიდანში გადაასახლა რამდენიმე ქართული სოფელი, ფერეიდნელმა ქართველებმა ბოლომდე შეინარჩუნეს თავიანთი სოფლის ქართული სახელწოდება და ენაც მეტ-ნაკლებად!)

ბასკურ წერილობით წყაროებში მოხსენიებულია ბასკური გვარები (მაგ.ოიენარტი, ურტიაგა, ლეისარაგა და სხვა,) სამწუხაროდ, ჩვენამდე მოღწეული ბასკური წერილობითი წყაროები მოგვეპოვება მხოლოდ მე-16 საუკუნიდან (1515წ.) აკვიტანიურმა წარწერებმა კი მოაღწიეს დღემდე, მაგრამ იგი შესრულებულია რომაულ ეპოქაში, სადაც გადაშლილია ძველი, მასზე შემდგომ არის ხელახლა გაკეთებული ლათინურ ენაზე წარწერები. ესპანელი ბასკოლოგები ვარაუდობენ, რომ სწორედ ლათინურის ქვეშ იგულისხმება ბასკურენოვანი წარწერები. (ბასკურ ენაზე შესრულებული უფრო ადრინდელი წერილობითი წყაროების უქონლობის გამო ძალზე ძნელია შეისწავლოს ძველი ბასკური და ძველი ქართული ენების მდგომარეობა ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში. რა თქმა უნდა, მე-5 საუკუნის პირველი ქართული ნაწარმოების, იაკობ ცურტაველის “შუშანიკის წამებასა” და 1515 წლის ლეისარგას რელიგიური შინაარსის იგავებს ვერ შევისწავლით ურთიერთ შედარებისა და შეპირისპირებით, თითქმის 10 საუკუნეა მათ შორის. შუაუკუნეების განმავლობაში ენაში სხვადასხვა პროცესები ხდება, იცვლება ენის სტრუქტურა მეტ-ნაკლებად.)

ბასკური გვარების ეტიმოლოგია ძირითადად გამჭირვალეა, ე.წ. “მოლაპარაკე გვარებიც” არის ბასკურ სინამდვილეში. აგ. ბასკეთის ავტონომიის დღევანდელი პრეზიდენტის გვარია Ibaretxe (იბარეჩე), რაც ნიშნავს „დაბლობზე სახლს“ , ხოლო Etxeberria (ეჩებე-

რია) ნიშნავს „სახლი ახალი“ (ბასკურში მსახ-
დვრელ-სახლდერულის პოსტპოზიციური წყო-
ბაა დამკვიდრებული დღესაც, ისევე როგორც
ძველ ქართულში იყო Ibaruri-ში (იბარური) Ibar
ნიშნავს დაბლობს, ბარს ხოლო- ur „წყალს“ (
ბასკურის სხვა დიალექტში კი „ქალაქს“), ე.ი.
მდინარის პირას დაბლობზე მცხოვრებ ადამი-
ანებზე მიუთითებს ესპანეთის კომუნისტური
პარტიის ლიდერის „პასიონარიას“- დოლორეს

ქრისტეფორე კოლუმბი ისე გარდაიცვალა,
მან არ იცოდა, რომ აღმოაჩინა ამერიკა (იგი
ინდოეთის აღმოსაჩენად მიემგზავრებოდა).
ამ ექსპედიციის წევრები იყვნენ ესპანეთის
ბასკებიც, რომლებმაც შექმნეს ოჯახები ადგი-
ლობრივ ქალებთან. მათი შვილები იყვნენ მე-
ტისები. მე-16- მე-17 საუკუნეებიდან მოყოლე-
ბული ბასკები ჯგუფ-ჯგუფად მიედინებოდნენ
მშობლიური კუთხეებიდან ამერიკაში. ისინი



ირეოდნენ ადგილობრივ მო-
სახლეობაში, ამიტომ ხალხის
აღწერებში უჩინარდებოდ-
ნენ, უფრო გვიანდელი ემი-
გრანტები ათეულ ათასებს
აღწევდნენ. დღეს ბასკები
განსახლებული არიან ბრა-
ზილიაში, მექსიკაში, აშშ-
ში, ბოლივიაში, ურუგვაიში.
მოგვიანებით კერძოდ 1865-71
წლებში რესპუბლიკის დაცე-
მისა და ბასკეთში ავტონო-
მიური მოძრაობის ჩახშობის
შემდგომ, ნაწილი ბასკებისა
გადასახლდა მონტევიდეოში,
არგენტინასა და მექსიკაში,
სადაც მათ შექმნეს „ამერიკის
ბასკთა ქვეყანა“, ეროვნული
ორგანიზაციები და საკუთარი
პრესა. ძირითადი მიზეზი
ბასკთა ემიგრაციისა მაინც
სახნავ-სათესი მიწების უკ-
მარისობა იყო, რაც გამოწვეუ-
ლია ბასკეთის გეოგრაფიული
მდებარეობით, ემიგრაციაში
(ამერიკაში) ბასკები ძირითა-
დად მოსახლეობენ მთაგო-
რიან ადგილებში (როგორც
ესპანეთში), შენარჩუნებული
აქვთ თავიანთი ძირძველი გვა-
რები, ცდილობენ მოერიდონ

იბარურის გვარი.

საინტერესოა ერთი ბასკური გვარის
წარმოშობის ისტორია, ეს არის ამერიკის
ეროვნული გმირის- ლიბერტადორის სიმონ
ბოლივარის გვარი-Bolivar . როგორ შეიძლე-
ბოდა მოხვედრილიყო ბასკური წარმოშობის
გვარი ლათინურ ამერიკაში? პირველად ბასკე-
ბი სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე მოხვდნენ
ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიციის საშუ-
ალებით, რომელიც დაიძრა ესპანეთიდან 1492
წლის 30 დეკემბერს, (როგორც ცნობილია,

შერეულ ქორწინებას (თუმცა, არც უმაგისო-
ბაა!)

როგორც ცნობილია, ქრისტეფორე კოლუმ-
ბი დეტალურად აღწერდა მოგზაურობის
ყოველ დღეს (დღიურების სახით). როცა იგი
პირველი ექსპედიციიდან დაბრუნდა ესპანე-
თის მაშინდელმა დედოფალმა გააკეთებინა
მისი დღიურის ასლები. სამწუხაროდ, ორივე
ასლი დაიკარგა 1550 წელს. დღემდე მოდ-
წეულია მხოლოდ დღიურის კონსპექტი, რო-
მელიც შეადგინა ესპანელმა ისტორიკოსმა

ბართლომე ლას კასასმა (1474-1566წწ.) სახელწოდებით „ინდოეთის ისტორია“. სწორედ ამ წიგნში არის შეტანილი უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული გემ „სანტა მარიას“ ნახატი (იხ. დანართი), რომლის ქვეშ მიწერილია კოლუმბის ესპანეთიდან გასვლის თარიღი 1492 წლის 30 დეკემბერი და 18 მეზღვაურის გვარი, რომელთაგანაც მეოთხეა ბასკი ლუის ველესს დე ლიპუსკუა, ხოლო მეექვსეა ქართველი ხეორხიო მოლაშხია (მისი წინაპარი საუკუნეების წინ გამოქცეულა კოლხეთიდან-სამეგრელოდან თუ გურიიდან და დასახლებულა ბასკეთში...) ჩვენი აზრით, ბასკური გვარი ლიპუსკუა შეცდომით არის დაწერილი, ლ (L)-ნაცვლად უნდა იყოს გ(G), რადგან ლიპუსკუა ბასკურად არაფერს ნიშნავს, gipuzkoa, gipozkoa კი არის ბასკეთის ერთ-ერთი პროვინციის სახელწოდება, რომელიც გვარსაც აღნიშნავს (შდრ. გიპოსკოა, გიპუსკუა აქედან ნაწარმოებია ალბათ გვარი გიპუსკოელი) დანარჩენი 16 მეზღვაურის გვარი ესპანური და პორტუგალიური წარმოშობისაა, ამჯერად ჩვენ მათ არ შევხებით. ადვილად შესაძლებელია კოლუმბის ოთხივე ექსპედიციაში ბასკები ბევრნი ყოფილიყვნენ, რადგანაც ისინი ძალიან გაბედულნი, ამტანნი და ცნობილი ზღვაოსნები იყვნენ და არიან დღესაც, მათგან დიდი ნაწილი დარჩა ამერიკაში, შექმნეს ოჯახები, რაც დაედო საფუძვლად „ამერიკის ბასკური ქვეყნის“ დაარსებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ლათინური ამერიკის ნაციონალური გმირის-ლიბერტადორ სიმონ ბოლივარის გვარიც ბასკური წარმოშობისაა. რა შეიძლება ამის შესახებ ითქვას?

სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია სიმონ ბოლივარის ვენესუელური წარმოშობა. ესპანურენოვან და ბასკურენოვან საისტორიო ლიტერატურაში მოვიძიეთ შრომები, სადაც არის მსჯელობა სიმონ ბოლივარის გვარის წარმოშობის შესახებ. (P.De Abrisqeta „Los vascos y Boliviari“ 1983, ბილბაო, „G.Garaicoixia“ 1983, ტუბინგენი, „Del pais vascos u Bolivar-I.Iribarne „Bolivia Libertador y fundador de pueblo“, 1984, №35, 1985, №37).

ჩვენეული რეინტერპრეტაციის მიხედვით Bolivar-ში bolin („ბოლინი“) ბასკურად „წისკვილია“, რომელიც თავის მხრივ მომდინარეობს ლათინური ძირიდან molin („მოლინი“) ibar/ibai ბასკურად ნიშნავს „მდინარის ნაპირს“. Bolin/molin პარალელური ფორმები გვხვდება ბასკურში ზემოაღნიშნული მნიშვნელობით.

თუ ibar ბასკურად ნიშნავს „ქალაქს მდინარის პირას“, bolivar/bolibar უნდა ნიშნავდეს „მდინარის ნაპირზე მდგარ წისკვილს“. საკუთრივ ტოპონომი bolivar-ბასკეთში გვხვდება იმ დასახლებული პუნქტის აღსანიშნავად, სადაც რამდენიმე წყლის წისკვილია მდინარეებზე.

Bolivar-ის ჩვენეული ეტიმოლოგია გაიზიარა ბასკოლოგმა, პროფესორმა იური ზიცარმა. სიმონ ბოლივარის ამერიკელი მკვლევარები მაინც უპირატესობას აძლევენ მის ვენესუელურ წარმოშობას, ჩვენი აზრით კი, შესაძლებელია, უფრო ადრე ესპანურმა ემიგრაციამ ჩაიტანა ამერიკაში ეს ტოპონომი, რომელიც შემდგომ ბოლივარის წინაპრების გვარს დაედო საფუძვლად.

P.S. მიხდა ეს მოკრძალებული ნაშრომი მივუძღვნა ჩემს ნეტარხსენებულ მასწავლებლებს, ბასკურ-კავკასიური ეთნო-ლინგვისტიკის ფუძემდებლებს საქართველოში აკად. შოთა ძიძიგურს, რომელსაც 15 აგვისტოს შეუსრულდებოდა 104 წელი და პროფესორ იური ზიცარს, რომელიც 14 აპრილს 87 წლის შესრულდებოდა, უფაღმა ნათელში ამყოფოს ჩვენი ძვირფასი მასწავლებლები, დაე, ილოცონ მათ სრულიად საქართველოს გაძლიერებისა და არმოშლისათვის!!!

გამოყენებული ლიტერატურის სია:

- 1.ძიძიგური შ. „ბასკები და ქართველები“ თბილისი, 1983წ.
- 2.Erskin Caldwell-Around about America, New-York, 1964.
- 3.P. de Abrisqeta „Los vascos y Bolivar“, 1983, ბილბაო.
- 4.C.Garaicoitxia, „Del pais vascos u Bolivar, 1983 ტუბინგენი.
- 5.I. Iribarne, „Bolivia libertador y fundador de pueblo, 1984, №35 1985, №37.



რედაქციისაგან

ყარამან კიკვიძე მე-20 საუკუნის 70-იანი წლების თაობას მიეკუთვნებოდა. 40 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა, მაგრამ დარჩა მეტად საინტერესო ლიტერატურული მემკვიდრეობა. დღეისათვის გამოცემულია მწერლის მოთხრობების რამდენიმე კრებული - "ჩემი მხიარული, კეთილი თანამგზავრი" (1971), "პატარა ჰუპის ზღაპარი" (1975), "მე ბევრი ვიფიქრე, - თქვა კაცმა" (1977), "სახითა შენითა" (1984). ყ. კიკვიძის ნაწარმოებები იბეჭდება ლიტერატურულ პერიოდულ გამოცემებსა და კრებულებში. გვინდა ნიჭიერი შემოქმედის სახელი უფრო მახლობელი გახდეს ჩვენი მკითხველებისათვის.

ჩვენმა კოლეგამ, მწერლის ქალიშვილმა ფიქრია კიკვიძემ, მოგვაწოდა ყ. კიკვიძის მეუღლის, ცნობილი ჟურნალისტის, ჟუჟუნა ჩხეიძე-კიკვიძის მოგონებები მწერალზე, მის ოჯახზე. ეს მოგონებები პირველად ქვეყნდება.

ჟუჟუნა ჩხეიძე – კიკვიძე

ერთად

ყარამან კიკვიძე – ეს სახელი და გვარი პირველად 1952 წლის მაისში, რადიოდან გავიგე. წაიკითხეს მისი თავისუფალი თემა, როგორც სკოლის დამამთავრებელი მოსწავლის საუკეთესო ნამუშევარი. თბილისის მე-6 ვაჟთა სკოლა დაამთავრა ოქროს მედლით.

სკოლაში ქართული და მათემატიკა უყვარდა (სიცოცხლის ბოლომდე შერჩა ამ ორი დარგის სიყვარული). უმაღლესში სწავლის გასაგრძელებლად უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე შეჰქონდა საბუთები, რომ გზაში მათემატიკის მასწავლებელი შეხვედრია და გულდაწყვეტილ უთქვამს, მე მეგონა, მათემატიკურზე გააგრძელებდი სწავლასო. მოტრიალდა და მათემატიკურზე შეიტანა საბუთები. ერთ კურსზე და ერთ ჯგუფშიც აღმოვჩნდი. ეს ბედისწერაა მგონი...

კარგი კურსი გვექონდა, განსაკუთრებული მეგობრობა. ყარამანს კერძო სახლი ჰქონდა მცხეთის ქუჩაზე დიდი, ლამაზი ეზოთი. ხშირად ვიკრიბებოდით და გვიხაროდა მასთან სტუმრობა. ფაქტობრივად მის ოჯახში ვიზრდებოდით და ვყალიბდებოდით პიროვნებად.

ჩვენმა სიყვარულმაც ეს სტუდენტობა გამოიარა და დამამთავრებელ კურსზე, 1957 წლის 15 იანვარს შევეუღლდით, 21-22 წლისანები ვიყავით, 16 წელი ვიცხოვრეთ ერთად...

– შენ საოცრად კარგი გოგო ხარ, თონა, – ვეუბნები; მერე მე ახლოს, სულ ახლოს ვგრძნობ თონას სუნთქვას, – და, საოცრად ლამაზი... შენ ძალიან გიხდება, ასე რომ ლაპარაკობ... შენ სიცილიც გიხდება... ნაღველიც... შენ ეს დამეც გიხდება... ეს სიჩუმე... მე უშენოდ ერთ წუთსაც ვეღარ გავძლებ, თონა...

მერე მე უეცრად მახსენდება, რომ არსებობს სიკვდილი. სიკვდილის გახსენება ადამიანს ერთბაშად ახსენებს ყველაფერს, აღსდგება წაშლილი, მივიწყებული ფურცლები, და მე ერთხელ და სამუდამოდ ვრწმუნდები, რომ არსებობს სრულქმნა, სრულყოფა ... არის წუთები, რომელთაც ჰქვიათ თავისი სახელი...

– მე ახლა სხვა არაფერი მსურს, თონა, ... თონამ ისე, როგორც არაფერს, იცის იშვიათი წუთების ფასი...

– თქვი, ყველაფერი თქვი, აზა. და მეც ვეუბნები:

–წამოდი ჩემთან, თონა..."

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩააბარა.

საერთოდ, ადვილად არაფერი მოსდიოდა ცხოვრებაში, თითქოს, აუცილებელი იყო წინააღმდეგობების დაძლევა, ან სრულიად ახალი გზების არჩევა.

“რომ მიაგნო საკუთარ ადგილს ცხოვრებაში, რომ ქვეყანას გამოადგე, უპირველესად საკუთარ ფიქრებში უნდა გაერკვე. უნდა ისწავლო სხვათა ფიქრებისგან, მიზნებისგან საკუთარი ფიქრების, მიზნების გამორჩევა. საკუთარ ფიქრებში გარკვევა კი არც თუ იოლი საქმეა. ამ ამბავს ზოგი მთელ თავის სიცოცხლეს ანდომებს, ზოგს კი რამდენიმე დაძაბული და ნერვული წელიწადი სჭირდება. – ჩვენ! – ასე მხოლოდ იმას შეუძლია მიმართოს

უნდა ეთქვა. თითქოს, ჯერ სხვას უსმენდა და დასკვნას თვითონ აკეთებდა.

“საერთოდ, სიტყვაძუნწი კაცი იყო რომანოზი. ადამიანები მუდამ იმაზე მეტ შეკითხვას იძლევიან, ვიდრე საჭიროა, – სჯეროდა რომანოზს.

“გაწუხებს რამე, ბატონო? – შემეკითხე! გაინტერესებს? – შემეკითხე! არ გაწუხებს? არ გაინტერესებს?.. – ფიქრობდა კაცზე და სამყაროზე რომანოზი, – გაგონილა, მხოლოდ იმისთვის ლაპარაკი, რომ ილაპარაკო?..”

ჩვენ კი ღამეებს ვათენებდით უამრავ რამეზე საუბრით, ამ “ღამის ლექციებით” მანათლებდა. დილით 8 საათზე რომ ავდგებოდი სამსახურში წასასვლელად, მსაყვედურობდა, რატომ მალაპარაკებდი ამდენს, ცოდვა არ ხარ, მთელი დღე სამსახურში გამოუძინებელი რომ უნდა იყო. მე კი მიხაროდა ეს ღამისთენებები, სხვისგან მსგავს რამეებს ვერ მოვისმენდი... პო, ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან – ასაშენებელი, თუ შესაკეთებელი. ტალავერი გააკეთა და ვენახი გააშენა, სხვადასხვა ჯიშის ვაზი დარგო ეზოში, თავისი ღვინო ჰქონდა. სტუმარი – ნათესავი, თუ მეგობარი გამოუღვევლად იყო ჩვენს სახლში, ჩვენ თვითონაც რვანი ვიყავით – ყარამანის დედ-მამა, ორი და, ჩვენი ორი შვილი, ჩვენ და სუფრა ყოველდღე გაშლილი იყო ჩვენთან.

თითქოს, ცხოვრების გზა არჩეული და გარკვეული ჰქონდა – დაიცავდა დისერტაციას (რომელიც თითქმის ბოლომდე ჰქონდა დაწერილი) და შეუდგებოდა სამეცნიერო მუშაობას, მატერიალურადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა. მაგრამ ასპირანტურის მეორე კურსზე გადაწყვიტა, თავი დაენებებინა ყველაფრისთვის და წერა გაეგრძელებინა. ფიქრობდა, რომ ეს იყო მისი მისია. რა თქმა უნდა, არ იყო ადვილი გადასაწყვეტი ეს... მაგრამ მეც ივივეს ვფიქრობდი, მწამდა, რომ ბოლოს გაიმარჯვებდა და დიდ მწერლადაც აღიარებდნენ. მითხრა და, მაშინვე დავთანხმდი, გავამხნევე. ორივემ ვიცოდით, რომ რთული გზა ავირჩიეთ ცხოვრებისთვის.

“სიტყვასა და ფიქრს შორის განსხვავება სიყალბეა, ხოლო საქმესა და სიტყვას შორის – სიმხდალე, ან სიმუხთლე. ის, ვინც ფიქრებთან სტყუის, საკუთარ თავს ატყუებს, ვინც გულის წადილს ვერ მისდევს – ქვეყანას.

– გამათავისუფლეს, – ვუთხარი თეონას. თეონას არაფერი უთქვამს.

ქვეყანა დიდია... შეიძლება საკუთარი თავი დაკარგო. საკუთარი “მეს” პოვნა ფიქრის



ადამიანებს, ვინც სამყაროში საკუთარი ადგილი იპოვნა.”

ყველაფერში ნიჭიერი და მრავალმხრივი ადამიანი იყო. ხატავდა; ფორტეპიანოზე დაკვრა დამოუკიდებლად ისწავლა უკვე დილობაში და ერთ თვეში სერიოზულ ნაწარმოებებს უკრავდა, საოცარი სმენა ჰქონდა, მღეროდა; ჭადრაკი უყვარდა და მშვენივრად თამაშობდა; ფეხბურთი უყვარდა და მუდმივად ჩართული იყო სპორტულ მოვლენებში, საოცარ პროგნოზებს აკეთებდა ხოლმე. თემა არ იყო, რომ მასზე საუბარი არ შეძლებოდა, რაიმე საკითხი არ ცოდნოდა. საერთოდ, საზოგადოებაში ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ რასაც ამბობდა, ყოველთვის მართალი იყო. იცოდა, როდის, სად და რა

პოენაა, სიტყვისაგან და საქმისაგან ფიქრის გამორჩევა.

“ადამიანი არც სიტყვაა და არც საქმე, ადამიანი ფიქრია...”

გარანტირებულ ცხოვრებისეულ პირობებზე უარის თქმა სხვებისთვის არ იყო ადვილი გასაგები, მსგავსი მოქმედება არც ჩვეული იყო იმდროინდელი საზოგადოებისთვის. ასპირანტურაში ისიც კი ეგონათ, გამოცდები არ აქვს ჩაბარებულიო, მერე რომ გაირკვა, ეს არ იყო მიზეზი, იფიქრეს, გადაიღალაო და აკადემიური შესთავაზეს. პრინციპში, ცდილობდნენ, თავისებურად გვერდში დადგომოდნენ და “სწორ გზაზე” დაებრუნებინათ. მხოლოდ პროფესორმა გიორგი ჭოღოშვილმა გაუგო და მის მხარეზე დადგა.

მერე დაიწყო ჩვენი რთული ცხოვრებაც. პირველ ხანებში რედაქციებში ადვილად არ იღებდნენ უცნობ, ახალგაზრდა მწერალს, თან არა თავისი სფეროს წარმომადგენელს, ზოგჯერ სულაც არ აინტერესებდათ რა დონის ნაწარმოებებს სთავაზობდა, უბრალოდ წაკითხვამდეც კი დიდი დრო გაჰყავდათ, “დღეს არა, ხვალ მოდი”, ხშირად ეუბნებოდნენ. შინ რომ შემოვიდოდა, თვალეში ვატყობდი, რას ფიქრობდა, რას გრძნობდა. საერთოდ, სიხარულსაც და ტკივილსაც ბოლომდე განიცდიდა. მუდმივი ყურადღება, ბავშვივით მოფრთხილება სჭირდებოდა, მგონი, საკუთარ შვილებზე არ მიზრუნია იმდენი, მასზე რომ ვზრუნავდი. ღამით ქუჩებშიც ბევრი გვიხეტიალია. მიუხედავად ყველაფრისა, მისი რწმენა არ მეკარგებოდა. სხვათა შორის, თვითონაც ობიექტურად აფასებდა თავის შესაძლებლობებს. ამბობდა, თუ მიგხვდი, რომ ველარაფერს ვაკეთებ, თავს აღარ ვიცოცხლებო.

შემდეგ თანდათან გაიხსნა გზა. ჯერ ლექსები, შემდეგ ჩანახატები, იუმორისტული ჩანაწერები, მოთხრობები დაუბეჭდეს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. მწერალთა კავშირში დადიოდა შეხვედრებზე, საღამოებზე. ახალი წრე, ახალი ურთიერთობები, ახალი მეგობრები გაჩნდნენ. გივი გეგუჭკორი, ჯანსუღ ნიქაბაძე, ამირან ახობაძე, მამუკა წიკლაური, შოთა ქავთარაძე, ჯანსუღ ღვინჯილია, თედო ბექიშვილი, ჯუმბერ თითმერია, ჯარჯი ფხოველი, გივი ალხაზიშვილი, გივი შაჰნაზარი... ოჯახის წევრებად გეყავდა ყველა მიღებული და შეხვედრებისას იმართებოდა საუბრები მწერლობაზე, საქართველოზე... ქეიფობდნენ, ხუმრობდნენ, ერთად დავდიოდით კახეთში, მთიულეთში...

ყარამანი (ოჯახში ბიჭის ვეძახდით)

სხვაზე ფიქრით და ზრუნვით ცხოვრობდა, მისთვის სხვა საკუთარ თავზე უფრო მნიშვნელოვანი იყო, ამბობდა, არ შემიძლია, თუკი ვინმეს ვჭირდები, მის გვერდით არ ვიყო. ყველასთვის შეეძლო რჩევა მიეცა, მხარში დადგომოდა, რაღაც ესწავლებინა, გზა გაეკვალა. საერთოდ, ყველასთან შეეძლო ურთიერთობა – დიდთან თუ პატარასთან. მასსოვს, მამუკა წიკლაურის ერთი მოგონება – “ჩვენს საერთო მეგობარს მამა გარდაეცვალა, ზამთარი იყო. ის ზამთარი განსაკუთრებით ყინვიანი იყო. სამარესთან აგური, სიპი ქვები უნდა მიგვეტანა, მანქანა ფერდობამდე მივიდა და იქიდან ხელით უნდა აგვეტანა, არადა, იმ თოვლში, მისიპულ გზაზე ტვირთით კი არა და, ისედაც ჭირდა სიარული. ვიდექით და ერთმანეთს შევეყურებდით, ვერც ერთი ვერ ვბედავდით ქვების აღებას. ყარამანი, ეს ქალაქელი ბიჭი, არც აღნაგობით გამოირჩეოდა და არც ძალღონით, უცებ დასწვდა ერთ ყველაზე დიდ ქვას, იარა, იარა და პირველი ქვა მიიტანა იმ სამუდამო სამარესთან. შემდეგ კი ყველაფერი ადვილი იყო... სამაგიეროდ, ყარამანი უკან, ჩრდილში დგებოდა, რცცა, პირიქით, თავის გამოსაჩენი იყო...”

მერე პირველი წიგნიც დაიბეჭდა გამომცემლობა “მერანში” – “ჩემი მსიარული, კეთილი თანამგზავრი”, რეზო ადამიამ გააფორმა, რეზოსთვისაც პირველი ნამუშევარი იყო... რეზოს დახატული ყარამანის პორტრეტიც დაგვრჩა.

უკვე ისეთი გამოსმაურებები მიიღო, რომ დამშვიდდა, დაწყნარდა, იგრძნო, რომ მარტო აღარ იყო, ვიღაცამ დაინახა, დააფასა... შემდეგ მის ჩანაწერებში ვნახეთ, მკითხველთა პირველი რეაქციები მოუნიშნავს თავის წიგნთან დაკავშირებით. აი, რამდენიმე მათგანი:

“მამუკა წიკლაური: ერთი წუთითაც არ მეჭვვება, რომ ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი ქართულ მწერლობაში.

გივი ალხაზიშვილი: ძალიან მომეწონა, ძალიან კარგ სამყაროში ვიყავი, ბოლო თავი განსაკუთრებით, აი, ის, შიშზე რომ წერ, მარკესისეული მიდგომა გაქვს გმირისადმი.

ვახტანგ კუხიანიძე: წავიკითხე შენი წიგნი და სიმართლე უნდა გითხრა, ძალიან მომეწონა, შენ ჩემი პოტენციური მეგობარი ხარ.

შოთა ქავთარაძე: მათე, დიდი მწერალი არის თუ არა ყარამანი? მე მეშინია, იმათ არ დავემსგავსოთ, ერთმანეთს რომ აქებენ და კმაყოფილები არიან, მაგრამ, ჩემი აზრით, მართალი ვარ.

ცოტნე კიკვიძე: შენი უზუნაესი სულის

გამოვლინებაა, არაფერი არ არის ყალბი, არც ერთი ფრაზა, არც ერთი სიტყვა, ამაზე მეტი გულწრფელობა წარმოუდგენელია.

ილო ფხოველი: რამდენი კარგი რაღაცეებია ამ წიგნში, არ ვიცოდი, თუ ამდენი რამე შეეძლო, აწი მე ყარამანს აღარ დაგვარგავ.

რომეო ფხოველიშვილი: იუველირს უფლება არა აქვს, რომ ფირფიტაზე ცარიელი ადგილი დატოვოს, ასეა ეს წიგნიც, აქ ცარიელი ადგილები არ არის. შესანიშნავი იუმორია, შესანიშნავად არის გაკეთებული გადასვლები



ფიქრიდან მოქმედებაზე, მოქმედებიდან ფიქრზე.”

1967 წელს მათემატიკის გამოთვლით ცენტრში დაიწყო მუშაობა ოპერატორად ღამის ცვლებში, ამბობდა, რომ წერისთვის მეტი დრო უნდა ჰქონოდა. სხვათა შორის, ფიზიკა-მათემატიკური საკითხებისადმი საერთო ინტერესმა გააცნო ედიშერ ყიფიანი, საოცრად დაახლოვდნენ იმ მოკლე დროში. დიდი ტკივილი მიაყენა ყარამანს ედიშერის გარდაცვალებამ...

ერთდროულად სამ ისტორიულ რომანზე დაიწყო მუშაობა, ლექსებსაც ისევ წერდა და მცირე კრებულისთვის თვითონ ჰქონდა გადარჩეული. მწერალთა კავშირის რიგებში გაწევრიანებისთვის ნიკა აგიაშვილმა, ალიო ადამიამ, ანზორ აბულაშვილმა მისცეს რეკომენდაციები. პარასკევს წარდგინებაც იყო, თუმცა შემდეგ კვირაში მოხდა ის, რაც მე მხოლოდ ორი თვის მერე გავიგე. ინფარქტით ვიწეკი საავადმყოფოში და მხოლოდ ლენინგრადიდან (პეტროზურგიდან) დაბრუნების შემდეგ შევხვდი რეალობას...

“თუ შენთვის საჭირო იქნება, მე თავს მოვიკლავ, ისე, რომ ერთი წუთითაც არ დაგფიქრდები, შენთვის კი არა, თუ გინდა, სხვისთვისაც...”

შემდეგ მეგობრების – მამუკა წიკლაურის, თედო ბექიშვილის, გივი აღსაზიშვილის ინიციატივით გამოიცა შემდეგი წიგნები –

“მე ბევრი ვიფიქრე, თქვა კაცმა”, “სახითა შენითა”, “პატარა ჰუპის ზღაპარი”. ეს უკვე 70-იანი წლების ბოლო, 80-იანის დასაწყისია... ყარამანის გარდაცვალების შემდეგაც ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენს ოჯახში. მეგობრებს უკვე ისინიც მოჰყავდათ, ვინც მას პირადად არა, მაგრამ მის შემოქმედებას იცნობდნენ. შემდეგ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ლიტერატურული საღამოებიც მოაწყვეს რამდენჯერმე, სხვათა შორის უკვე ჩემი შვილების მეგობრების ინიციატივითაც.

არქივში კიდევ არის დარჩენილი გამოუქვეყნებელი მასალები... ყარამანის ბიბლიოთეკაში კი ვინახავთ შემდგომ წლებში გამოქვეყნებულ მის ნაწარმოებებთან ერთად მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილებს – ლევან ბრეგაძისას, კახა ჯამბურისას, ნუგ ზარ მუხაშვილისას, გია არგანაშილისას და სხვებისას.

ბიბლიოთეკაც თავისი ხელით ჰქონდა შექმნილი, ყველა წიგნი აღწერილი და მოწესრიგებული კარტოთეკით. ბევრჯერ, საჭმლისთვის განსაზღვრული თანხით წიგნებს ყიდულობდა... რამდენიმე უძველესი გამოცემა – “დაბადება” (ბიბლია), 1884 წლის გამოცემა; მიქაელ თამარაშვილის “ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის”, 1902 წლის გამოცემა; “ვეფხისტყაოსნის” XIX საუკუნისეული გამოცემა მ. ზიჩის ნახატებით, სამწუხაროდ, დაგვეკარგა; “ყარამანიანი”; ძველი გაზეთების – “დროება”, “კვალი” “ახალი გზა”, “Нива” და სხვა ნაკრებები კი მამისგან, ლაზარე კიკვიძისგან ჰქონდა გადმოცემული. შვილებს 7-8 წლის ასაკში დააწყებინა კითხვა, ურჩევდა წიგნებს და თან ავალებდა, განსაზღვრულ დროში წაეკითხათ, შემდეგ ერთად არჩევდნენ წაკითხულს. რა თქმა უნდა, ბევრი სარგებლობდა მისი ბიბლიოთეკით წიგნების უკან დაბრუნების პირობით (სხვანაირად ბიბლიოთეკას ხომ ვერ შეინარჩუნებ კაცი).

ყოველთვის ვცოცხლობდი და ვარსებობდი მისით. გარდაიცვალა და... დღესაც ვარ და ვარსებობ მისით. მის მოთხრობებში ბევრი რამ ავტობიოგრაფიულია და ბევრ რამეს ჩვენი ურთიერთობის შესახებ იქ ამოიკითხავთ.

“ბედნიერება არ არსებობს, ან შეცდომით იმ გრძნობას ეძახიან, რომელსაც მსხვერპლის გაღება იწვევს.

ყველაზე დიდი ბედნიერება მსხვერპლის გაღებაა.”

ცირა მამსირაშვილი

თიანეთის საბიბლიოთეკო ბაერთიანების
საინფორმაციო მენეჯერი

თიანეთის ბიბლიოთეკა 130 წლისაა

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებისათვის თიანეთის მაზრაში არ არსებობდა განათლებისა და კულტურის არც ერთი დაწესებულება. წერა-კითხვის უცოდინარ გლეხობას ხელი არ მიუწვდებოდა წიგნზე. მაზრის პროგრესულ ძალებს, შემოქმედებით ინტელი-



გენციას საჭიროდ მიაჩნდა ამ ჩამორჩენილობის დაძლევა, მშრომელთა გამოყვანა უკულტურობის ბურუსიდან. ისინი თანმიმდევრულად იბრძოდნენ სოფლად სკოლებისა და სამკითხველოების გახსნისათვის. თიანეთში წიგნსაცავის გახსნამდე დაარსებული იყო ერთკლასიანი სკოლა, სადაც ასწავლიდნენ ქართულ და რუსულ წერა-კითხვას, მათემატიკასა და საღურგლო საქმეს. ამ დროისათვის სამაზრო ცენტრის ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი ცდილობდა სამკითხველოს გახსნას, რითაც შეიძლებოდა ხალხში სულიერი საზრდოს შეტანა.

1885 წელს თიანეთში საზოგადოებრივ საწყისებზე გაიხსნა პირველი წიგნსაცავი. საზეიმო გახსნაზე დამსწრეთ სიტყვით მიმართა თიანეთის მღვდელმა ი. კოშორიძემ. მან ილაპარაკა სამკითხველოს დანიშნულების

შესახებ; სკოლის მოსწავლეებს მოუწოდა, უფრო მეტად დაუფლებოდნენ მდიდარ ქართულ ლიტერატურას, მისი აზრით, სამკითხველო ბავშვებისათვის „მეორე სკოლის“ ფუნქციას შეასრულებდა. ი. კოშორიძემ მადლობით მოიხსენა მასწავლებელი ვ. მათურელი, მკურნალი გედევანიშვილი, ი. ცისკარიშვილი, ი. ჩიბალაშვილი. ამ უკანასკნელმა წიგნსაცავს საკუთარი ოთახი გამოუყო და წიგნსაცავის მართვაც იკისრა.

თიანეთის სამკითხველოს ერთ-ერთი პირველი მკითხველი ვაჟა-ფშაველა იყო. ამის შესახებ იგონებს მასწავლებელი ვასილ ჯიბლაძე: „...ვაჟა-ფშაველა თავის სიცოცხლეში ხშირი და სასიამოვნო სტუმარი იყო თიანეთისა და ისე არ წავიდოდა, რომ ბიბლიოთეკა არ მოენახულებინა“. თვითონ ვაჟა-ფშაველა „დროების“ 1885 წლის 12 აპრილის ნომერში წერდა: „დიდის იმედით და სასოებით მივეგებებით ახლად დაარსებულს ბიბლიოთეკას, რომელიც ამ წლის დამდეგს გაიხსნა.“

ამის შემდეგ თიანეთის ბიბლიოთეკას ეტყობა დიდი სიძნელეები შეხვდა, მისი მუშაობა იმდენად შენედა, რომ იგი ახალი ზრუნვის საგნად გადაიქცა. ამის შესახებ გაზეთ „ივერიის“ 1894 წლის 25-ში ასეთი ცნობა გამოქვეყნდა: „თიანეთის ახალგაზრდობის მეცადინეობით, მომავალი წლიდან თიანეთში არსდება საზოგადო წიგნსაცავი, საზოგადოებამ ამოირჩია საქმის მცოდნე კაცები და დაავალა წესდების შემუშავება“. წესდებაში ჩაწერილი იყო, რომ წიგნები გაიცემოდა უსასყიდლოდ. ამ საქმის მესვეური ყოფილა თიანეთის აფთიაქარი - ივანე ჩიბალაშვილი. წიგნსაცავის გამდიდრება




მთლიანად დამოკიდებული იყო კერძო პირთა შემოწირულებაზე. ამის შესახებ იგივე გაზეთი იუწყებოდა (1895, 24). კორესპონდენტი მადლობას უძღვნის დეკანოზ გრძელიშვილს - დარბაზის უფასოდ დათმობისათვის. აქვე გაზეთი იუწყება, რომ წიგნსაცავის სასარგებლოდ გაიმართა ქართული წარმოდგენა ადგილობრივი ძალებით, საიდანაც სამკითხველოს მოგება დარჩა 40 მანეთი.

წიგნსაცავის განახლებიდან 1 წლის ანგარიში მოისმინა წიგნსაცავის წევრთა საერთო კრებამ. ამის შესახებ წერდა გაზეთი „ივერიის“ 1895 წლის 2 დეკემბრის კორესპონდენცია. აღნიშნულია, რომ საანგარიშო წელს წიგნსაცავში შემოსულია 250-მდე ქართული და 300-მდე რუსული წიგნი. გაცემის რაოდენობა შეადგენდა 1200-ს; საერთო კრებამ მადლობა გადაუხადა ა.ს.გამრეკელს, რომელმაც წიგნსაცავს 50-ზე მეტი წიგნი შესწირა.

ამ დროისათვის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა თიანეთში დაბრუნებული ივ. ჩიბალაშვილი, მის თანაშემწედ ა. ცისკარიშვილი. ბიბლიოთეკარს იმავე დროს ებარა აფთიაქი. მიუხედავად ამისა, ი. ჩიბალაშვილი ძალასა და ენერგიას არ იშურებდა წიგნსაცავისათვის. ჩანს, რომ მისი გულმოდგინე მეცადინეობით გაუმჯობესდა წიგნსაცავის მუშაობა.

1910 წელს „სახალხო გაზეთი“ წერდა: „თიანეთის ბუნებას ყველაფერი ლამაზად მოუწყვია, ათასფერად მორთული მინდვრები, შუა სოფელზე მომდინარე იორი, მაგრამ აქაურები მეტად გულცივი და დაუდევრები არიან. ერთადერთი გასართობი იყო სამკითხველო, რომელიც კვირაში სამ დღეს არის ღია“. სამკითხველო დღეობდა 4 სახელწოდების გაზეთს. წიგნების რაოდენობა ვერ აკმაყოფილებდა მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნებს. არადა მაკმაყოფილებელი იყო წიგნების ფიზიკური მდგომარეობა. ეს ნაკლოვანება არ იქნებოდა ნიშანდობლივი, რომ თიანეთელები ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ „გონების ამ ტაძარს“.

თიანეთის მაზრის საზოგადოებრივ და კულტურულ ჩამორჩენილობაში განათლებისა და კულტურის კერების აქტიური მუშაობის ერთ-ერთ წინაპირობად მიჩნეული იყო ის გარემოება, რომ ამ მოძრაობაში არ მონაწილეობდნენ ქალები. მათ უდიდამო და მწარე ცხოვრება ჰქონდათ, საზოგადოებაში გამოსვლა და სასარგებლო საქმის კეთება, ახალი თაოსნობა ქალებს სამარცხვინო საქმედ მიაჩნდათ. ყველაზე მძიმე



მემკვიდრეობა, რომელიც მათ წარსულმა დაუტოვა, იყო წერა-კითხვის უცოდინრობა.. ამ დიდი ნაკლის აღმოფხვრაში თავისი წვლილი უნდა შეეტანა ბიბლიოთეკას. მაზრას არ გააჩნდა სათანადო ბაზა, მომზადებული კადრები, რომ ქალები აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. ქალთა მოძრაობას გამოცოცხლება დაეტყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყრების შემდეგ.

თიანეთში 1920-იანი წლებიდან მოყოლებული სისტემატურად იმართებოდა ქალთა კრებები, სადაც განიხილავდნენ მოსახლეობის კულტურულ და საგანმანათლებლო

საკითხებს: იმართებოდა კონკრეტები ბავშვებისა და სამკითხველოს სასარგებლოდ. ამ საქმის გასაძლიერებლად შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც ითავა ქალთა აქტიური ჩაბმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბიბლიოთეკის მუშაობას თანდათანობით მიეცა ორგანიზებული ხასიათი, ამაღლდა მომსახურების ხარისხი. 1947 წლიდან თიანეთის ბიბლიოთეკას მიენიჭა სარაიონო ბიბლიოთეკის სტატუსი. მისი პირველი გამგე იყო ლ.



ხატიაშვილი, ბიბლიოთეკარი ვ. აბრამიშვილი; საბავშვო ბიბლიოთეკარად მუშაობდა პ. ხარანაული. სარაიონო ბიბლიოთეკას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ჯ. გოჯიაშვილი, გ. ბერიკაშვილი, რ. ბურდული.

1976 წლიდან ბიბლიოთეკა ახალ შენობაში გადავიდა. მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაციას (1974–1980) რაიონში წარმატებით ხელმძღვანელობდა კულტურის განყოფილების გამგე ფ. შუშინაშვილი. 1980 წლისათვის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ირიცხებოდა 30 000–მდე ეგზემპლარი, მკითხველთა რაოდენობა ამ დროისათვის შეადგენდა 2 400–სს;

1983-1986 წლებში ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა რ. ფიცხელაური, 1986 წლიდან, ლუბა ნაკვეთაური. 1989 წლისათვის რაიონის გამგებლის ა. ტუშურის ინიციატივით ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის აშენდა ტიპირი შენობა; მისი მთლიანი ფართობი შეადგენს 600 მ². ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად გაზარდა ბიბლიოთეკის მუშაობის ხარისხი. ფონდი სისტემატურად ივსებოდა ახალი გამოცემებით. ამ პერიოდში ცენტრალურ ბიბ-

ლიოთეკას ხელმძღვანელობდა მ. ნადირაშვილი; ბიბლიოთეკარად მუშაობდა ი. შუშინაშვილი.

ცენტრალური ბიბლიოთეკა იმთავიდანვე ასრულებდა მეთოდურ ფუნქციას მთელი ქსელისათვის. მეთოდისტები: ე. აბრამიშვილი, მ. ფრიდონაშვილი, მ. პატარაშვილი და ბიბლიოგრაფი ნ. გოჯიაშვილი პროფესიულ დონეზე წარმართავდნენ ბიბლიოთეკის საქმიანობას, მაღალ დონეზე ტარდებოდა ორდღიანი სემინარები. 2006–2015 წლებში ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა ს. გონჯილაშვილი; 2015 წლიდან შეიცვალა საბიბლიოთეკო ქსელის მენეჯმენტი: თემის ბიბლიოთეკების გაერთიანებას ხელმძღვანელობს ქეთევან ხარანაული, მთავარ ბიბლიოთეკას – ს. გონჯილაშვილი.

თიანეთის საბიბლიოთეკო სისტემამ, ისევე, როგორც ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, განიცადა გარკვეული ცვლილებები. 2010 წელს ყველა სასოფლო ბიბლიოთეკა გაუქმდა და მათი ფონდები დროებით გადაეცა საჯარო სკოლებს. 2013 წელს დაიწყო საბიბლიოთეკო ქსელის რეაბილიტაცია. აღდგენილი იქნა 16 სასოფლო ბიბლიოთეკა. ამჟამად თიანეთის მუნიციპალიტეტის საჯარო ბიბლიოთეკების ქსელში გაერთიანებულია 17 ბიბლიოთეკა. საბიბლიოთეკო ქსელის აღდგენა უზრუნველყო ადგილობრივმა ხელისუფლებამ (გამგებელი ლ. ქიტესაშვილი).

თიანეთის ბიბლიოთეკის დაარსებიდან 130–ე წლისთავთან დაკავშირებით ა. წ. 19 ოქტომბერს მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა საიუბილეო ღონისძიება. ბიბლიოთეკის ისტორია, მისი განვითარების ისტორიული პერიოდები წარმოადგინა დარბაზის ბიბლიოთეკარმა ქ. ბერიშვილმა. ღონისძიებას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელი ლ. ქიტესაშვილი, კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, მოსწავლეები, ადგილობრივი ინტელიგენცია. ღონისძიებას დაესწრნენ და დამსწრეთ სიტყვებით მიმართეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკების პასუხისმგებელმა პირებმა. ბიბლიოთეკის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით ღონისძიებები ამჟამადაც გრძელდება.



გიორგი გაბუნია

„ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“
დაშვებული ერთი კაზუსის შესახებ

1947 წელს გამოცემული გიორგი ბაქრაძის ფუნდამენტური ნაშრომის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ 37-ე გვერდზე არის:

„214. „ოხუნჯი“. 1910.

ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება; მოსხენებულია „სახალხო გაზეთში“, 1910 წ. 26 დეკემბრის ნომერში 183“.

პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ ეს ინფორმაცია თავიდან ბოლომდე, ერთგვარ, კაზუსს წარმოადგენს, ვინაიდან, ჯერ ერთი, „ოხუნჯი“ მოხსენებულია აღნიშნული გაზეთის არა 26, არამედ 14 დეკემბრის ნომერში (იხ.: 183, გვ. 2), ხოლო მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ იგი დამოუკიდებელი ფორმატით არასდროს არ გამოცემულა, ჩვენს ბიბლიოთეკებში, კერძოდ - საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ის მაინც მოიპოვება და თუ როგორი „ფორმით“, ამის შესახებ მკითხველს ქვემოთ მოვახსენებ.

კვლევა-ძიებით დავადგინე, რომ „ოხუნჯი (საკვირაო გაზეთი)“, ჩვეულებრივი საგაზეთო რუბრიკის სახით, პირველად 1910 წლის 12 დეკემბერს, კვირას, გამოქვეყნდა „სახალხო გაზეთის“ 182-ე ნომრის მე-2 გვერდის განივ ერთ მესამედზე, რომლის შესახებაც 14 დეკემბერს, სამშაბათს, ხსენებულმა ორგანომ, „ახალ ამბებში“ დაბეჭდა შემდეგი შენიშვნა: „კვირის ნომერში სამწუხარო შეცდომები შეგვეპარა. „ოხუნჯის“ რედაქტორ-გამომცემელი „აყვიას“ (უნდა იყოს: „აყვიას“ - გ.გ.) მაგიერ უნდა ყოფილიყო „პირქუში აყვია“.

ამავე „ოხუნჯიში“ 606-ს უნდა ეწეროს „ტლინკაძე“, ხოლო „ახალ ამბებს“ - გარდანიქმანი.

ჩვენი ცაგერელი კორესპონდენტი „გარიყული“ - ქ-ნი მ. გარიყული (ცნობილი მწერალი მარიამ თათეიშვილი-რატიანისა - გ.გ.) არ არის“ (183, გვ. 2).

როგორც ჩანს, გიორგი ბაქრაძემ თავის

„ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“ მხოლოდ ამ შენიშვნაზე დაყრდნობით მიანიშნა „ოხუნჯის“ არსებობის ფაქტი ისე, რომ თავად ეს „გაზეთი“, განთავსებული „სახალხო გაზეთის“ 1910 წლის 18 დეკემბრის 182-ე ნომრის მე-2 გვერდზე, არც კი უნახავს, რამაც გამოიწვია კიდევაც, რბილად რომ ვთქვა, ის ლაფსუსი, რომელიც ამ უადრესად მაღალკვალიფიციურმა მკვლევარმა და პროფესიონალმა ბიბლიოგრაფმა, ნებსით თუ უნებლიეთ, რომ დაუშვა.

დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ „ოხუნჯი“ სხვა არაფერია, თუ არა „დაუნომრავი გაზეთი გაზეთში“ - „სახალხო გაზეთის“ მიერ „შეკედლებული“, ერთგვარი, სატირულიუმორისტული „შვილობილი“, რომელსაც ხსენებული ორგანოს თანამშრომლები და ჟურნალისტებივე ამზადებდნენ გამოსაქვეყნებლად და რომელიც 1910 წლის 12 დეკემბრის გარდა, კიდევ ორჯერ გამომხეურდა აღნიშნული გაზეთის ფურცლებზე. კერძოდ, მეორედ იგი მკითხველმა მიიღო 1910 წლის 19 დეკემბერს, კვირას (იხ.: 188, გვ. 2-3), ხოლო მესამედ - 1911 წლის 9 იანვარს, ასევე კვირას (იხ.: 203, გვ. 2). „ოხუნჯის“ პირველი „ნომრის“ რედაქტორ-გამომცემლად მითითებულია „აყვია“, მომდევნო ორის „თავკაცად“ კი - „პირქუში“. რაც შეეხება ამ „გაზეთის“ ხილვის შესაძლებლობას, დაინტერესებული მკითხველი ამას თავისუფლად მოახერხებს ჩვენში ფუნქციონირებად ყველა იმ ბიბლიოთეკაში, სადაც კი დაცულია „სახალხო გაზეთის“ ზემოდასახელებული ნომრის ეგზემპლარები.

დასასრულ, დასკვნის სახით, უნდა განვაცხადო, რომ ჩემი კრიტიკული მსჯელობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, უპრიანი იქნება, თუ „ოხუნჯი“, როგორც არარსებული „დამოუკიდებელი საკვირაო გაზეთი“, „ქართული პერიოდული ბიბლიოგრაფიის“ ახალ, შევსებულ და უფრო „დახვეწილ“ გამოცემაში, რაც, უკვე კარგა ხანია დგას დღის წესრიგში აღარ იქნება შეტანილი, ხოლო იმ

მიზნით, რომ იგი სულ არ „დაიკარგოს“ ჩვენი თვალსაწიერიდან, მისი „არსებობის“ თაობაზე გაკეთებული პატარა ცნობა უნდა დაემატოს ხსენებულ ბიბლიოგრაფიაში „სახალხო

გაზეთის“ (1909-1914) შესახებ არსებულ აღწერილობას, რაც, ჩემი აზრით, სავსებით საკმარისი იქნება მის „შესანარჩუნებლად“.

მირზა ფათალი ახუნდზაღეს ნანარმოები ქართულად

ახლახან გამომცემლობა „ინტელექტ-მა“ გამოსცა ცნობილი აზერბაიჯანელი მწერლისა და დრამატურგის მირზა ფათალი ახუნდოვის ნაშრომი „ბოტანიკოს მუსიე ჟორდანიასა და ცნობილი ჯადოქრის, დერვიში მართალი შაჰის ამბავი; ანუ საოცარი ისტორია, რომელიც ოთხ მოქმედებაში ვითარდება და სრულდება“. წიგნში ავტორი მაღალი ოსტატობით გადმოგვცემს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობას, მათი მარადიული ურთიერთტოლგვისა და, ამავდროულად, მუდმივი გაუცხოების ამბავს. მე-19 საუკუნის შუახანებში მოთხრობილი ეს ისტორია დღესაც დიდი ინტერესით იკითხება. წიგნი აზერბაიჯანული ენიდან თარგმნა ოქტაი ქაზუმოვა; რედაქტორი ზ. კვარაცხელია. წიგნი გამოიცა საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.



ციცინო ჯინჯიხაძე

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.

მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკამ ოქტომბრის თვეში მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას უმასპინძლა. წლებიანდელი სამეცნიერო ფორუმი ქართველი მწერლისა და საზოგადო

მღვაწის აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175-ე წლისთავს მიეძღვნა. კონფერენციის მონაწილეებმა აკაკის ცხოვრება და შემოქმედება განსხვავებულად წარმოადგინეს. აღსანიშნავია, რომ იუნესკომ



2015 წელი აკაკის წლად გამოაცხადა. მომხსენებელთა ნაშრომების თემატიკა ძალიან მრავალფეროვანი იყო. მონაწილეებმა აკაკის შემოქმედების გარდა საბიბლიოთეკო სფეროს განვითარებისათვის საჭირო აქტუალურ საკითხებზეც ისაუბრეს.

ნარგიზ ჩოგვაძე, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი:

„მეცნიერება კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ერთობლიობაა. ამ ერთობლიობის საცავია ბიბლიოთეკა. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ჩვენს ბიბლიოთეკაში ტარდება ეს კონფერენციები.“

ბიბლიოთეკისათვის ამ ტიპის კონფერენციების ჩატარება ნამდვილად ფასეული და ღირებულია. ის მეცნიერები, რომლებიც ყოველწლიურად მონაწილეობენ ჩვენს კონფერენციებში, მოუთმენლად ელოდებიან ოქტომბრის თვის დადგომას.

ამ ფაქტით არა მხოლოდ ბიბლიოთეკა, ქალაქიც იამაყებს. ქუთაისი ყოველთვის იყო კულტურის მექა. მინდა, ჩემი ქალაქი იყოს გამორჩეული. არის ამის პოტენციალი. რატომაც არა, მოვიწონოთ თავი ქუთაისმა.“

რიტა წაქაძე, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე, კონფერენციის ერთ-ერთი დამფუძნებელი:

„სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენციები ჩვენს ბიბლიოთეკაში უკვე მეშვიდე წელია, რაც წარმატებით ტარდება. გარდა იმისა, რომ ვატარებთ მეცნიერთა მაღალი დონის შეხვედრებს, ქუთაისის ბიბლიოთეკა, ჯერჯერობით, ერთადერთია, რომელიც ყოველწლიურ სამეცნიერო კრებულს უშ-

ვებს. კრებულში იბეჭდება კონფერენციის შედეგები. კონფერენციის მსოფლიო გამოცემის მოხსენებები. თანაც, არა მხოლოდ მათი, ვინც კონფერენციას ესწრებოდა, არამედ იმათიც, რომელთაც ობიექტური მიზეზების გამო ვერ შექმნეს ჩამოსვლა, მაგრამ ნაშრომები მოამზადეს კონკრეტულად აღნიშნული დონისძიებისთვის.“

უკვე გამოცემულია 6 ტომი. თითოეულში 40-50 ნაშრომი დაბეჭდილი როგორც ქართულ, ისე ინგლისურ და არაბულ ენებზე. ნაშრომების თემატიკაა საბიბლიოთეკო, ქართველოლოგიის, ისტორიის, ენათმეცნიერების, კულტუროლოგიის სფეროები. კრებულში ყველაფერი ქართულთაა კავშირში, რადგან, როცა კონფერენციას ვაფუძნებდით, ჩვენი მიზანი იყო, მხარი დაგვეჭირა ქართული მეცნიერების განვითარებისათვის. და გაამართლა კიდევ – დღეისათვის კრებული „წელიწდეული“ მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებების ბიბლიოთეკებში დევს.“



ავთანდილ ნიკოლეიშვილი, პროფესორი, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შვიდივე კონფერენციის მონაწილე:


„აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის არცერთ ბიბლიოთეკაში მსგავსი რამ არ კეთდება. ეს არის ის კარგი ტრადიცია, რომელიც ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკამ დაამკვიდრა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა კონფერენცია ამა თუ იმ მნიშვნელოვანი მოვლენისადმი არის მიძღვნილი. თუმცა, კონფერენცია მხოლოდ ერთი თემატიკით არ შემოიფარგლება. კონფერენციაზე ქართველოლოგიური მეცნიერებებიდან ბევრი აქტუალური პრობლემა დაისვა, ბევრი სიახლე გაჟღერდა.“

ასეთი დონისძიებები დიდ მნიშვნელობას სძენს არა მხოლოდ ბიბლიოთეკას, არამედ ჩვენს ქალაქსაც.

შტეფან ცვაიგი ნიზნის ბაგაკეთილშობილელი ძალის შესახებ (რეკომენდაცია)



ცნობილი ავსტრიელი მწერალი შტეფან ცვაიგი (1881–1942) სრულიად ახალგაზრდა მგზავრობდა ხმელთაშუაზღვით გენუიდან ნეაპოლამდე. გემზე იგი გაესაუბრა ეკიპაჟის ერთ-ერთ წევრს, ახალგაზრდა იტალიელს. მწერალი ერთობოდა „შავგვრემან ველურთან ლაყბობით“. ცოტა ხნის შემდეგ უკვე მწერალთან გაამხანაგებულ იტალიელს ახალგაზრდა იტალიელი თავმომწონედ მიუახლოვდა მწერალს და სთხოვა წერილის წაკითხვა. ცვაიგმა იფიქრა, ალბათ წერილი ფრანგულ ან გერმანულ ენაზე იყო დაწერილი და ახალგაზრდა სთხოვდა მის თარგმნას იტალიურ ენაზე. ახალგაზრდამ დაჟინებით სთხოვა მწერალს წერილი ხმამაღლა წაეკითხა. აქ მწერალი მიხვდა, რომ „ეს ლამაზი, ჭკვიანი, თანდაყოლილი ტაქტით და ჭეშმარიტი გრაციოზულობით დაჯილდოებული ყმაწვილი წერა-კითხვის უცოდინარი გახლდათ“. მწერალი სინანულის გრძნობით წერს „პირველად შევხვდი უწიგნურ ადამიანს, თანაც ევ-



როპელს“. ეს შემთხვევა ოცდაექვსი წლის ცვაიგის გონებაში დიდხანს ტრიალებდა და მოსვენებას არ აძლევდა.

მოგვიანებით, 1937 წელს მწერალმა შეთხზა ესეე „წიგნი – სამყაროს კარიბჭე“, სადაც ღრმა ფსიქოლოგიური დაკვირვებითა და ანალიზის საოცარი უნარით წერს წიგნის როლისა და დანიშნულების შესახებ ადამიანის ცხოვრებაში. „იქ, სადაც არსებობს წიგნი, – წერს მწერალი – ადამიანი აღარ რჩება საკუთარი თავის ანაბრად, თავისი თვალთახედვის

ოთხკედელშუა ჩამწყვედული. ის ურთიერთობას ამყარებს, კავშირს აბამს წარსულსა და აწმყოს ყველა მიღწევასთან“. მწერლის ეს სტატია ამასწინათ გამოაქვეყნა გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ (2015, 30 იანვარი). მიგვაჩნია, რომ დიდი მწერლის შეხედულებები წიგნის შესახებ დღესაც არ კარგავს აქტუალობას. შ. ცვაიგის აღნიშნული ესეე თარგმნა ნანი ახობაძემ.

ლალი ავსაჯანიშვილი

აღარ უნდა შეჩერდეს

„ თითოეული ადამიანი, იბადება, რომელიღაც საქმისათვის, ყველას, ვინც დედამიწაზე დააბიჯებს, თავისი მოვალეობანი აქვს ცხოვრებაში“

ერნესტ ჰემინგუეი

მიმდინარე წლის ოქტომბერში თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურულ სალონ „საგულისონის“ (ხელმძღვანელი ქ. ცისანა ქოჩეჩაშვილი) და თბილისის გ. ტაბიძის სახელობის მუზეუმის მიერ ერთობლივად ჩატარდა საინტერესო ღონისძიება აკაკისა და გალაკტიონის ურთიერთობის შესახებ, რომელიც მიეძღვნა აკაკის საიუბ-

ილეო წელს. „რაც დაიწყო, აღარ უნდა შეჩერდეს“ – ციცერონის ეს გამონათქვამი ზედგამოჭრილია ზემოთ აღნიშნული სალონის საქმიანობაზე, რადგან სალონში გაწვევრიანებამ ბევრი რამ მასწავლა და შემმატა შემოქმედებითი თვალსაზრისითაც, და ჩემი ერთფეროვანი ცხოვრება საინტერესო კალაპოტით წარმართა. მე ვფიქრობ, რომ არა მხოლოდ ჩემი ცხოვრება.

არ ვიცი, ვის როგორ, მაგრამ მე ძალიან მომწონს და მიყვარს მუზეუმები; იქ ჩატარებული ღონისძიებები ჩემთვის ორმაგად სასიამოვნოა, რადგანაც მუზეუმი დროში

მოგზაურობაში გვეხმარება და მრავალ საინტერესო ცნობილ და უცნობ ადამიანებთან, ნივთებთან, მოგონებებთან, აღმოჩენებთან ურთიერთობა-ნაცნობობაა.

ყველასათვის ცნობილია, რომ გ.ტაბიძე აკაკის ბაძავდა და აღმერთებდა თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში. ჩემთვის კი, ამ ორი გენიოსიდან უპირველესი გალაკტიონია. რაც უფრო მეტად ვუღრმავდები გალაკტიონის შემოქმედებას, მისი სახელი მით უფრო მეტად ასოცირდება სიტყვა „გალაქტიკასთან“: „გალაქტიკა და გალაკტიონი...

„მარადიულ გალაქტიკაში
მარადიული გალაკტიონი...“

საოცარია, რომ ყოველთვის შეგნებულად გალაკტიონ ტაბიძის სახელში „კ“-ს ვცვლი „ქ“-ასოთი, თუმცა თავად მას ასო „კ“ მოსწონდა:

„როგორც ერთია ქვეყნად რიონი,

ისე ერთია გალაკტიონი...“

ლიტ. სალონში გაწვევრიანების შემდეგ შეიქმნა ჩემი ლექსი გალაკტიონზე, რომელიც ასე იწყება:

„ლომის იერთ, ლომის ფაფართ,

უზარმაზარი მკერდის თქანთქართ,

დღეა, ღამეა თუ შუა ღამე

დადის პოეტი რითმის ტრფიალით...“

საინტერესო და შინაარსიან ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: მწერალი, გალაკტიონის ცხოვრების მკვლევარი ვახტანგ ჯავახიძე, მხატვარი და ესეისტი რეზო ადამია, პოეტები: ლია სტურუა, ელდინო საღარაძე, ეთერ აფაქიძე, გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმის დირექტორი, ჟურნალისტი თამარ კაპანაძე, „პიონერ-ფილმის“ ხელმძღვანელი გრიგოლ ჩიგოგიძე.

ვასილ ამაშუკელის მიერ გადაღებული პირველი ქართული დოკუმენტური ფილმის „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“-მარშრუტის მიხედვით იმოგზაურეს „პიონერ-ფილმის“ სარეჟისორო წრის ახალგაზრდებმა და გვიჩვენეს მათ მიერ გადაღებული ფილმი, საინტერესო და დამაფიქრებელი იმ მხრივ, რომ თანდათან ცარიელდება ქართველი მოსახლეობით რაჭა-ლეჩხუმის ულამაზ-

ესი სოფლები. დოკუმენტურ ფილმში კი ჩანდა, თუ რამდენი ასეული ადამიანი ხვდებოდა პოეტს ყოველ სოფელში. მუზეუმში ჩატარებულ ღონისძიებას ახალგაზრდების იქ ყოფნა უფრო მეტად მიმზიდველს და მშვენიერს წარმოაჩინდა. ვფიქრობ, და ალბათ უმეტესობა დამეთანხმება, რომ ასეთი ღონისძიებები აუცილებელი და ყველასთვის სასარგებლოა. მხოლოდ ერთს ვიტყვი: ამ უცნაურ, არეულ – დაბნეულ დროში უნდა გამოცოცხლდეს, გაძლიერდეს ქართული სული, თორემ ჩაქრება და შემდეგ ყველაფერი გვიანი იქნება...

ალბათ არ ვიქნები საკუთარ თავთან მართალი, რომ არ დაეწერო იმ ორ შთამბეჭდავ ღონისძიებაზე, რომელზეც „საგულისნოს“ წევრები მიგვიწვიეს სამგორში მდებარე კერძო სკოლა „ივერიაში“, სადაც გავიცანი და შევიძინე მეგობარი, ჟურნალისტი თამარ კაპანაძე, სწორედ ისეთი მეგობარი, რომელიც „ადვილად არ იშოვების...“ პირველი ღონისძიება ეძღვნებოდა ცნობილ რეჟისორსა და დიდ მწერალს გოდერძი ჩოხელს, მეორე ღონისძიება კი რუსთაველის თეატრის ამაგდარ მსახიობს ლამზირა ჩხეიძეს, ლამაზ, სათნო ქალბატონს...

დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ის ბავშვი, რომელიც ქალბატონების ც. ქოჩჩიაშვილის, თ. კაპანაძისა და ბატონ გ. ჩიგოგიძის ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ან მას ესწრებოდნენ, უფრო უკეთესები გახდებიან, მეტად შეიყვარებენ სამშობლოს, თავის ხალხს, ხელოვნებას, რადგან ამას ემსახურება მათი საქმიანობა. ჭეშმარიტად, რაც დაიწყო, აღარ უნდა შეჩერდეს! დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი წლებიც დატვირთული იქნება მნიშვნელოვანი და მიმზიდველი ღონისძიებებით.....

გალაკტიონის მუზეუმში ჩატარებულ ღონისძიებაზე როდესაც ვუსმენდი ბატონ ვახტანგ ჯავახიძეს, გავიფიქრე, რომ ის, რა თქმა უნდა, უზომოდ ერთგულია გალაკტიონის. ასევე ერთგულია ქალბატონი ნატო, რომელიც რუდუნებით ემსახურება მუზეუმს. ასევე ერთგულია ქალბატონი დალი მარტაშვილი, ქალბატონი ცისანა ქოჩჩიაშვილისა და მას მუდამ გვერდში უდგას.

მე აღმზრდელი ვარ, ვმუშაობ ნაძა-ლაღვეის რაიონის ნომერ 31-ე ბაგა-ბაღში (დირექტორი თეა ეფრემიძე), ჯგუფში სანთელს ხშირად ვანთებთ. ჩემი აღსაზრდელები დაჩი დავლაშელიძე და საბა კოპალიანი ჩემკენ გამოვბიან: „მასწავლებლო, სანთელი პატარავდება, არ ჩაქრეს“... ამ დროს ისინი

ემსგავსებიან ქარისგან დამფრთხალ ბელურებს, მე კი ამ დროს ვგავარ ნახამთრალ ხეს, გახარებულს, ამაყს, გამოფხიზლებულს, კვირტებით რომ იფეთქებს და ისევ ახალ სიცოცხლეს იწყებს.

თითოეული ადამიანი, რომელიც თავისი საქმის ერთგულია და ცდილობს მომავალ თაობას ჩაუნერგოს საქართველოსა და მოყვასის სიყვარული, შრომისადმი, საქმის-

ადმი ერთგულება, ყველასგან მოკრძალებასა და პატივისცემას იმსახურებს, რადგან სამსახურში უმნიშვნელოვანესი არაფერია.

ერთიანი საქართველოს დიდ კერიაზე სითბო და სანთელ-სინათლე მუდამ ანათებდა და ყოველთვის ასე გაგრძელდება!

ალექსანდრე ლორია

დაუბრკელი შრომის ნაყოფი

ჩვენი მკითხველების დიდი ნაწილი კარგად იცნობს ისტორიკოსსა და ეთნოგრაფს პროფ. როლანდ თოფჩიშვილს, რომელიც გვაოცებს თავისი შრომისნაყოფიერებით, ერუდიციითა და მეცნიერული კვლევის სიღრმით. მიმდინარე წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეთნოლოგიის სახელმწიფო-სამეცნიერო ინსტიტუტის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მხარდაჭერით როლანდ თოფჩიშვილის ავტორობით ორი ფრიად საინტერესო გამოკვლევა გამოიცა – სვანეთი და სვანეთის მკვიდრნი: გვარები და ეთნოისტორიული ნარკვევი.–თბ.: „უნივერსალი“, 2015.–268 გვ. და მეორე – ხალხთა მიგრაციები: სახელმძღვანელო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.–თბ.: „უნივერსალი“, 2015.– 300 გვ.

პირველი წიგნი რედაქტორის – დოქტორ როზეტა გუჯეჯიანის შენიშვნებისა და ავტორის წინასიტყვაობის შემდეგ თემატურად დაყოფილად მოცემულია ძირითადი ტექსტი. ძირითად საკვლევ მასალას წინ უძღვის თავი „ზოგადად სვანეთისა და სვანების შესახებ“. შემდეგ განხილულია საკითხი სვანთა ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლების შესახებ, რასაც მოყვება სვანური თემების მოკლე დახასიათება და იქაური გვარების შემადგენლობათა გაცნობა, რის შემდეგაც ავტორი იხილავს ისეთ თემებს, როგორცაა სამართლებრივი ურთ-



ერთობები სვანეთში, საოჯახო ყოფა, საქორწინო ურთიერთობები, რწმენის წარმოდგენები, მატერიალური კულტურა, სამეურნეო ყოფა, სვანური მეტყველების მომავალი და მიგრაციები სვანეთიდან. ამგვარი დეტალური აღნუსხვა წიგნისა იმდენად შეიქნა საჭირო მკითხველისათვის, რომ წიგნი, მიუხედავად პოლიგრაფიული ტექნიკის თვალსაზრისით მაღალი დონისა, მხედველობაში არ იქნა მიღებული სარჩევის (შინაარსის) დართვა, რაც ართულებს ნაშრომის საფუძვლიანად გადახედვას. მიუხედავად ამისა, ის უდავოდ საყურადღებო და მნიშვნელოვანი გამოცემაა, რომელიც საინტერესოა არა მარტო დარგის სპეციალისტებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო ფენისათვისაც.


წიგნის მეორე ნაწილი დათმობილი აქვს თარგმანს ინგლისურ ენაზე, რაც, ფაქტობრივად, დასახელებულ წიგნს ორენოვან გამოცემად წარმოგვიდგენს. ამას დიდი მნიშვნელობა

აქვს იმდენად, რამდენადაც, როგორც არასდროს, ამჟამად ტურისტთა დიდი ნაკადი მიედინება სვანეთში და მათთვის ეს წიგნი ფრიად საგულისხმო იქნება. ამიტომაც, ვფიქრობთ, სვანეთის ბიბლიოთეკების თაროებზე ის უეჭველად უნდა იდოს.

რაც შეეხება მეორე წიგნს – „ხალხთა მიგრაციები“, როგორც სახელმძღვანელო, პირველია და ამითაც გამოირჩევა იგი. მიუხედავად ამისა, ეს წიგნი უეჭველად დიდ ინტერესს გამოიწვევს ჩვენს მკითხველებს შო-

რის და ყოველი ბიბლიოთეკისათვის ის საგულისხმო იქნება თავის ფონდში.

ძირითადი ტექსტი დაყოფილია თავებისა და პარაგრაფებისაგან. დასაწყისში მოცემულია ზოგადი მიმოხილვა ხალხთა მიგრაციების შესახებ, რასაც მოსდევს განხილვა ძირითადი საკითხისა ქვეყნების მიხედვით, მხედველობაშია მიღებული ისტორიული ფაქტორები. ბოლო ნაწილი




დათმობილი აქვს თავს „შიდა და გარე მიგრაციული პროცესები საქართველოში“. ბოლო – მეოთხე თავს ეწოდება: „დასკვნის მაგიერ ანუ ეთნიკური მიგრაციები, რომლებიც წინამდებარე წიგნში არ აისახება“.

ჩვენი აზრით, ორივე ეს წიგნი ფრიად დროული, აქტუალურია და მკითხველისათვის შემეცნებითი თვალსაზრისით უდავოდ მნიშვნელოვანია.

ახალი თარგმანები


„შპს „გამომცემლობა ასომ“ ამასწინათ გამოსცა კრებული „თანამედროვე აზერბაიჯანული პოეზია“. წიგნი გამოიცა საზოგადოებრივი გაერთიანება „თურქული სამყაროს ინფოს“ მიერ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების სახელმწიფო მხარდაჭერი საბჭოს „აზერბაიჯან - საქართველოს ლიტერატურულ - კულტურულ ურთიერთობათა განვითარებისათვის“ სახელწოდების პროექტის ფინანსური მხარდაჭერით. კრებული დაბეჭდილია ბაქოში. მასში წარმოდგენილია ოცდახუთზე მეტი ავტორის ლექსები.

პროექტის ხელმძღვანელია დაინათ ოსმანი, რომლის ხელმძღვანელობითაც ითარგმნა წინამდებარე კრებულში გამოქვეყნებული აზერბაიჯანული პოეტის ლექსები. ანთოლოგიას წინ უძღვის აზერბაიჯანის ემა-ის წევრ-კორესპონდენტის პროფ. ნიზამი ჯაფაროვის წინასიტყვაობა. როგორც ნ. ჯაფაროვი აღნიშნავს ახალი პროექტი კიდევ უფრო მეტად გააღრმავებს აზერბაიჯანისა და საქართველოს კულტურულ და ლიტერატურულ ურთიერთობებს. ანთოლოგიის კონსულტანტია პროფ. ნიზამი ჯაფაროვი, რედაქტორი ნელი მამედოვი. კრებულში წარმოდგენილია თითოეული ავტორის ლექსებს წინ უძღვის პოეტის სურათი და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. პოეზიის ნიმუშების თარგმანი ეკუთვნის ნელი მამედოვს, ანა ბარტყულაშვილს, იმირ



მამედლის, ოქტაი ქაზუმოვს, ზეზვა მედულაშვილს. წიგნი გაფორმებულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. აქ წარმოდგენილი ორივე წიგნის წარდგენა გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

გამოიცა პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების მიერ შედგენილი საძიებელი „საქართველო“. საძიებელში ასახულია ქართველოლოგიური შინაარსის წიგნები, სტატიები, რეცენზიები და სხვ. სახის შრომები, რომლებიც თავისი შინაარსით ეხება საქართველოს. საძიებელი შეიცავს ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2005-2006 წწ. შემოსულ წყაროებში გამოქვეყნებული შრომების ანალიტიკურ აღწერილობებს. აღწერილი მასალა საძიებელში სისტემატიზირებულია უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის სისტემით. საძიებელს დაერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანბანური საძიებელი.



რევიუ

დავით გიგინეიშვილი

ბრემენის მუსიკალური ფესტივალი - 2015 (1 ნაწილი)

ბრემენის მუსიკალური ფესტივალი (Musikfest Bremen), მიუხედავად ქალაქის მრავალსაუკუნოვანი წარსულისა, არ ითვლის დიდ ისტორიას. იგი დააარსა ამჟამად მოქმედმა პროფესორმა, ბრემენის მკვიდრმა თომას ალბერტმა 1989 წელს. აქამდე ცნობილი მევიოლინე და

პერიოდული ინსტრუმენტების კამერული ანსამბლის დირიჟორი, იგი 1986 წელს ქ. ბრემენში აარსებს ძველებური მუსიკის აკადემიას, ხოლო რამოდენიმე წელში კი საფუძველს ჩაუყრის აღნიშნულ ფესტივალს, რომელმაც მოკლე დროში მოიპოვა დიდი ავტორიტეტი. ფესტი-

ვალის გამართვის თვეებია გვიანი აგვისტო და სექტემბერი. უკანასკნელ პერიოდში იგი თავს უყრის არანაკლებ 30 წარმოდგენას. მასში კლასიკური მუსიკის გარდა (რაც ძირითადია), წარმოდგენილია ჯაზი, მსოფლიო ხალხთა მუსიკა და ჟანრობრივი არეული მიმართულება (კროს-ოვერი). სადამოები ტარდება ბრემენის არა მხოლოდ განსხვავებულ დარბაზებში, არამედ ბრემენის სიახლოვეს მყოფ ქალაქებშიც და ტაძრებშიც (ძირითადად საორღანო და საგუნდო მუსიკა).

ძალზე ორიგინალურად არის გადაწყვეტილი გახსნითი სადამო – ბილეთის მფლობელს საშუალება ეძლევა 24 საათის მანძილზე სამ კონცერტს დაესწროს, რომელიც შესაბამისად სხვადასხვა დროს იმართებოდა (ცხრა განსხვავებული კოლექტივი დროის ამ მონაკვეთში სამჯერ ზედიზედ აძლევდა წარმოდგენას). დარბაზების სიუხვის მიუხედავად, წამყვანი არის ბრემენის 'ზარი/Die Glocke' – რომელშიც როგორც გახსნის, ისე დახურვის სადამო იმართება.

უკანასკნელი დეკადის დროს ბრემენის ფესტივალზე გამოდიოდნენ ძველებური მუსიკის სახელგანთქმული კოლექტივები საფრანგეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან და ინგლისიდან (მარკ მინკოვსკი, ემანუელ ჰაიმი, რენე იაკობსი, ოტავიო დანტონე, ხორდი სავალი, პოლ მაკკრიში), რამაც ფესტივალს დიდი სახელი მოუტანა. ბრემენს ეწვია კლასიკური და ბაროკო მუსიკის დიდი საოპერო ვარსკვლავებიც. ასეთი დიდი რეპუტაციის გამო გეგმაში მქონდა ფესტივალზე დასწრება, მაგრამ ეს მხოლოდ ამა წლის შემოდგომაზე მოვახერხე. აკრედიტაცია იმაზე ადრე მოვიპოვე, ვიდრე ფესტივალის პროგრამა გამოცხადდებოდა. მიუხედავად არც თუ უსახელო კოლექტივებისა, წელს ფესტივალზე საინტერესო წარმოდგენა არც ისე ბევრი იყო. პირველი, რასაც დავესწარი, იყო კამერული მუსიკის კონცერტი ქ. ბრემერჰაფენის ინდუსტრიისა და კომერციის დარბაზში (IHK), რომელიც 12



სექტემბერს გაიმართა. აპოლონ მუზაგეტის სიმებიანი კვარტეტი (Apollon Musagète Quartett) ასრულებდა დვორჟაკის და ბრამსის კვარტეტებს. დარბაზი პატარა, დეკორაციების გარეშე, მაგრამ აკუსტიკურად დაბალანსებული იყო. დარბაზში არც თუ ისე ბევრმა მსმენელმა მოიყარა თავი. თავად თომას ალბერტმა გახსნა სადამო და ხაზი გაუსვა კამერული მუსიკის შესრულების სასურველ მოთხოვნას – პატარა და აკუსტიკურად გამართული დარბაზი,

რითაც ახსნა, რატომ გადაწყვიტეს ფესტივალის მესვეურებმა ამ ქალაქში ამ სადამოს ჩატარება. ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმწიფო პოლონურმა ანსამბლმა დვორჟაკის დო მაჟორული (N11, op.61) კვარტეტი ოდნავ არადამაჯერებლად დაიწყო, აკუსტიკურად ჩელო ოდნავ ჩავარდნილიც კი იყო. მხოლოდ მესამე ნაწილში (სკერცო – საცეკვაო მოტივით) კვარტეტმა საჭირო შეთანხმებულობა და სიმტკიცე, ხოლო ბოლო ნაწილში, რომელიც კვარტეტის საუკეთესო და უსაზღვროდ ღამაზი გამოდგა, შესრულებამ სიცოცხლე და ენერჯია მიიღო. შედარებით

დავდაჭერილი კოლექტივისაგან განსხვავებით, პირველი ვიოლინო (პაველ ზალეუსკი/Pavel Zalejski) ამ ნაწილში სრულ მუსიკალურ ნეტარებას ქმნიდა. სუსტი და მაღალი პაველი ისე სულგანაბულად ქარგავდა მელოდიას, რომ დაძაბულობისაგან კიდევაც ცერებზე იდგა მთელი შესრულების დროს! შემსრულებელთა მუხტი მსმენელებზეც გადავიდა, რაც მხოლოდ მოკლე შესვენებამ გარკვეულად გაანელა. მეორე ნაწილის შუბერტის სოლ-მაჟორული კვარტეტი (N15, op.161), დვორჟაკისაგან განსხვავებით, უფრო ტრადიციული და კლასიკური, თან სევდით აღსავსე აღრმოჩნდა. პირველი ტიპური შუბერტისეული ნაწილის შემდეგ ნაწარმოებში რომანტიკული ვებერისეული მინარევი გაუჩნდა. აპოლონ მუზაგეტის კვარტეტს კარგად უჭირა შუბერტის პულსი – მდგრადად და დინჯად დაასრულა კვარტეტმა კონცერტი. ერთია, რაც მე და ჩემმა გერმანელმა ნაცნო-

ბებმა გამოვთქვით – უკეთესი იქნებოდა სადამოს პროგრამა რომ საპირისპიროდ ყოფილიყო დაგეგმილი – ჯერ შუბერტი და შემდგომ დგორუაკი.

მეორე სადამო, რომელსაც 16 სექტემბერს დავესწარი, უკვე ბრემენის ‘ზარ’-შიწარმოადგენდა ერთგვარ ექსპერიმენტს. ცნობილი ნოველისტი და მუსიკის ქომაგი, ქალბატონი დონა ლეონი უძღვებოდა ბაროკო მუსიკის სადამოს – ამჟამად პოპულარულ იტალიურ ანსამბლ ‘Il

ნასიტყვაობას დარბაზში ერთი-ორი კრიტიკოსი ხმამაღალი ‘ჩამსშობი’ კუინით შესვდა, რასაც მე არ მივესალმე და არც თავად ლეონს მოეწონა. სადამოში ერთი დასანანი ცვლილება მაინც შევიდა – ორკესტრის დირიჟორი და მევიოლინე – რიკარდო მინაზი ოჯახური მიზეზების გამო არ ჩამოსულა, ამიტომაც ინსტრუმენტალისტებს (რომელთა რიცხვი ათს არ აღემატებოდა) მეტად ახალგაზრდა ჩემბალისტი **მაქსიმ ემელიანიჩევი (Maxim Emelyanychev)**



Pomo d'Oro'-სთან, რომელიც აკომპანიმენტს უწევდა ორ მომღერალ ქალბატონს – **ვერონიკა კანგემისა (Veronica Cangemi)** და **ქეთი ოლდრიჩს (Kate Aldrich)**. პროგრამაში იყო უცნობი და საინტერესო იტალიური ბაროკოს მუსიკა – იომელი, პასკუალე ჩეფარო, დავიდე პერესი, ფრანჩესკო დე მაჯო, ნ.პორპორა, ჯენარო მანა და ლ.ლეო. ჩანაწერებშიც იშვიათად უღერადი, ამ კომპოზიტორთა მუსიკის ცოცხლად მოსმენა უკვე წარმატება იყო. კონცერტს საინტერესო სიუჟეტური ხაზი ახლდა, რაზედაც მწერალი დონა ლეონი ყოველი მოქმედების წინ უამბობდა მსმენელს. მუსიკა შეირჩა ისეთი, რომელიც გაცილებას ასახავდა – შესაბამისად კონცერტსაც **‘მშვიდობით/Addio’** დაერქვა. დონა ლეონმა ინგლისურ ენაზე დეტალებში გადმოგვცა, თუ როგორი მუსიკალური პალიტრით ასახავდნენ განშორებას იტალიელი კომპოზიტორები მე-XVIII საუკუნეში. მის წი-

ხელმძღვანელობდა. ორი არიის გარდა, ყველა ნაწყვეტი დუეტი იყო. ვოკალურ ნაწარმოებებს შორის საკმაოდ უღიმღამო კამერული სონატეში (ჯუზეპე ავიტრანო და ანჯელო რაგაცი) შესრულდა. უკანასკნელი წლების ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ ორკესტრისაგან მეტს ველოდი. არიები საინტერესო გამოდგა – პერესის ვირტუოზული ‘Ah! Non lasciarmi, no’ სოპრანოსათვის და მანას ბობოქრული ‘Ove son? Che vegg'io?’ მეცო-სოპრანოსათვის. თუმცა ოლდრიჩს დიდი ხმა და მკერძი მადლები ჰქონდა, კანგემის უბადლო ფრაზირება და ტექნიკა, იდეალური ბაროკო მუსიკისათვის საბოლოოდ მაინც გზიბლავდა. დუეტები სევდიანი და ლირიული იყო. ბისზე შესრულდა ჰენდელის „ტეზუო“-დან მოკლე, მაგრამ ძალზე შთამბეჭდავი დუეტი (ჯერ კონტინუოთი, რასაც ბოლოში სრული ორკესტრი ერთვებოდა – ესეც ჰენდელის გასაოცარი ინსტრუმენტალ-

იზმი). ყველაფერი იმ სადამოს საინტერესო და უცხო იყო – თუმცა იგი, სამწუხაროდ, მოკლე აღმოჩნდა, რამდენადაც მზად ვიყავი, მეტ ნეტარებას მივცემოდი ჩემთვისაც უცხო პანგების ასეთი კარგი შესრულებით.

მესამე კონცერტზე მომიწია ქალაქ ვერდენში გამგზავრება. ეს ლამაზი და კოხტა ქალაქი, რომელმაც დიდი რესტავრაცია განიცადა და ტურისტების მოზიდვა გადაწყვიტა, ბრემენის აღმოსავლეთით არის განლაგებული მდინარე ალერის სიახლოვეს. მას დიდი ლუთერანული საკათედრო ტაძარი ამშვენებს (Dom zu Verden). ზუსტად ამ ტაძარში იმართებოდა 18 სექტემბერს მოცარტის ნაწარმოებებიდან შედგენილი კონცერტი ('**მოცარტი-1791/Mozart-1791**'). სადამოს უძღვებოდა ძველებური მუსიკის აღიარებული სპეციალისტი – შოტლანდიელი დირიჟორი **ჯონ ბატი** (John Butt) თავის ორკესტრთან (**დანედინ კონსორტ/Dunedin Consort**) და სოლისტებთან ერთად. მე ამ კოლექტივს ბახისა და ჰენდელის მუსიკის ჩანაწერებიდან ვიცნობდი, რომლებმაც დიდ ბრიტანეთში დიდი აღიარება და მრავალი პრიზი მოიპოვა. ქალაქის ცენტრალური ქუჩიდან უკვე კილომეტრის მოშორებიდან ჩანდა ვერდენის ტაძარი თავისი გრძელი, მასიური და ძალზე დაქანებული სახურავით. მიახლოებისას აღმოჩნდა, რომ შესვლა გვერდითი ლამაზი წითელაგურიანი ორსართულიანი სახლის გერბიანი კარებიდან შეიძლებოდა, რომელიც ტაძრის ან მონასტრის ასოციაციას სრულიად არ ტოვებდა და პირიქით - ფარავდა ტაძარს. ტაძრის სამხრეთის მხრიდან, სადაც ერთადერთი მაღალი კოშკი იყო აღმართული, პატარა ფოიეს მეშვეობით უკვე პირდაპირ ტაძრის დიდ დარბაზში მივყავდით. ტაძარი დიდი და მასიური აღმოჩნდა, მას ორი ორდანი ამშვენებდა – ერთი უფრო ძველი, მისი სამხრეთის შესასვლელის თავზე და მეორე – უფრო თანამედროვე, უკვე დასავლეთის მხარეს, ზუსტად იმ კარების თავზე, რომელსაც ცალკე ეზოში მივყავდით და ვიწრო კორიდორების მეშვეობით უკვე ადრე ნახსენებ გერბიან კარებამდე, რომელიც თავის მხრივ ქალაქის ცენტრალურ ქუჩას უყურებდა. საკურთხეველის ტერიტორია იყო მოკრძალებული, მისი წინა შედარებით გრძელი და ვიწრო ფართობი მძიმე ხის სკამებს და ნოტებიან პიუპიტრებს ეჭირა. კონცერტში მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტიდან“ უვერტიურა, ლა-მაჟორული კლარნეტის კონცერტი (KV622) და „რეკვიემი“ უნდა შესრულებულიყო. პროგრამა იყო საინტერესო და მე დიდი მოლოდინით ველოდი ორკესტრანტების გამოჩენას. განსხვავებით წინა სპექტაკლებიდან ტაძარი სრულად დაიტვირთა, მეტიც – მსმენელმა ყვე-

ლა შემოსასვლელი კარების ტერიტორია დაიკავა და ნაკადი მოდიოდა და მოდიოდა.

შოტლანდიური კოლექტივი სრული შემადგენლობით ჩამოვიდა, მაგრამ როდესაც უვერტიურის პირველი ბგერები აუღერდა, ნათელი გახდა, რომ კომფორტს ამაოდ ველოდი. ტაძრის უჩვეულო აკუსტიკა აღმოჩნდა ამის მიზეზი, კედლებიდან არეკლილი რევერბერაცია მძიმედ და გვიან უბრუნდებოდა მსმენელს და თან ნაწილობრივ ახშობდა ორკესტრანტების მიერ შესრულებულ ახალ ტაქტს. ასე რომ, უკვე შესრულებული მოეფინებოდა ახლად შესრულებულს და იქმნებოდა გარკვეული ქაოსი. დაიკარგა დეტალიზაცია და გაქრა აქცენტები: ფლეიტა და ჰობოი საერთოდ არ ისმოდა. პირველი, რაც გავიფიქრე – შემსრულებლებმა თავად არ დაკარგონ ერთმანეთში სინქრონიზაცია მეტჯი, მაგრამ დირიჟორი და ორკესტრი აუღელვებლად აგრძელებდნენ. ეფექტი იგივე დარჩა მოცარტის მშვენიერი კლარნეტის კონცერტის შესრულებისას – არც უჩვეულო ბას-კლარნეტის უღერადობა (ერიკ ჰეპრიკ/Eric Hoeprich) და არც ორკესტრანტების ვირტუოზობა არ ისმოდა სრულყოფილად, მხოლოდ შუა ნელ ნაწილში თუ გაიხსნა ეს ნისლი და მუსიკამ საჭირო მწყობრი სვლა მიიღო. შესვენების შემდეგ შესრულებულმა „რეკვიემმა“ ჩემი გუნებაგანწყობა საგრძნობლად აწია – პატარა გუნდი (6 მამაკაცი და 6 ქალბატონი) და ოთხი სოლისტი (მაირი ლოუსონი, ესთერ ბრეზილი, ნიკოლას მაღროი და მეთიუ ბრუკი - M.Lawson, E.Brazil, N.Mulroy, M.Brook) ტაძრის აკუსტიკამ გააძლიერა და მათი ხმები დიდი გუნდის შესატყვისი იყო. ხანგრძლივი რევერბერაცია მოუხდა რეკვიემს. ტემპები, როგორც მოსალოდნელი იყო, იყო სწრაფი – ეფექტი მძლავრი და გახანგრძლივებული, ცალკეული სოლისტების ხმებიც კი უფრო გამონათდა ამ უცნაური აკუსტიკის ხარჯზე. მუსიკა დაწერილი ტაძრისათვის სრულიად შესატყვისი იყო არსებული აკუსტიკისათვის. ამიტომაც სადამო არ ჩაიშალა – მსმენელმა და მათ შორის მეც, სიამოვნება მივიღეთ. შოტლანდიელები მხურვალე აპლოდისმენტებით გააცილეს, დასავლეთით მდებარე კარების ვიწრო გასასვლელში კორიდორი შეუქმნეს ტაძრის დროულად დასატოვებლად.

წინა სპექტაკლებმა კარგი მოლოდინი შემიქმნეს სრული საოპერო სპექტაკლის მოსასმენად – რაც ზუსტად ფესტივალის დახურვისათვის შემოინახეს ფესტივალის ორგანიზატორებმა. ამის შესახებ შემდეგში მოგახსენებთ...




საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

• 4 ოქტომბერს ფრანგულ-ქართული ასოციაციის ინიციატივით საფრანგეთის ქ. შატონეფსა და ქ. სიღნაღს შორის ურთიერთ-



თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. შატონეფის მერი ემანუელ დალმიტი, სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატი გელა გელაშვილი, სიღნაღის გამგებელი დავით ჯანიკაშვილი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფის ხელმძღვანელი ლევან მოსიაშვილი და ამავე ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი, რომელმაც შატონეფის მერს და სიღნაღის წარმომადგენლებს ეროვნული ბიბლიოთეკის მეგობრობის სიგელები გადას-

ცა;
• 9 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ინგლისური თარგმანის წარდგენა. პოემა თარგმნა ამერიკელმა მწერალმა და პოეტმა ლინ კოფინმა. ბოლო 40 წლის მანძილზე ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ინგლისური თარგმანი, რომელიც შესრულებულია 16 მარცვლიანი შაირით. პოემას დაერთვის ქართველი პოეტების გივი ალხაზიშვილის, გიორგი კეკელიძის, ზაზა აბზიანიძისა და დათო ბაქრაძის პოეზიის ნიმუშები;




• 19 ოქტომბერს აღინიშნა თიანეთის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის დაარსების 130-ე წელი;
• 28 ოქტომბერს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დააჯილდოვეს გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულები. გამარჯვებულთ სიგელები გადასცა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა;
• 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა





ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი პროდუქციის Wikipedia-ს ენციკლოპედიის ტიპის ლექსიკონის წარდგენა. ღონისძიებას უძღვებოდა ლექსიკონის ერთ-ერთი ავტორი, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელი დავით ბარათაშვილი. ლექსიკონს ამზადებს ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის სამოქალაქო განათლების განყოფილება;

- 5 ნოემბერს ქალაქ ჯვარში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით დაარსდა სათემო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის გახსნას დაესწრნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ხე-



ლისუფლების წარმომადგენლები. ახლად დაარსებულ ბიბლიოთეკას წიგნები გადასცეს

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ. პროექტის „ციფრული ფოტომატიანეს“ ფარგლებში ქ. ჯვარში და სენაკის დევნილთა დასახლებაში გაციფრდა ადგილობრივი მოსახლეობისა და აფხაზეთიდან დევნილთა ფოტოალბომები. ბიბლიოთეკის გახსნას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი;

- 11 ნოემბერს თბილისის მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმში მუზეუმისა და საქართველოს



პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა თემაზე „კულტურათ-შორისი დიალოგი და საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრული ურთიერთობები კულტურის სფეროში“. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოში აზერბაიჯანის საელჩოს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ქართველი და აზერბაიჯანელი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეცნიერები, მწერლები, პოეტები;

- 12 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა მკითხველთა კლუბის პირველი შეხვედრა. კლუბის პირველი სტუმარი იყო გელა ჩარკვიანი. კლუბის წევრებმა ისაუბრეს მის სამ წიგნზე: „ნაგერალა“, ინტერვიუ მამასთან“ და „ნარგიზა“;

- 12 ნოემბერს აშშ-ს საქართველოს



საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილების ამერიკის საინფორმაციო რესურს-ცენტრმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა წიგნები, რომელთა დიდი ნაწილი გადაეცა სოფლის ბიბლიოთეკებს;

• 13 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა მხატვარ ვლადიმერ ასათიანის პერსონალური გამოფენა. წარმოდგენილი იყო მხატვრის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული 25 ფერწერული ნამუშევარი. მხატვარი, ფერმწერი, ფილოსოფიის დოქტორი ვლადიმერ ასათიანი არაერთი გამოფე-



ნის ავტორია, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ვ. ასათიანის ნამუშევრები, მოკლე ბიოგრაფია და შემოქმედების დახასიათება შევიდა წიგნში „საუკეთესო ახალი და თანამედროვე მხატვრები“.

• 17 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის, ფონდი „კრისტალის“, საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრის „აფხაზეთი“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის, საქართველოს იეზიდთა სახლისა და თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრის მონაწილეობით ჩატარდა ერთობლივი საჯარო დისკუსია სახელწოდებით „მათი თვალთახედვიდან – ტერორისტულ დაჯგუფება



ისლამური სახელმწიფოს მსხვერპლი იეზიდები“. დონისძიებაზე მოწვეულები იყვნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, საქართველოში მოქმედი კონფესიების წარმომადგენლები, ეთნიკური უმცირესობების თემაზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები.



კ ა ლ ე ნ დ ა რ ი

ი ა ნ ვ ა რ ი

- 1- ახალი წელი
- 2- 130 წლის წინ დაიბადა დიმიტრი უზნაძე – ქართველი მეცნიერი, ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი საქართველოში (1901–1979)
- 3- 125 წლის წინათ დაარსდა ჟურნალი „ჯეჯილი“ (1890)
- 12- 140 წლის წინათ დაიბადა ჯეკ ლონდონი – ამერიკელი მწერალი (1876–1916)
- 14- ქართული თეატრის დღე
- 150 წლის წინათ დაიბადა ლუარსაბ ბოცვაძე (1866–1919) – პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „განათლების“ დამაარსებელი
- 19 – 120 წლის წინათ დაიბადა მწერალი ილო მოსაშვილი (1896–1954)
- 26- 140 წლის წინათ გამოქვეყნდა ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ (1876)
- 28 – 195 წლის წინათ დაიბადა რუსი მწერალი თეოდორე დოსტოვესკი (1821–1881)

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

- 3 – 80 წლის წინათ დაიბადა მწერალი სოლომონ დემურხანაშვილი (1936–2007)
- 7 – 225 წლის წინათ გარდაიცვალა ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი) – (1750–1791)
- 11 – 80 წლის წინათ დაიბადა მწერალი, მთარგმნელი ბაჩანა ბრეგვაძე (1936)
- 12 – 150 წლის წინათ დაიბადა მწერალი შიო მღვიმელი (1866–1933)
- 21 – 95 წლის წინათ მიღებული იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921)
- 24 – 170 წლის წინათ დაარსდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, დღევანდელი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (1846)
- 27-საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის დღე

მ ა რ ტ ი

- 3-დედის დღე
- 4 – 150 წლის წინათ გამოიცა გაზეთ „დროების“ პირველი ნომერი (1866)
- 6 – 85 წლის წინათ დაიბადა მწერალი თამაზ ჭილაძე (1931)
- 7 – 120 წლის წინათ დაიბადა მწერალი კოლაუ ნადირაძე (1896–1991)
- 8 – 90 წლის წინათ დაიბადა მწერალი ლადო მრელაშვილი (1926–2006)
- ქალთა საერთაშორისო დღე
- 14 – 75 წლის წინათ დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკა (1941), ამჟამად საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
- 15 – 130 წლის წინათ დაიბადა მწერალი ანა ხახუტაშვილი (ცქვიტი) – (1886–1960)
- 21- რასობრივი დიკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის დღე
- ქართული ჟურნალისტიკის დღე
- 27- თეატრის საერთაშორისო დღე
- 28 – 230 წლის წინათ დაიბადა პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786–1846)

ა პ რ ი ლ ი

- 2 – საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე
- 9 – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე (1991)

- 14 - ქართული ენის დღე
- 100 წლის წინათ დაიბადა მწერალი შალვა ამისულაშვილი (1916-1981)
- 18 - ძეგლებისა და ისტორიული ადგილების დაცვის საერთაშორისო დღე
- 20 - 140 წლის წინათ დაიბადა საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი იოსებ იმედაშვილი (1876-1952)
- 22 - დედამიწის საერთაშორისო დღე
- 23 - წიგნის საერთაშორისო დღე
- ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე
- 140 წლის წინათ დაიბადა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი (1876-1940)
- 30 - საქართველოს ბიბლიოთეკართა დღე
- ქართული არმიის დღე

მაისი

- 5 - ბექდეთი სიტყვის დღე
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის დღე
- 9 - ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაული
- 120 წლის წინათ დაიბადა მწერალი დემნა შენგელაია (1898-1980)
- 13 - 80 წლის წინათ დაიბადა მწერალი ჯემალ ქარჩხაძე (1936-1998)
- 15 - 125 წლის წინათ დაიბადა მწერალი, აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია (1891-1971)
- 18 - მუზეუმები ს საერთაშორისო დღე
- თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის დაარსების დღე (1909)
- 22 - 160 წლის წინათ დაიბადა ვასილ ბარნოვი (ბარნაველი) - (1856-1934)
- 23 - 150 წლის წინათ დაიბადა პოეტი, პუბლიცისტი ბაჩანა (რაზიკაშვილი) - (1866-1977)
- 26 - საქართველოს ეროვნული დემოკრატიზაციის დღე (1918)
- 80 წლის წინათ დაიბადა მწერალი თეიმურაზ მალაფერიძე (1936-1994)

ივნისი

- 1 - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე
- 5 - გარემოს დაცვის მსოფლიო დღე
- 21 - 200 წლის წინათ დაიბადა ინგლისელი მწერალი შარლოტა ბრონტე (1816-1855)
- 24 - 80 წლის წინათ დაიბადა პოეტი რეზო ამაშუკელი (1936)
- 28 - 165 წლის წინათ დაიბადა მწერალი ეკატერინე გაბაშვილი (1851-1938)

ივლისი

- 2 - სრულდება 1065 წელი გიორგი მერჩულეს წიგნის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დაწერიდან (951)
- 30 - 120 წლის წინათ დაიბადა მწერალი პარმენ ლორია (1896-1978)

აგვისტო

- 9 - 90 წლის წინათ დაიბადა მწერალი თენგიზ ვოგოლაძე (1926-1996)
- 23 - 100 წლის წინათ დაიბადა იტალიის ეროვნული გმირი ფორე მოსულიშვილი (1916-1944)
- 24 - საქართველოს კონსტიტუციის მიღების დღე (1995)
- 27 - 145 წლის წინათ დაიბადა ამერიკელი მწერალი თეოდორ დრაიზერი (1871-1945)
- 29 - 1605 წლის წინათ დაიბადა ქართველი თეოლოგი და ფილოსოფოსი პეტრე იბერი (411-501)
- 30-უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღე



საქტაშვილი

- 1 - ცოდნის დღე
- მშვიდობის მსოფლიო დღე
- 2 - დიდგორობა
- 8 - ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე
- 11 - 155 წლის წინათ დაიბადა მწერალი დავით კლდიაშვილი (1861-1931)
- 16 - 100 წლის წინათ დაიბადა პოეტი ალექსანდრე საჯავია (1916-1944)
- 105 წლის წინათ ტრაგიკულად დაიღუპა ისტორიკოსი, მეცნიერ-მკვლევარი მიხეილ თამარაშვილი (1858-1911)
- 17 - 125 წლის წინათ დაიბადა პოეტი-აკადემიკოსი გალაკტიონ ტაბიძე (1891-1959)
- 18 - 95 წლის წინათ დაიბადა მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი (1921-2013)
- 19 - 85 წლის წინათ დაიბადა პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი (1931)
- 125 წლის წინათ დაიბადა მწერალი სოფო მგელაძე (1891-1936)
- 20 - 100 წლის წინათ დაიბადა მწერალი თინა დონუაშვილი (1916 - 1993)
- 24 - 100 წლის წინათ დაიბადა მწერალი რევაზ მარგვიანი (1916-1984)
- 27 - ტურიზმის მსოფლიო დღე

ოქტომბერი

- პირველი კვირა - სპორტის დღე
- პირველი კვირა - მასწავლებლის დღე
- 1 - მუსიკის საერთაშორისო დღე
- ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე
- 4 - 200 წლის წინათ დაიბადა ფრანგი პოეტი ეჟენ პოტიე - საერთაშორისო სოლიდარობის - „ინტერნაციონალის“ სიტყვების ავტორი (1816-1887)
- 6 - 120 წლის წინათ დაიბადა მწერალი სერგო კლდიაშვილი (1896-1978)
- 8 - 270 წლის წინათ დაიბადა მეცნიერი, მთარგმნელი, დიპლომატი, ბიბლიოგრაფი გაიოზ რექტორი (1746-1847)
- 9 - 175 წლის წინათ დაიბადა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე (1841-1938)
- 14 - 125 წლის წინათ დაიბადა მწერალი გრიგოლ რობაქიძე (1891-1956)
- 21 - პოლიგრაფისტთა პროფესიული დღესასწაული
- 24 - გაეროს საერთაშორისო დღე
- 95 წლის წინათ დაიბადა მწერალი ნანა კანდელაკი (1921-2008)
- 26 - 190 წლის წინათ დაიბადა ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, მკვლევარი, მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890)
- 29 - რუსთაველის დღე - პოეზიის დღე

ნოემბერი

- 1 - 85 წლის წინათ გამოიცა „სალიტერატურო გაზეთის“ პირველი ნომერი
- 10 - ახალგაზრდობის მსოფლიო დღე
- 17 - სტუდენტთა საერთაშორისო დღე
- 24 - ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე
- 8 - 140 წლის წინათ დაიბადა მწერალი და საზოგადო მოღვაწე კოტე მაყაშვილი (1876-1927)
- 10 - ადამიანის უფლებების დაცვის დღე
- 14 - აფხაზეთის საომარი მოქმედებების დროს დაღუპულ ბავშვთა ხსოვნის დღე
- 20 - 90 წლის წინათ დაიბადა მწერალი რევაზ ინანიშვილი (1926-1992)

ლამარა ხუციშვილი-აჩელაშვილი



ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების თანამშრომელთა რიგებს გამოაკლდა ერთი უკეთილშობილესი, სათნო და ფრიად წარჩინებული სპეციალისტი ლამარა ხუციშვილი-აჩელაშვილი. იგი დაიბადა 1948 წელს. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის ა. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობაზე. პარალელურად ეწეოდა პრაქტიკულ საქმიანობას თავის მშობლიურ სოფელში, კოთელიაში. იყო აქტიური, ყოველმხრივ განათლებული, სოფლისა და მკითხველისათვის საყვარელი პიროვნება. მისი ხელმძღვანელობით სოფლის ბიბლიოთეკა გადაიქცა ისეთ დაწესებულებად, სადაც ბავშვებს

მიუხაროდან. ქალბატონ ლამარას მიერ ჩატარებული თითოეული ღონისძიება გამოირჩეოდა ღრმა პროფესიონალიზმით, მკითხველთა აქტიურობითა და ეფექტურობით. სოფ. კოთელიის ბიბლიოთეკამ მისი ხელმძღვანელობით გაუძლო ყოველგვარ სიძნელეებს, პრობლემებს; წიგნი ყოველთვის იყო ხელმისაწვდომი სოფლის მოსახლეობისათვის. ქ-ნი ლამარა დაჯილდოებული იყო მრავალი დიპლომითა და სიგელით, იყო საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარი.

ახალქალაქის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექცია; კოლეგები.

წიგნის მეგობრის გახსენება


თეონა რობაქიძე

22 წლის ასაკში საქართველოს ზეციურ ბინადართ შეუერთდა ერთი ფრიად განათლებული, სათნო და სიყვარულით აღსავსე ქალბატონი თეონა რობაქიძე. იგი ბავშვობიდანვე ეზიარა წიგნის სიყვარულს, მის სიბრძნეს; კითხულობდა, აზროვნებდა. მან სულის სისპეტაკეს ანაცვალა ყოველდღიურობა; იყო მიმტყვებელი, ადამიანის მოსიყვარულე; ცხოვრობდა სულის საზრდოს ძიებაში, კეთილის ქნასა და ამქვეყნიური ცხოვრების გალამაზების წადილით აღვსილი. მისი ხანმოკლე სიცოცხლე მანათობელ კვლად დარჩა მისი შვილის, ნათესავეებისა და მეგობრების მეხსიერებაში.

უფალმა დაუმკვიდროს ადგილი სასუფეველში; მისი ღიმილიანი სახე მარად ეხსომებათ მათ, ვინც ახლოს იცნობდა მის პიროვნებას.



გარდაბნის რაიონის სოფ. საცხენისის სასოფლო ბიბლიოთეკა; ნინო, მარინე და დავით არაბიძეები



ეპიდემიური საქართველო

ISSN 1987-8729



სამეცნიერო-სანიჟორამაციო ჟურნალი №9 (53), სექტემბერი, 2015

ლაზოტორიის სავრთაშორისო სტანდარტი: ცხოველთა და მცენარეთა დიაგნოსტიკა, სურსათის ექსპერტიზა



რა უნდა მოვიმოქმედოთ,
თუ ვთმოდვრის ფასვავა
ღვრვა დანიშნო?

მცენარეთა მავნებელ-დაზარადაზის
დიაგნოსტიკაში ლაზოტორიის
პროფესიონალური გუნდი დაგვხმარებათ!



რა შეცდომებს ვუშვავთ
ფილენის დაავადების
აღმორენისას?

სამეცნიერო
ცენტრი

სამეცნიერო
გაბრტყ

სამეცნიერო
ბაზა



რა უნდა ვიცოდეთ სორცის ფარშის შესახებ?

ზოგადი ძიების ლაზოტორიის მთავარი სავციალისტის
მოკლე მიმონიღვა სორცის ფარშის შვადაგაწლოვაზე.

სსიპ საქართველოს სოფლის მავრნეოზის სავცინოსტროს
დაზოკატორია ქ. თბილისი, ვ.გოქიაშვილის №65
(995 32) 2 58 0968
www.lma.gov.ge





პირველი სტამბა თბილისში — 1709.



პირველი ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსანი“ — 1712

2164/104

